

954/2

ეპიდემია და ბაქტერიები

ეროვნული
გიგანტის

96

600/2



9



გიორქიძია ჩაის წარმოებაში

პროფესორი მიხეილ ბრკეჩავა

ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ნ. ბახის სახელობის ბიოლოგიის
ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა წამოაყენა თანამედროვე პირობებში ყველაზე არსებითი საერთო-სახალხო ამოცანა — სოციალისტური ინდუსტრიის მძლავრი ზრდის ბაზაზე უახლოესი 2—3 წლის მანძილზე უხვად დააკმაყოფილოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებები სახალხო მოხმარების საქონელზე და ნედლეულით უზრუნველყოს მსუბუქი და კვების მრეწველობა.

სოფლის მეურნეობისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობა საბჭოთა მეცნიერებისაგან მოითხოვს წარმოების დახმარების გაძლიერებას. ამ სტატიის მიზანია მოკლედ გააშუქოს ჩვენს ქვეყანაში ჩაის კულტურისა და წარმოების განვითარების საკითხები და უჩვენოს მეცნიერების, კერძოდ — ბიოქიმიის როლი და მნიშვნელობა ჩაის წარმოების ტექნოლოგიის შემდგომი გაუმჯობესების, მზა ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების საქმეში, რამდენადაც ჩაი ეკუთვნის საჭალხო მოხმარების მნიშვნელოვანი პროდუქტების ჩიცხვს.

ჩაის მცენარე უძველესი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. ჩინურ მატიანებში ჩაი ნახსენებია ჯერ კიდევ X საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. თავდაპირველად ჩაის ფოთლებს ჩინეთში იყენებდნენ როგორც სამკურნალო საშუალებას, შემდეგ კი ჩაი, რომელიც ჩაის მცენარის ფოთლებიდან მზადდებოდა, ჩინელი ხალხის საყვარელ ნაციონალურ სასმელად იქცა. ამჟამად ჩაი ერთეულთი ყველაზე უფრო ძვირფასი და მთელ მსოფლიოში გავრცელებული პროდუქტია, რომელსაც მნიშვნელოვანი ქვებითი-საგემოვნო და დაუტური მნიშვნელობა აქვს. ჩაის მცენარე, ისე როგორც სხვა მცენარეები, ქმნის — გამოიმუშავებს მრავალ სასარგებლო ნივთიერებებს, მაგრამ ამ მცენარის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი იმუშავებს ისეთ იშვიათ და ძვირფას ნივთიერებებს, როგორიცაა კოფეინი, ტეოფილინი, ტეობრომინი, ტანინი (კატეხინი), ეთერზეთები და სხვ. ჩაი

შეიცავს აგრეთვე სხვადასხვა ვიტამინებს: ვიტამინ C-ს, ვიტამინ B₁-ს, ვიტამინ B₂-ს, ვიტამინ P-ს, ვიტამინ PP-ს, პანტოტენის მჟავას და ვიტამინ K-ს.

ჩაის ქიმიური შემადგენლობის თავისებურებანი განაპირობებენ მის მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ თვისებებს — თავის ტკივილის შეწყვეტის, სასიცოცხლო ენერგიის და შრომისუნარიანობის ამაღლების, მძინარობის გაქარწყლებისა, წყურვილის სხვა სასმელებზე უკეთ დაკმაყოფილების უნარს.

ჩაის ძვირფას ფიზიოლოგიურ მოქმედებას აღმიანის ორგანიზმზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საბჭოთა მეცნიერების ა. კურსანოვისა და ვ. ბუკინის ახალ აღმოჩენებთან დაკავშირებით. ამ მეცნიერებმა თანამშრომლებთან ერთად გამოარკვიეს, რომ ჩაის ტანინს, რომლის შემცველობა ჩაის ფოთლოში 35%-დე აღწევს, ძლიერ გამოსახული P-ვიტამინური თვისებები ახასიათებს. ეს ფაქტი ჩაის როგორც პროდუქტს ხდის მნიშვნელოვან საშუალებად. იგი ამაგრებს სისხლძარღვთა კედლებს.

ვიტამინების უაღრესად ნაირგვარი შემცველობა ჩაიში კი არსებით მნიშვნელობას აძლევს მას აღმიანის ორგანიზმის ვიტამინებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

ჩაის მცენარის კულტურა ჩვენს ქვეყანაში პირველად შემოვიდა გასული საუკუნის პირველ ნახევარში. პირველად ყირიმში, ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში 1833 წელს დარგეს ჩაის თესლები და ნერგები, მიღებული ჩინეთიდან და ინდოეთიდან. ჩქარა ჩაის მცენარეები ყირიმიდან, საღაც ჩაის კულტურამ ფეხი ვერ მოიკიდა, გაღატანილ იქნა ჩვენი ქვეყნის უფრო სამხრეთ და ტენიან სუბტროპიკულ რაიონებში — სუხუმის, ზუგდიდისა და ოზურგეთის (ახლა მახარაძე) სანერგეებში. ჩაის კულტურამ ამ სუბტროპიკულ ზონაში კარგად იხარა, ვინაიდან აქ მას ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები დახვდა. ჩაის კულტურის განვითარებას ამ რაინებში დიდად შეუწყვეს ხელი თავისი დროის გამოჩენილმა მეცნიერებმა — ა. ი. ვოიკოვმა, ვ. ა. ტიხომიროვმა, ა. ი. კრასნოვმა და სხვებმა. მათ შეისწავლეს ჩვენი სუბტროპიკების ნიადაგურ-კლი-

გატური პირობები, აგრეთვე გაეცნენ ინდოეთის, ჩინეთისა და ჩაის მწარმოებელი სხვა ქვეყნების ჩაის მეურნეობის გამოცდილებას.

1889 — 1893 წლებში ჩაის კულტურის შესასწავლად პროფ. ვ. ა. ტიხომიროვის ხელმძღვანელობით პირველი სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო ინდოეთში, ცეილონსა, იაპონიაში, იავაზე და სხვა ქვეყნებში.

1895 — 1896 წლებში პროფესორ ა. ი. კრასნოვის ხელმძღვანელობით მოეწყო მეორე სამეცნიერო ექსპედიცია ინდოეთში, ჩინეთში, ცეილონსა და იაპონიაში.

ამ ექსპედიციების შედეგად გამოირკვა, რომ ჟავი ზღვის სანაპიროების კლიმატური პირობები მეტად ხელსაყრელია ჩაის მეურნეობის წარმატებით განვითარებისათვის და ჩაქვში ნიადაგი ჩაეყარა ჯერ საცდელ ნაკვეთებს, შემდეგ კი — ჩაის პარარა მეურნეობას. მაგრამ იმ დროის მოწინავე მეცნიერთა ინიციატივამ სათანადო მხარდაჭერა ვერ პოვა მეფის მთავრობის მხრივ. ამიტომ მუშაობა სუბტროპიკულ რაიონებში ჩაის კულტურის დასანერგავად მეტად ნელა ვითარდებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების დაყარებამდე ჩვენში მხოლოდ 917 ჰექტარი ჩაის პლანტაციები იყო და ჩვენი სუბტროპიკების მდიდარი ბუნებრივი შესაძლებლობანი გამოუყენებელი რჩებოდა. ჩაის მეურნეობის ფართო განვითარება საბჭოთა პერიოდში დაიწყო.

საბჭოთა მთავრობამ, რომელიც მიზნად ისახავდა უფრო სრულად და ფართოდ გამოეყენებინა ხალხის საკეთილდღეოდ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველსავე წლებში დასახა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სსრ კავშირში ჩაის მეურნეობის სწრაფ განვითარებას. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად უკვე 1940 წლისათვის საქართველოს, აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარის სუბტროპიკულ რაიონებში შეიქმნა მსხვილი ჩაის მეურნეობანი.

პირველი საბჭოთა ხუთწლედების მანძილზე იქმნებოდა მსხვილი ჩაის საბჭოთა მეურნეობანი, წვრილ გლეხურ მეურნეობათა ნაცვლად აღმოცენდა ჩაის კოლმეურნეობანი, იქმნებოდა სპეციალიზებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

საბჭოთა ჩაის მეურნეობა შენდებოდა. ისეთი ტემპებით, რომლის მსგავსი კაპიტალისტური ქვეყნების ჩაის მეურნეობის ისტორიისათვის უცნობია მისი მძაფრი განვითარების ეპოქაშიც კი. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ჩაის მეურნეობის აღდგენა და განვითარება ძლიერი ტემპით წავიდა. იმ დღიდან, რაც ჩვენში გაიშალა მუშაობა ჩაის მეურნეობის შესაქმნელად, გავიდა სულ 25 წელი. ამ შედარებით მოკლე პერიოდში ქვეყნის სუბ-

ტროპიკული რაიონები აყვავებულ მხარედ გადაიქცა. საბჭოთა ხანაში, 25 წლის მანძილზე, 60-ჯერ მეტი ჩაის პლანტაციები შეიქმნა, ვიღრვების რუსეთში 80 წლის განმავლობაში. თუ ძველი რუსეთში მუშაობდა მხოლოდ 2 — 3 კუსტარული ფაბრიკა, რომლებიც სულ რამდენიმე ტონა ჩაის ფოთოლს ამუშავებდნენ, 1953 წელს მუშაობდა რამდენიმე ათეული მსხვილი ჩაის ფაბრიკა, რომლებმაც გადაამუშავეს 100 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ჩვენს ქვეყანაში ჩაის წარმოების ფართო განვითარებასთან დაკავშირებით, პირველი ხუთწლედების მანძილზე აღმოცენდა მეცნიერება ჩაის შესახებ (наука о чае), კერძოდ, ცოდნის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა ჩაის ბიოქიმია. ჩვენი ჩაის მრეწველობამ, რომელიც მთლიანად საბჭოთა წლებში შეიქმნა, ნედლეულის ხარისხისა და მისი გადამუშავების პროცესების ღრმა ბიოქიმიური გამოკვლევები მოითხოვა. და ეს ბუნებრივიცა, რამდენადაც ჩაის ტექნოლოგია ბიოქიმიური ტექნოლოგიაა და ამიტომ ბიოქიმიას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაის წარმოებისათვის. იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ბიოქიმიის როლი ჩაის წარმოებაში, საკმაოა ითქვას, რომ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ვიყენებთ ბიოქიმიურ და უანგვით პროცესებს, ჩვენ ერთი და იგივე ნედლეულიდან შეგვიძლია მივიღოთ სულ სხვადასხვა ტიპისა და ხარისხის მზა პროდუქტი. ასე, მაგალითად, თუ ჩვენ ჩაის ფოთლის გადამუშავების ღროს პირობებს ვქმნით და უანგვითი პროცესების წარმატებითა და ღრმა განვითარებისათვის ვიწვევთ ფოთლის ღნობას, გრეხასა და ფერმენტაციას, მისგან ვღებულობთ შავ ჩაის, რომელიც ყველასათვის ცნობილია თავისი გემოთი, ფერითა და არომატით.

თუ უანგვით პროცესებს ნედლეულში ჩვენ ტექნოლოგიური გადამუშავების ღასაწყისშივე ვწყვეტთ ჩაის ფოთლის გამოორტქლვის გზით, ვღებულობთ მწვანე ჩაის, ეგრეთ წოდებულ კოქ-ჩაის. უანგვითი პროცესების რეგულებით ასეთივე ნედლეულიდან ღებულობენ ყვითელ და წითელ ჩაის, რომელთაც საშუალო აღგილი უკავიათ შავ და მწვანე ჩაის შორის და რომლებზეც ფართო მოთხოვნილებაა ჩინეთში.

მეცნიერებამ ჩაის შესახებ, ისე როგორც ცოდნის ყველა სხვა დარგა, ფართო განვითარება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში პოვა. ჩაის ბიოქიმიურმა გამოკვლევებმა სისტემატურ და გეგმიანი ხასიათი მიიღო 1934 წლიდან, როცა ა. ნ. ბახისა და ა. ი. ოპარინის ხელმძღვანელობით მათი თანამშრომლებისა და მოწაფეების ჯგუფი შეუდგა მუშაობას ჩაის დარგში.

1935 წლიდან ეს გამოკვლევები გრძელდება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტში და ტარდება ჩაის ინსტიტუტთან და ჩაის ქარხნებთან მჭიდრო თანამეგობრობით.

ა. ი. ოპარინმა და მისმა მოწაფეებმა გამოარკვიეს ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების ბუნება და შექმნეს ჩაის წარმოების ბიოქიმიური თეორია. როგორც ცნობილია, ჩაი მზადდება ჩაის ბუჩქის ახალგაზრდა, ნაზი ყლორტებიდან, ეგრეთ წოდებული დუყებიდან. მათი კრეფა ჩვენს სუბტროპიკუებში იწყება აპრილის დამლევს და გრძელდება ოქტომბრის ბოლომდი. ახლად მოკრეფილი დუყები ფაბრიკაში განიცდის სპეციალურ გადამუშავებას — ღნობას, გრეხას, ფერმენტაციასა და ხმობას. გადამუშავების შედეგად ნედლეულში ხდება ღრმა ქიმიური ცვლილებები, რის შედეგადაც წარმოიშვება საგემოვნო და არომატული პროდუქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩაის ხარისხს. ღრმა ბიოქიმიური გამოკვლევების საფუძველზე გამოირკვა ღნობის, გრეხისა და ფერმენტაციის პროცესების ბუნება. დადგენილია, რომ ღნობის პროცესში, ღრმა ფიზიკურ ცვლილებებთან ერთად, ხდება აგრეთვე პირველი შეხედვით ნაკლებ შესამჩნევი, მაგრამ ამავე ღროს არსებითი ბიოქიმიური ცვლილებები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ტექნოლოგიური გადამუშავების მიმდინარეობისათვის და მზა პროდუქციის ხარისხისათვის. გამოირკვა, რომ ფიზიკურ ცვლილებებს ფოთლის ღნობის ღროს, რაც გამოიხატება წყალის დიდი რაოდენობის აორთქლებაში, წონის, მოცულობისა და ფოთლის ტურგორის კლებაში და ა. შ., თან ახლავს მთრიმლავი ნივთიერებების, ცილების და ამინომჟავების შემადგენლობის, ეთერზეთების, ქლოროფილისა და ჩაის ფოთლის სხვა კომპონენტების ცვლილებები. ეს ბიოქიმიური ცვლილებები, როგორც გამოირკვა, აუცილებელ მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენენ და მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ფერმენტაციის ღროს უანგვითი პროცესების თანაბარზომიერი მიმდინარეობისა და მზა პროდუქტის ხარისხისათვის. გრეხისა და ფერმენტაციის პროცესების გამოკვლევამ ნათელყო, რომ ბიოქიმიური ცვლილებები, რომლებიც ჩაის ფოთლის ღნობით იწყება, განსაკუთრებული ძალით ვითარდება გრეხის პროცესში როლერებზე, ვინაიდან სწორედ აქ ჩაის ფოთლის გრეხისათან დაკავშირებით მისი ქსოვილის დაშლა ხდება. ჩაის ფოთლის ქსოვილის დაშლის შედეგად, მასში მყოფი მთრიმლავი ნივთიერებანი ეხებიან მუანგავ ფერმენტს — ფენოლაზას და ჰაერის უანგბალის დახმარებით იუანგებიან ქინონებამდე. მაგრამ ქინონები არ გროვდებიან ჩაის ფოთლობში, არამედ განიცდიან ღრმა ცვლილებებს. პირველ ყოვლისა ქინონები, როგორც ძლიერი დამუანგველები, უანგავენ ჩაის ფოთლის მრავალრიცხვან ნაერთებს, ამასთან ერთად ისინი კონდენსირდებიან და გარდაიქმნებიან იმ პიგმენტებად, რომლებიც ჩაის ნაყენს დამახასიათებელ ფერს აძლევს. დაუანგვითი პროცესებთან დაკავშირებით ფოთლის შემადგენლობის ღრმა ცვლილებები ფერმენტაციის დროს იწვევს შავი ჩაისათვის დამახასიათებელი ფერის,

გემოსა და არომატის წარმოქმნას, რასაც ასე ძლიერ აფასებენ მოხსმარებლები. ამ ბიოქიმიური გამოკვლევების შედეგად, ჩაის წარმოების ისტორიაში პირველად დამუშავებულ იქნა კონტროლის ოპიექტური ბიოქიმიური მეთოდები, რომლებითაც განისაზღვრება. ჩაის ღნობის, გრეხის, ფერმენტაციისა და ხმობის პროცესების დამთავრება. შეიძლება ითქვას, რომ ბიოქიმიამ ცენტრალური აღგილი დაიკავა ჩაის წარმოებაში.

ამჟამად ბიოქიმიური ლაბორატორიები მოწყობილია ჩაის ყველა ფაბრიკასთან. ისინი ხელს უწყობენ ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად წარმოებას და მზა პროდუქტის ხარისხის ამაღლებას. უნდა აღინიშნოს, რომ ბიოქიმიური კონტროლის ჩაის წარმოებაში დანერგვაში დიდი შრომა მიუდვის კ. მ. ჯმუხაძეს. მიღებულმა შედეგებმა ნათელყო მთელი რიგი საკითხები ჩაის ბიოქიმიასა და ზოგად ფიზიოლოგიაშიც. ამჟამად, მაგალითად, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს დაწვრილებით მოვხაზოთ ზოგადი სურათი, დაწყებული ჩაის მცენარეში ტანინის პირველი მოლეკულების შექმნიდან და გათავებული ბიოქიმიური გარდაქმნებით, რაც ჩაის ფოთლის გადამუშავებისა და შენახვის დროს ხდება.

საბჭოთა მეცნიერების მრავალრიცხვანი გამოკვლევების შედეგად ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით ვიცით სამამულო ჩაის ქიმიური შემადგენლობა. ეს გამოკვლევები გამოქვეყნებულია „ჩაის წარმოების ბიოქიმიის“ 6 კრებულში (1935—1950), 3. ვორონცოვის მონოგრაფიაში „ჩაის ბიოქიმია“ (1946) და ი. ხოჭოლავას შრომაში „შავი ჩაის ტექნოლოგია“, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რიგ უურნალებში და ჩაის ინსტიტუტის ბიულეტენებში.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ქონდა მიქცეული მთრიმლავ ნივთიერებებისა და ჩაის ფოთლის უანგვის ფერმენტების შესწავლას. ა. კურსანოვისა და მისი მოწაფეების შრომების მეოხებით გამორკვეულია მთრიმლავ ნივთიერებათა წარმოქმნის მექანიზმი. გამოირკვა, რომ მთრიმლავი ნივთიერებანი ჩაის ფოთლობში წარმოიქმნება შაქრებიდან. შაქარი ჯერ გარდაიქმნება მეტა-ინოზიტ ნივთიერებად, რომელსაც თავისი ქიმიური ბუნებით შორისული ადგილი უკავია შაქარსა და პოლიფენოლებს შორის. მაგრამ ინოზიტი მნიშვნელოვანი რაოდენობით არ გროვდება ფოთლებში, არამედ განიცდის შემდგომ ცვლილებებს — გარდაიქმნება პოლიფენოლებად. ეს უკანასკნელი წარმოქმნიან ნატურალურ მთრიმლავ ნივთიერებებს.

გამოირკვა, რომ მთრიმლავი ნივთიერებანი მცნარეში, ქლოროგენის მუავას მსგავსად, მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ როლს თამაშობენ. ჩვენ მიერ ექსპერიმენტულად დამტკიცებულია ჩაის მთრიმლავ ნივთიერებათა უნარი — შეასრულონ წყალბადის გადამტანის როლი ფერმენტაციულ უანგვით პროცესებში. გამოირკვა, რომ ჩაის ფო-

თოლში ჩვენ გვაქვს მთრიმლავ ნივთიერებათა
ხსნადი და უხსნადი ფორმები.

როგორც კურსანოვისა და ზაპრომეტოვის ქრო-
მატოგრაფიულმა გამოკვლევებმა ნათელყო, ქარ-
თული ჩაის ხსნადი მთრიმლავი ნივთიერებანი ცხრა
სხვადასხვა კატეხინისა და მათი წარმოებულებისა-
გან შედგება. განსაკუთრებულ ინტერესს, როგორც
უკვე იყო აღნიშნული, წარმოადგენს ა. კურსანო-
ვის, ვ. ბუკინისა და თანამშრომლების გამოკვლე-
ვები, რომლებმაც ნათელყო, რომ ჩაის ტანინს აქვს
თვისება P-ვიტამინისა, ნივთიერებისა, რომელიც
სისხლ-ძარღვთა კედლებს ამაგრებს. ეს აღმოჩენა
ახლებურად აშუქებს ჩაის ბაოლოგიური მოქმედე-
ბის საკითხს.

უკანასკნელი წლების შრომებმა, რომლებიც
ჩაის ფოთლის უანგვითი ფერმენტების შესწავლას
შეეხება, ბევრი რამ ახალი შეიტანეს ჩაის ფერმენ-
ტაციის მექანიზმის გაგებაში. როგორც ცნობილია,
ფერმენტაციის პროცესის გამომწვევ აგენტად მეც-
ნიერები სხვადასხვა ფერმენტაციულ სისტემებს
თვლიდნენ. ასე, მაგალითად, ჩაის ფერმენტაციას
პირველად ფერმენტ პეროქსიდაზას მოქმედებას
მიაწერდნენ, შემდეგ — ასკორბინოქსიდაზას, ციტო-
ქრომოქსიდაზას და პოლიფენოლოქსიდაზას. მრა-
ვალრიცხვანი ლიტერატურული მონაცემები იმ-
დენად წინააღმდეგობრივი და ორადამაჯერებელია,
რომ არა თუ არ იძლეოდნენ ფერმენტაციის მექა-
ნიზმის გაგების საშუალებას, არამედ ზოგიერთი
ავტორები ფერმენტაციის ენზიმური ბუნების უარ-
ყოფამდეც კი მიყავდა.

ა. ოპარინისა და ტ. შუბერტის უკანასკნელმა
გამოკვლევებმა ნათელყო, რომ ჩაის ფოთოლში არ
არის ციტოქრომოქსიდაზა, ასკორბინოქსიდაზა, აგ-
რეთვე ფლავინური ოქსიდაზები. ჩვენი ცდებით გა-
მოირკვა, რომ ჩაის ფოთოლში თუმცა არის უალრე-
სად აქტიური პეროქსიდაზა, მაგრამ ამ ფერმენტის
სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი
ჩაის ფოთლის ტანიზე მოქმედებისას არ წარმოქ-
მნის შეფერადებულ პროდუქტებს, არამედ იძლევა
უფერო ლეიკონაერთებს. მაშასადამე, არსებითი
შნიშვნელობა ფერმენტაციისათვის პეროქსიდაზას
არა აქვს. გამოირკვა, რომ ჩაის ფერმენტაციას იწ-
ვევს სწორედ ფენოლაზა. ამ ფერმენტის მთავარი
ნაწილი დაკავშირებულია. ფოთლის უხსნად ნივ-
თიერებებთან და არ გადადის ხსნარში. მაგრამ უხ-
სნად მდგომარეობაშიც მას ახასიათებს მაღალი აქ-
ტივობა და იგი ენერგიულად უანგავს ჩაის მთრიმ-
ლავ ნივთიერებებს და წარმოქმნის წითელ და მი-
ხაკისფერ პიგმენტებს, რომლებიც დამახასიათებე-

ლია ჩაის ნაყენისათვის. გამოირკვა, რომ ფენოლა-
ზის მოქმედების გამორიცხვით — ჰაერის უანგბა-
დის შეღწევის შეწყვეტის ან ინგიბირების გაცლე-
ნით, ფენოლაზის მოქმედების შეკავების გზის,
დაღნობილი დასრესილი ჩაის ფოთოლი ფერმენტა-
ციას არ განიცდის, არ იცვლის თავის მწვანე ფერს
და მასში არ ხდება არომატისა და ნაყენის ფერის
წარმოშობა. ამავე დროს კი, ფენოლაზის მოქმედე-
ბისას, ასეთივე დასრესილი ფოთოლი 3—4 საათში
ფერმენტაციას განიცდის და ჩაის სათანადო ფერი,
გემო და არომატი წარმოიშვება.

ამგვარად დამტკიცებულ იქნა, რომ ჩაის ფოთ-
ლის ფენოლაზას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს
ფერმენტაციისათვის და შავი ჩაისათვის დამახასია-
თებელი არომატული და საგემოვნო პროდუქტების
წარმოქმნა მთლიანად ამ ფერმენტის მოქმედებას-
თანა დაკავშირებული.

ქრომატოგრაფიული გამოკვლევების განვითარე-
ბასთან დაკავშირებით უკანასკნელ დროს დიდი
ყურადღება ექცევა ჩაის ფოთლის ცილებისა და
ამინომჟავების შესწავლას. ამჟამად ა. ნ. ბახის სა-
ხელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში ჩვენი ლაბორა-
ტორიის მიერ გამორკვეულია, რომ ჩაის ნაზი ფო-
თოლი შეიცავს რვა თავისუფალ ამინომჟავას, ას-
პარგინის მჟავას, გლიუტამინის მჟავას, სერინს,
გლიკოკოლს, ლიზინს, არგინინსა და ვალინს. ამ
ამინომჟავების გარდა, დაღნობილ ფოთოლში აღ-
მოჩენილია აგრეთვე ლეიცინი და ფენილალანინი.
ამგვარად ლნობის პროცესში, ცილოვან ნივთიერე-
ბათა ლრმა ცვლილებების შედეგად, ხდება ლეიცი-
ნისა და ფენილალანინის ახლად წარმოქმნა, რაც
მიუთითებს ლნობის პროცესის ბიოქიმიურ მნიშ-
ვნელობაზე. საინტერესოა ალინიშნოს, რომ ჩვენი
სამოდელო ცდების თანახმად, რიგი აღნიშნული
ამინომჟავები მთრიმლავ ნივთიერებებთან ურთი-
ერთქმედების დაუანგვით პროცესში ანდა მაღალი
ტემპერატურის პირობებში იძლევიან ალდეჰიდებს,
რომელთაც ჩაისათვის დამახასიათებელი სასიამოვ-
ნო სუნი აქვს და არომატის შექმნაში მონაწილეო-
ბენ. ეს ფაქტი ახალი თვალსაზრისით აშუქებს ამი-
ნომჟავების მნიშვნელობას ჩაის არომატის წარმო-
ქმნისათვის. ამ ფაქტს უფრო საერთო მნიშვნელო-
ბაც აქვს ყველა იმ წარმოებისათვის, საღაც მთრიმ-
ლოვან ნივთიერებათა და ამინომჟავების ურთი-
ერთქმედებას აქვს აღგილი (მელვინეობა, ლუდის
წარმოება, პურის წარმოება და სხვ.).

ჩაის ბიოქიმიის ახალი მიღწევების რიცხვს
ეკუთვნის მწვანე აგურა, ჩაის წარმოების უანგვითი
პროცესების გამოკვლევები. მწვანე აგურა ჩაი წარ-

მოადგენს ერთ-ერთ ძვირფას პროდუქტს, რომელ-ზედაც ფართო მოთხოვნილებაა საბჭოთა კავშირის რიგ ოლქებსა და რესპუბლიკებში. იგი აგრეთვე ექსპორტისათვისაც არის დანიშნული.

უკანასკნელ წლებში, ღრმა გამოკვლევების შე-დეგად ბიოქიმიის ინსტიტუტის მიერ გამორკვეულია მწვანე აგურა ჩაის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ბუნება. მიღებული მონაცემების საფუძველზე, წარმოების მუშაკებთან თანამეგობრობით, დამუშავებულია მწვანე აგურა ჩაის წარმოების ახალი ხერხი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ტექნოლოგიური ციკლი შემცირებულ იქნეს 20 დღე-დამიდან 15 — 20 საათამდე. იგი წარმოების სრული მექანიზაციისა და მზა პროდუქციის ხარისხის საგრძნობლად გაუმჯობესების საშუალებას იძლევა.

მიმდინარე — 1954 წელს ოთხ ფაბრიკაში წარმატებით ინერგება ეს ახალი ტექნოლოგიური სქემა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ჩატარდეს მწვანე აგურა ჩაის წარმოების სრული მექანიზაცია. მწვანე აგურა ჩაის წარმოების ამ ახალი პროგრესული ტექნოლოგიის როგორც დამუშავებაში, ისე დანერგვაში დიდი მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჩაის ტრესტის — „საქჩაის“ მუშაკთა და „გლავჩაის“ შემფასებელ ბიუროს მუშაკთა კოლექტივმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მხრივ ტექნოლოგ ლ. ა. ბარბაქაძის მუშაობა.

1953 წლიდან ა. ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში წარმოებს მუშაობა ჩინური წითელი და ყვითელი ჩაის გამოკვლევისათვის და ჩაის ამ სახეობათა ტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლების შესწავლისათვის. მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ ბიოლოგიური თვალსაზრისით ყვითელი და წითელი ჩაი უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩვეულებრივი შავი ჩაი, ვინაიდან მათ აქვთ უფრო მაღალი P-ვიტამინური მოქმედება. საგემოვნო თვისებებით ყვითელი ჩაი თუმცა მწვანე ჩაის წაგავს, მაგრამ მას აქვს უფრო რბილი გემო, სასია-

მოვნო სუნი და ნაზი არომატი. წითელი ჩაი, უგრეთ წოდებული ოოლონგი, უფრო უახლოვდება შავ ჩაის, მაგრამ მას აქვს სპეციფიკური ორიგინალური გემო და ძლიერი არომატი. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა ჩაის აღნიშნული ახალი სახეების რაციონალური ტექნოლოგიის შესაქმნელად, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გავაფართოოთ ასორტიმენტი ჩვენი ჩაის მრეწველობის პროდუქციისა და მივცეთ საბჭოთა მომხმარებლებს ჩაის ახალი ბიოლოგიურად უფრო ძვირფასი სახეები.

მოკლე საუურნალო წერილში ძნელია მკითხველს მივცეთ ჩაის დარგში საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევების რამდენიმედ ფართოდ გაშუქება, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მათი შრომები მეცნიერულ საფუძვლად დაედო ჩაის მეურნეობასა და ჩაის მრეწველობას.

სსრ კავშირში ჩაის კულტურისა და წარმოების შემდგომი განვითარება და იმ ამოცანების შესრულება, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისა და პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებით ჩვენი ჩაის მრეწველობის წინაშეა დასმული, ითვალისწინებს მზა პროდუქციის გამოშვების გაორკეცებას მიმდინარე ხუთწლედში, მოითხოვს ჩაის წარმოების მეთოდების, ჩაის კულტურისა და ჩაის წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას უმაღლესი ტექნიკისა და მეცნიერების ახალი მიღწევების საფუძველზე. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ჩაის ფოთლის გადამუშავების გაუმჯობესების ხარჯზე, — როგორც ამას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენურზე თავის მოხსენებაში აღნიშნავდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. ამ ამოცანების გადაწყვეტაზე ამჟამად ჩაის მეურნეობისა და ჩაის წარმოების მუშაკებთან თანამეგობრობით წარმატებით მუშაობს ბევრი საბჭოთა მეცნიერი.

ლიტონების ზეღაპირები გემკვრივება

ულექტრონული ცენტრი

დავით გავარებაშვილი
რექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

მანქანის ნაწილების ან ინსტრუმენტის მუშაობის დროს მოხახუნე ზედაპირები ცვეთას განიცდის, რაც იწვევს მანქანათა ნაწილებისა და ინსტრუმენტების გამოსვლას წყობილებიდან. მოხახუნე ზედაპირების ცვეთისადმი წინაღობის გაზრდის მიზნით მიმართავენ: 1. ლითონთა ზედაპირული შრეების ქიმიურ-თერმულ დამუშავებას, 2. ლითონთა ალტურვას სალი შენაღნობებისაგან დამზადებული ფირფიტებით და 3. ლითონთა ზედაპირების შემკვრივებას ელექტრონაპერტკლური დაფარვით.

სალი შენაღნობისაგან დამზადებული ფირფიტები გამოყენებულია უმთავრესად ლითონსაჭრელიარაღებში. სალი შენაღნობით ალტურვილი საჭრელი იარაღი მნიშვნელოვანი წარმადობით მუშაობს და დიდი მედეგობით ხასიათდება, მაგრამ მას დიდი სიმყიფეც ახასიათებს და დარტყმითი დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში აღვილად ითხვნება ხოლმე. ასეთ პირობებში მუშაობისათვის მჭრელიარაღს, მაღალი სისალის, ცვეთისადმი დიდი წინაღობისა და ტემპერატურული მდგრადობის გარდა, საკმაო სიბლანტე უნდა გააჩნდეს. ამ მოთხოვნას ელექტრონაპერტკლური ხერხით შემკვრივებული საჭრელი იარაღები აკმაყოფილებს; საკმაო სისალესთან ერთად მათ საკმაო სიბლანტეც ახასიათებს.

ლითონების ელექტრონაპერტკლური წესით დამუშავების ხერხი შექმნილია საბჭოთა კავშირში. მისი ავტორებია სტალინური პრემიის ლაურეატები ბორის და ნატალია ლაზარენკოები. ელექტრონაპერტკლური ხერხით ლითონის ზედაპირების სალი შენაღნობის ნაწილაკებით შემკვრივება რამდენჯერმე ზრდის ნაკეთობის მედეგობას, ადიდებს თვით ლითონსაჭრელი იარაღის მედეგობას და მანქანათა ნაწილების წინაღობას ცვეთისადმი.

ლითონების ზედაპირული შემკვრივება ელექტრონაპერტკლური ხერხით ამჟამად ფართოდაა დანერგილი საბჭოთა კავშირის მანქანათსაშენებელ ქარხნებში.

ელექტრონაპერტკლური ხერხით ლითონების ზედაპირული შემკვრივების პროცესის აღწერა

ცნობილია, რომ ელექტრონტრედის გამორთვის დროს ხდება რკალური ელექტრული დაცლა, რომლის დროსაც ლითონის ნაწილაკები გადაიტანება კათოდიდან ანოდზე, გადატანილი მასალა დიდი ტემპერატურის ქვეშ მტკიცე ფენად ეკვრის ანოდს.


თუ ელექტროდების პარალელურად ჩავრთავთ გარკვეულ ტევადობას, მაშინ ელექტრონტრედის ჩართვისა და გამორთვისას რკალური დაცლის ნაცვლად წარმოიშვება ოდნავ შესამჩნევი სწრაფი ნაპერტკლური დაცლა, რომლის დროსაც ლითონის ნაწილაკები ანოდიდან კათოდზე გადაიტანება.

დენის ყველა წრედი, სადაც დამუხტვა და განმუხტვა ხდება, წარმოადგენს სწრაფად ცვალებადი დენებისა და ელექტრომაგნიტური რხევების წყაროს. განმუხტვის ხასიათი, თუ ყველა სხვა პირობა უცვლელი იქნება, დამოკიდებულია კონტურის ტევადობაზე. თუ წრედში მცირე ტევადობას ჩავრთავთ, მაშინ რკალური განმუხტვა ძლიერი იქნება. ტევადობის გადიდებით რკალური განმუხტვა მცირდება, ბოლოს ქრება და მის ნაცვლად ნაპერტკალი წარმოიშვება.

ელექტრული რკალი პირველად აღმოაჩინა და შეისწავლა დიდმა რუსმა მეცნიერმა ვ. პეტროვმა 1802 წელს.

ვთქვათ, გვაქვს ელექტროგანმუხტვის ორი არე (ნახ. 1): რკალური და ნაპერტკლური. ამ ორ არეს ერთიმეორისაგან ჰყოფს შებრუნებითი ზონა (ინვერსიის ზონა).

რკალურ არეში, ინვერსიის ზონიდან თანდათანობით მოშორებით, ე. ი. ელექტროდებს შორის ტევადობის შემცირებით, წარმოშობილი რკალი ძლიერდება, მაშასადამე, კათოდიდან ანოდზე გადატანილი ლითონის რაოდენობა დროის ერთეულში იზრდება, ტევადობის კიდევ მეტად შემცირებით წარმოიშვება სტაბილური უწყვეტი რკალი და იწყება განუწყვეტელი ღრღნა (ეროზია).



ნახ. 1

ნაპერწკლურ არეში, რაც უფრო ვშორდებით ინვერსიის ზონას, ე. ი. რაც უფრო იზრდება ტევა-დობა, იზრდება ანოდის ელექტროეროზია და ლი-თონის ნაწილაკების გადატანა ანოდიდან კათოდზე.

ცნობილია, რომ ელექტროეროზია დენის გამტარი ყველა ლითონის თვისებას წარმოადგენს. ამიტომ ელექტროეროზით მუშავდება ყველა მასალა, რომელიც დენს ატარებს.

ლითონების დამუშავების ელექტრონაპერწკლური ხერხი ეყრდნობა ნაპერწკლური განმუხტვის დარტყმით მოქმედებას, რომელიც იმპულსის მიყენების წერტილში ლითონის მიმართულ აფეთქებას იწვევს. დენგამტარი მასალა, რომელიც ამ ელექტროდარტყმით მოქმედებას გაუძლებდა, არ არსებობს. ამიტომ ამ ხერხით მუშავდება ყველა ლითონი, რა სისალეც არ უნდა ჰქონდეს მას, და არავითარი საჭრელი იარაღი და აბრაზივი ამისათვის საჭირო არ არის.

ელექტრონაპერწკლური დამუშავების ციკლი ორი პერიოდისაგან შედგება: პირველ პერიოდში მიმდინარეობს კონდენსატორის დამუხტვა, მეორე პერიოდში — კონდენსატორი მყის განიმუხტება ნაპერწკლით, რომელიც დასამუშავებელი ნაკეთობის ზედაპირულ შრეს ლითონის წვრილ მტვერად ანამცეცებს.

ელექტრონაპერწკლური დანადგარების დახმარებით ამჟამად სრულდება შემდეგი სამუშაოები: ყოველგვარი დენგამტარი მასალის უწვრილეს ფხვნილად დანამცეცება, ლითონების ზედაპირული გამტკიცება და დაფარვა, „მექანიკური“ დამუშავების ოპერაციები (გადაჭრა, ბურღვა, ხეხვა და სხვ.), ლითონსაჭრელი იარაღების ლესვა და ა. შ.


ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ ლითონების ზედაპირულ ელექტრონაპერწკლური შემკვრივების პროცესს.

ელექტრონაპერწკლური შემკვრივების დანადგარის ელექტროსქემა განსხვავდება ელექტრონაპერწკლური ხერხით დამუშავების (ელექტროეროზია) დანადგარის ელექტროსქემისაგან. აქ პროცესი მიმდინარეობს ჰაერზე და საჭირო არ არის აბაზანა, სითხე და მათთან დაკავშირებული მოწყობილობანი, რომლებითაც ელექტროეროზიის პროცესების დროს სარგებლობენ. ამას გარდა ელექტროდამფარავისათვის გვაქვს ელექტრომაგნიტუ-

რი სამარჯვი, რომელიც უზრუნველყოფს ამ ელექტროდის ხშირ მიმოქცევით მოძრაობას. მე-2 ნახ-ზე მოცემულია ელექტრონაპერწკლური შემკვრივებისათვის დანიშნული დანადგარის პრინციპული ელექტროსქემა.

როგორც ნახაზიდან ჩანს, დანადგარის მთავარი ელექტროსქემა შედგება: წინალობისაგან (R), რომელიც აწესრიგებს მოქლე ჩართვის დენის სიღიდეს, კონდენსატორების ბატარეისაგან (C); ეს ბატარეა იძლევა პროცესისათვის საჭირო ტევადობას; И არის ელექტროდი — ნამზადი, რომლის ზედაპირული შემკვრივებაც უნდა მოვახდინოთ, და ე — დამფარავი ელექტროდი, რომლითაც უნდა დავფაროთ დასამუშავებელი ლითონის ზედაპირი. თუ დანადგარი მუდმივი დენით იკვებება, მაშინ ელექტროდი-ნამზადი კათოდს უნდა შევუერთოთ, დამფარავი ელექტროდი კი — ანოდს.

დამხმარე ელექტროსქემის დანიშნულებაა ვიბრაციული სამარჯვის კვება. В არის ელექტრომაგნიტური სამარჯვი, რომელიც ცვლადი დენის ქსელიდან იქვებება. დამხმარე სქემაში შეიძლება შედიოდეს სასიგნალო და დამცველი მოწყობილობანი. ელექტრომაგნიტური პროცესები, რომლებიც თან ახლავს ნაპერწკლურ განმუხტვას, ხელს უწყობს ლითონის ნაწილაკების გადატანას ელექტროდ-იარალიდან შესამკვრივებელ ზედაპირზე, რომელზედაც ისინი ეკვრიან ტიტანის, კობალტის, ნახშირბადისა და სხვა ელემენტთა ნაწილაკების სახით, იმისდა მიხედვით, თუ რა მასალაა გამოყენებული ელექტროდ-იარალი. ვინაიდან ნაპერწკლურ შუალედში დენი დიდი სიმკვრივისაა, იმპულსის მომენტში წარმოიშვება ძლიერ მაღალი ტემპერატურა (10 000 — 12 000°C მყისიერი მნიშვნელობით). ამიტომ ნაპერწკლური იმპულსის მოქმედებით ლითონის ნაწილაკები სწრაფად დნება და შემდგომ მკვეთრად ცივდება, რაც დამუშავებული ნაკეთობის ზედაპირულ შრეებში ლითონის შემადგენლობისა და აგებულების მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს. ლითონის ზედაპირულ შრეებში ამ ცვლილებების გამომწვევია თერმო-ქიმიური პროცესები. ძირითადი ამ თერმო-ქიმიური პროცესებიდან შემდეგია: а. ზედაპირული შრის მკვეთრი წრთობა, რომელიც გამოწვეულია გამდნარი ლითონის ტემპერატურის მყისიერი ვარდნით 10 000 — 12 000°C-დან ნორმალურ ტემპერატურამდე; б. გამდნარი ლითონის გაჯერება ჰაერის აზოტით, რის შედეგადაც ძლიერ სალი და მტკიცე ნიტრიტები წარმოიშვება; გ. ზედაპირული შრეების ცემენტაცია ნახშირბადით გაჯერების ხარჯზე; დ. დიფუზიური გაჯერება და აგრეთვე ლითონის ნაწილაკების გადატანა ელექტროდ-იარალიდან ელექტროდ-ნაკეთობაზე. ამის ხარჯზე შესაძლებელია დასამუშავებელი ზედაპირის ლეგირება სხვადასხვა ელემენტით.



ნახ. 2

ჩამოთვლილი პროცესების ერთდროული ან და-
მოუკიდებელი მიმდინარეობის დროს ნაკეთობის
დასამუშავებელი ზედაპირი ახალ თვისებებს იძენს,
მისი სისალე და სიმტკიცე ცვეთისადმი მკვეთრად
იზრდება.

მთელი რიგი გამოკვლევებითა და პრაქტიკული
ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ ელექტრო-
ნაპერწკლური შემკვრივების შედეგად ლითონის
თხელი ზედაპირული შრის მიკროსტრუქტურა, ფი-
ზიკურ-ქიმიური და მექანიკური თვისებები ისე
იცვლება, რომ ამ შრის სიმტკიცე და ცვეთისადმი
წინაღობა მნიშვნელოვნად იზრდება.

ჩვეულებრივ ელექტრონაპერწკლური შემკვრი-
ვების დანადგარები იკვებება მუდმივი დენით. მუდ-
მივი დენის ტყაროდ შეიძლება გამოყენებულ იქ-
ნეს: 1. მუდმივი დენის მოტორ-გენერატორები,
2. ელექტრონმილაკიანი გამმართველები, 3. სელე-
ნური და ყოველნაირი სხვა გამმართველები.

ლითონების ზედაპირულ შემკვრივებაზე შემდე-
გი ფაქტორები მოქმედებს:

1. ელექტროპარამეტრები (კონდენსატორების
ტევაღობა, დენის ძაბვა, დენის ძალა და დენის სა-
ხე), 2. ელექტროდების მასალის ფიზიკურ-ქიმიური
თვისებები, 3. დასამუშავებელი ნაკეთობის ზედა-
პირის მედეგობა, 4. დასამუშავებელი ნაკეთობისა
და ელექტროდ-იარაღის ფორმა, 5. პროცესის ხან-
გრძლიობა და სხვ.

ელექტრული რეჟიმი განსაზღვრავს ზედაპირუ-
ლი შემკვრივების ხარისხს, დამუშავებული ზედაპი-
რის სისუფთავის ხარისხს და პროცესის წარმადო-
ბას. დანადგარის მუშაობისათვის არსებობს უხეში,
საშუალო და სუფთა რეჟიმები, რომლებიც უზ-
რუნველყოფს დამუშავებული ზედაპირების სი-
სუფთავეს 3 — 7 კლასით. იმისდა მიხედვით, თუ
როგორი უნდა იყოს დამუშავებული ზედაპირის
სისუფთავე, ელექტრულ რეჟიმებსაც სათანადოდ
შეარჩევენ.

ელექტრული რეჟიმის შერჩევისას უნდა ვიხელ-
მძღვანელოთ აგრეთვე დასაფარავი იარაღის თავი-
სებურებებით. მაგალითად, თუ საჭრისებისა და
ლოჯების დამუშავების დროს ნებისმიერი ელექ-
ტრული რეჟიმი შეგვიძლია გამოვიყენოთ, თხელი
დისკური ფრეზები (რომელთაც მცირე მასა აქვს) რბილი ან საშუალო ელექტრორეჟიმით უნდა და-
მუშავდეს, რადგან ისინი ვერ უზრუნველყოფენ
სითბოს გადატანას დამუშავების ზონიდან. თუ ეს
პირობა დაცული არ იქნა, შეიძლება მჭრელი კბი-
ლები მოეშვას.

არის მთელი რიგი საჭრელი იარაღები (საწელა-
ვები, სატესტები და სხვ.), რომლებიც შემკვრივებუ-
ლი ზედაპირის დიდ სისუფთავეს მოითხოვს. ამ
შემთხვევაში დამუშავებას რბილი რეჟიმებით ან
ძლიერ რბილი რეჟიმებით აწარმოებენ.

შემამკვრივებელ ელექტროდად შეიძლება გა-
მოყენებულ იქნეს შემდეგი მასალები: 1. ტიტან-
ვოლფრამიანი შენაღნობები, 2. მალალნახშირბადი—
ანი ფოლადები, 3. გრაფიტი და ნახშირი, 4. სპი-
ლენძგრაფიტოვანი და ბრინჯაოგრაფიტოვანი მასა-
ლები, 5. სპილენდი და სხვა მასალები.

სალი შენაღნობით შეგვიძლია შევამკვრივოთ
(დავთაროთ) სპირალური და კალმისებრი ბურლე-
ბი; ცილინდრული, სასოგმანე, სატორსე-კუთხოვა-
ნი; მოყვანილი, დისკური და ჭია ფრეზები; საჭრი-
სები და სხვა მჭრელი იარაღები.

ზედაპირის შემკვრივების ხარისხი გავლენას
ახდენს პროცესის ხანგრძლიობაც.

შესამკვრივებელი ზედაპირები შემდეგ მოთხოვ-
ნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს:

1. დასაფარავ ზედაპირზე არ უნდა იყოს უანგა
და ხენჯი,

2. სავარცხლისებრ უსწორმასწორობათა სიმაღ-
ლე არ უნდა იყოს სისუფთავის მეექვსე კლასზე
ნაკლები,

3. შემკვრივების დაწყების წინ დასამუშავებე-
ლი ზედაპირები სუფთა ჩვრით უნდა გაიწმინდოს.

ამ ბოლო დროს საბჭოთა კავშირის მთელი რი-
გი მანქანათსაშენებელი ქარხნები სალი შენაღნო-
ბით ელექტრონაპერწკლურ შემკვრივებას იყენე-
ბენ სხვადასხვა ტვიფრების, მუშა ზედაპირებისა და
საერთოდ ცვეთაზე მომუშავე მანქანათა ნაწილე-
ბის განმტკიცებისათვის. შემკვრივების ეფექტიანო-
ბა დიდია, როდესაც მანქანის ნაწილის მუშაობის
პროცესში დიდი ტემპერატურა არ გამოიყოფა.


ელექტრონაპერწკლური წესით შეამკვრივებენ
აგრეთვე იმ იარაღებს, რომლებიც იხმარება: 1. ხის,
2. ტყავის, 3. პლასტმასისა და სხვა არალითონურ
მასალების დამუშავების დროს.

უკანასკნელ დროს ელექტრონაპერწკლური შე-
მკვრივება გამოიყენეს სამთამაღნო მრეწველობაში
(საბურლავი იარაღების), სასოფლო-სამეურნეო მან-
ქანების მუშა-ნაწილების შესამკვრივებლად და
მთელ რიგ სხვა შემთხვევებში, როცა დეტალებს
დიდი სიზუსტე არ მოეთხოვება, მაგრამ საჭიროა
მნიშვნელოვანი წინაღობა ცვეთისადმი. ამჟამად
მთლიანად არაა გამოვლინებული ელექტრონაპერ-
წკლური შემკვრივების გამოყენების ფარგლები,
თუმცა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი ახლო მო-
მავალში ფართო გავრცელებას პოვებს.

ლითონების ზედაპირული ელექტრონაპერწკ-
ლური შემკვრივება და დაფარვა გამოყენებულია
თბილისის მანქანათსაშენებელ ქარხნებშიც, მაგალი-
თად, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანა-
ში, ქარხანა „დაზგაში“, 26 კომისრის სახელობის
მანქანათსაშენებელ ქარხანაში და სხვ.



ცაგრიალურ არქიტექტორი



პროფესორი ნ. ზებოვი

ჩვენი სამშობლოს ისტორია იცნობს რამდენიმე გრანდიოზულ გეოგრაფიულ წამოწყებას, განხორციელებულს ვრცელი და ზუსტად მოფიქრებული კეგმით. თავისი გაქანებით და შეღებებით გაოცებას იწვევს ბერინგ-ჩირიკოვის კამჩატკის მეორე ექსპედიცია (1733—1743 წწ.), რომელიც ჩატარებულ იქნა პეტრე I განზრახვების შესასრულებლად. ამ ექსპედიციის დროს რუკაზე იქნა გადატანილი ციმბირის ჩრდილო ნაპირები თეთრი ზღვიდან ჩუკოტის ნახევარკუნძულამდე, აღმოაჩინეს ჩრდილო ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროები, ალეუტისა და კომანდორის კუნძულები, რუკაზე იქნა გადატანილი კურილის კუნძულები; რუსმა ზღვა-ოსნებმა ინახულეს იაპონია. ამ ექსპედიციის შეღებად შეიქმნა „რუსეთის ამერიკა“ — რუსეთის ახალშენები ჩრდილო ამერიკის სანაპიროებზე და მიმდებარე კუნძულებზე. ბერინგის ზღვა, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის 1867 წელს „რუსეთის ამერიკის“ მიყიდვამდე, რუსეთის შიგა ზღვა იყო. ამავე ექსპედიციას მოჰყვა რუსეთის იალქნებიანი ხომალდების შესანიშნავი მოგზაურობანი დედამიწის გარშემო, შესრულებული XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

მასშტაბითა და შეღებების მხრივ მეორე შესანიშნავი რუსული გეოგრაფიული წამოწყება იყო 1819 — 1824 წწ. ექსპედიცია, რომელსაც თავისი გაქანებით აგრეთვე არ ჰქონებია მსგავსი რამ მსოფლიო ისტორიაში. მისი ჩატარების დროს ბელინ-

სათაურზე: ასე გამოიყურება ბანაკი მოღრეიფე სამეცნიერო სადგურისა „ჩრდილოეთ პოლუსი № 3“, რომლის ხელმძღვანელია სოციალისტური შრომის გმირი ა. თ. ტრეშნიკვი (ოვალში). აქაა ვერტმფრენი და ავტომანქანები, რომლებიც ბევრად ააღვილებენ პოლარელების შრომას. მეცნიერული მოწყობილობა მოთავსებულია არა ლია ჰაერზე, არამედ კარვებში.

დიდი სამეცნიერო კოლექტივი, შეიარაღებული სრულყოფილი სამამულო ტექნიკით, დაძაბულ მუშაობას აწარმოებს ცენტრალური არქტიკის შესასწავლად.

გაუზენისა და ლაზარევის ხომალდებმა 1820 წ. 16 იანვარს (ძვ. სტ.) აღმოაჩინეს ჩვენი პლანეტის მე-ექვსე მატერიკი — ანტარქტიდა. ეს იყო XIX ს. უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენა. იმავე ნაოსნობის დროს აღმოჩენილი და რუკაზე გადატანილ იქნა ანტარქტიდის მიმდებარე კუნძულები, აღმოჩენილი და რუკაზე იქნა გადატანილი ოკეანის მრავალი კუნძული. იმავე წლებში რუკაზე იქნა გადატანილი ჩუკოტის, აღმოსავლეთ ციმბირისა და ლაპტევების ზღვების ნაპირები მიმდებარე კუნძულებით.

მესამე დიდ გეოგრაფიულ წამოწყებას, რომელსაც თვალსაჩინო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, წარმოადგენდა ჩრდილოეთის საზღვაო გზის ათვისება და არქტიკის გამოკვლევა თვით ჩრდილოეთ პოლუსამდე, რაც უკვე საბჭოთა დროში ტარდებოდა. თავისი დიდი აღმოჩენებით ჩრდილოეთ პოლუსის დაპყრობით, მამაცმა საბჭოთა მკვლევარებმა ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს მეცნიერების ისტორიაში და უჭირნობი სახელი მოიხვეჭეს.

გასაკვირი არ არის, რომ სწორედ ჩვენს, საბჭოთა დროში, ქვეყნის საწარმოო ძალთა მძაფრი განვითარების ეპოქაში, მძლავრი ბიძგი მიეცა ჩვენი ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთი ზღვების შესწავლასა და ათვისებას. რევოლუციამდე ეს ზღვები ნავიგაციური თვალსაზრისითაც კი არსებითად ცუდად იყო გამოკვლეული, რუკები არასარწმუნო იყო, ლოცვიები და დარიგებანი ნაოსნობისათვის კი არ არსებობდა. ამავე დროს კი ციმბირი თავისი უშრეტი სიმდიდრეებით მწვავედ განიცდის მიმოსვლის გზების საჭიროებას. ციმბირის მდინარეთა უმრავლესობა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიეღინება და თითქმის ყველა ისინი უზარმაზარ სიგრძეზე სანაოსნოა.

საზღვაო გზების ორგანიზაციია ციმბირის ჩრდილო სანაპიროების გასწვრივ მოასწავებდა ახალი გზის შექმნას განედური მიმართულებით, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნებოდა ციმბირის საწარმოო ძალების განვითარებისათვის, მის ჩრდილო სივრცეებზე მობინადრე ხალხების კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ ჯერ კიდევ 1918 წელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში ჰიდროგეოგრაფიული ექსპედიციის ორგანიზაციის შესახებ. ამ ექსპედიციას ხელი უნდა მოეკიდა ჩვენი ჩრდილოეთის ზღვების შესწავლისათვის. ინტერვენციამ ხელი შეუშალა ამ საქმეს, მაგრამ უკვე 1920 წელს, არხანგელსკიდან ინტერვენტების განდევნის რამდენიმე დღის შემდეგ, ლენინის მითითებით მოეწყო სამეცნიერო-სარეწაო ექსპედიცია, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა არქტიკულ ინსტიტუტს.

არქტიკის შემდგომ ათვისებაში გამოყენებულ იქნა უაღრესად თანამედროვე საშუალებანი. რუსეთი ყინულმჭრელისა და რადიოკავშირგაბმულობის სამშობლოა. ყინულმჭრელი გამოგონებულ იქნა რუსეთში ჯერ კიდევ 1864 წელს. 1899 წელს აღმირალმა ს. ო. მაკაროვმა პირველად გაიყვანა თავისი პირმშო — მძლავრი ყინულმჭრელი „ერმაკი“ არქტიკის წყლებში. 1895 წელს ა. ს. პოპოვმა გამოიგონა რადიოტელეგრაფი. პირველი გაფრენები არქტიკაში 1914 წლის აგვისტოში შეასრულა რუსმა საზღვაო მფრინავმა ივანე იოსების-ძე ნაგურსკიმ, რომელიც ახალი მიწიდან ყინულებით მიფრინავდა სედოვის ექსპედიციის საძებრად. იმისათვის, რომ ჯეროვნად დავათასოთ ნაგურსკის გაფრენები, უნდა გავიხსენოთ იმდროინდელი თვითმფრინავები. ჭეშმარიტად არაჩვეულებრივი მამაცობა და ოსტატობა იყო საჭირო, რომ ასეთი მანქანით ეფრინათ არქტიკის ცვალებად სივრცეებში. ჩვენ სრული უფლებით ვამაყობთ იმით, რომ ახალი ტექნიკა — ყინულმჭრელი, რადიო და თვითმფრინავი პირველად რუს ადამიანთა მიერაა შემოღებული არქტიკაში.

1924 წლიდან იწყება მფრინავ ბ. ჩუხნოვსკის გაფრენები კომერციული გემების მომსახურებისათვის გზაზე ევროპიდან მდ. ობისა და ენისეის შესართავებში. შემდეგ თეთრი ზღვის ყინულებზე ფრენის იწყებს შესანიშნავი მფრინავი მ. ს. ბაბუშკინი. იგი პირველი აწყობს წარმატებით დაშვებას მოუმზადებელ ყინულოვან ველებზე და ამით არქტიკული აუზის შესწავლის ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

შეუმჩნევლად და თანდათანობით თვითმფრინავი მოქალაქეობრივ უფლებებს იძენს საბჭოთა არქტიკის სივრცეებზე. არც ერთი სამეცნიერო ან სავაჭრო ექსპედიცია არ ეწყობა ისე, რომ მასში მნაწილეობას არ იღებდეს თვითმფრინავი.

განსაკუთრებით სწრაფად არქტიკის ათვისება მიმდინარეობს 1932 წლიდან. სწორედ მაშინ ექსპედიციამ ყინულმჭრელ გემ „სიბირიაკოვით“ პირველად არქტიკის ისტორიაში ერთი ნავიგაციის განმავლობაში მიაღწია არხანგელსკიდან ვლადივოსტოკამდე. ამასთან დაკავშირებით იმავე წელს მოეწყო ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამართველო, რომელსაც დაეკისრა საპასუხისმგებლო ამოცანა — უსაფრთხო პირდაპირი გზის უზრუნველყოფისა ბარენცის ზღვიდან ყინულოვან ოკეანეში და უკან.

ამ ამოცანის შესასრულებლად მრავალრიცხვანი საზღვაო და სახმელეთო ექსპედიციები შეუდგნენ განაპირა ზღვების, კუნძულებისა და საბჭოთა არქტიკის სანაპიროების სისტემატურ კვლევას. ამის შედეგად ამ რაიონების რუკები ისე იცვლებოდა, რომ ცნობა შეუძლებელია.

ძნელი ჩამოსათვლელია ყველა ის საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ექსპედიციები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა არქტიკაში ჩაატარა. მათ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს მუშაობა ერთიანი, ზუსტად მოფიქრებული გეგმით და ყველაზე უფრო თანამედროვე ტექნიკური საშუალების გამოყენება.

მაგრამ მრავალი მიღწევისა და მრავალი წარმატებით დამთავრებული ნაოსნობის მიუხედავად, ჩრდილოეთის საზღვაო გზა ათვისებულად ვერ ჩაითვლებოდა თუნდაც მარტო იმიტომ, რომ მთავარ დაბრკოლებას ამ გზაზე წარმოადგენენ არა შტორმები, არამედ ყინულები.

საკმაოა გადავხედოთ ჩრდილოეთის საზღვაო გზის ტრასის რუკას, რათა ნათელი გახდეს, რომ ამ ტრასის ყველა ზღვა — კარისა, ლაპტევებისა, აღმოსავლეთ-ციმბირისა და ჩუკოტისა — წარმოადგენენ არა ზღვებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არამედ ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის უბეებს. ყველა ისინი ფართოდაა ღია ჩრდილოეთისაკენ და არავითარი დაბრკოლება არაა იმისათვის, რომ ამ ზღვებში წარმოშობილი ყინულები გატანილ იქნეს ცენტრალურ არქტიკულ აუზში და პირუკუ — ცენტრალური არქტიკული აუზის ყინულები გატანილ იქნეს ამ ზღვებში. აქედან ცხადია, რომ ყინულების რეჟიმი საბჭოთა არქტიკის განაპირა ზღვებში უაღრესად დამოკიდებულია ყინუ-

ლების რეუიმზე ცენტრალურ არქტიკულ აუზში და შანამდე, სანამ ცენტრალურ არქტიკულ რაიონს არ შევისწავლით, ჩვენ ვერ შევძლებთ სრულად გავცეთ პასუხი პრაქტიკის მოთხოვნილებებს ჩრდილოეთის საზღვაო გზის ტრასაზე ყინულების მდგომარეობის შესახებ.

1937 წლის 21 მაისი სამუდამოდ შევა დიდ მოგზაურობათა და გამოკვლევათა ისტორიაში: ამ დღეს საბჭოთა თვითმფრინავმა ზედ ჩრდილოეთ პოლუსთან გადმოსხა ოთხი მოზამთრე, სადგურმა — „ჩრდილოეთ პოლუსმა“ დაიწყო თავისი სახელოვანი მუშაობა.

1941 წელს მოეწყო ახალი საპარო ექსპედიცია, ამჯერად „შედარებითი მიუდგომლობის პოლუსის“ რაიონში. ექსპედიციას საფუძვლად დაედო ახალი პრინციპი: თვითმფრინავი მეცნიერ მუშაკთა ჯგუფს გადასხამდა ერთი კუნძულიდან მეორეზე და ამ ჯგუფთან რჩებოდა, ვიდრე დამთავრებული არ იქნებოდა დაკვირვებათა გათვალისწინებული ციკლი. ამ შესანიშნავი ექსპედიციის მფრინავი იყო ი. ი. ჩერევიჩი.

ამგვარად, საბჭოთა ადამიანებს ეკუთვნის პირველი აზრი არქტიკული აუზის გამოკვლევის ახალი პრინციპების შესახებ და მათი პირველი განხორციელება, სახელდობრ: აზრი თვითმფრინავების დახმარებით მოდრეიფე სამეცნიერო სადგურების მოწყობისა და თვითმფრინავების საშუალებით მეცნიერი მუშაკების გადაყვანისა ერთი პუნქტიდან მეორეზე, სათანადო დაკვირვებების წარმოებისათვის.

1950 წელს ცენტრალური არქტიკის მოდრეიფე ყინულებზე მოეწყო მეორე სამეცნიერო სადგური, რომელსაც ეწოდა „ჩრდილოეთ პოლუსი-2“. მისი უფროსი იყო ამჟამად სოციალისტური შრომის გმირი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი გ. მ. სოჭოვი.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე მაღალგანედური საპარო ექსპედიციის მიერ ვ. თ. ბრიუხანოვის ჰელმძღვანელობით მოწყობილ იქნა კიდევ ორი შემდგური: „ჩრდილოეთ პოლუსი-3“ — სოციალისტური შრომის გმირის გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. თ. ტრეშნიკოვის მეთაურობით და „ჩრდილოეთ პოლუსი-4“, რომელსაც მეთაურობს გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი ე. ი. ტოლსტიკოვი.

გარდა სადგურების ორგანიზაციისა, პოლარული ავიაციის თვითმფრინავებმა ომის შემდგომ წლებში მოახდინეს მრავალრიცხოვანი დაშვებანი ცენტრალური არქტიკის ყინულის ველებზე. ამ და-

შვებათა დროს მეცნიერი მუშაკები დაკვირვებებს ატარებდნენ იმავე გეგმით, როგორც მუდმივ მოდრეიფე სადგურებზე. ისინი აწარმოებდნენ სილრმეტა გაზომვებს და ტემპერატურათა გაზომვებს ზღვის ზედაპირიდან სხვადასხვა სილრმეზე, აგროვებდნენ გრუნტის ნიმუშებს, სხვადასხვა სილრმეზე აგროვებდნენ წყალის ნიმუშებს შემდგომი ქიმიური ანალიზისათვის, აგრეთვე როგორც ფსკერზე, ისე ზღვის წყლების თვით სიზრქეში მცხოვრები ზღვის ორგანიზმების ნიმუშებს, არკვევდნენ ყინულების სისქეს, მათ მდგომარეობასა და მექანიკურ თვისებებს.

შედეგად ამ გამოკვლევებისა, რომლებიც ომის შემდგომ წლებში ჩატარდა, ჩვენი წარმოდგენება ცენტრალურ არქტიკაზე და მასში მიმდინარე პროცესებზე საფუძვლიანად შეიცვალა.

პირველ ყოვლისა, ამ გამოკვლევამდე, ჩვენ ვფიქრობდით, რომ ცენტრალური არქტიკის ფსკერი წარმოადგენს გიგანტურ ჯამს, რომელიც, ვთქვათ, გავს შავი ზღვის ჯამს. ჩვენ ასეც ვამბობდით: „ცენტრალური არქტიკული აუზი“. აღმოჩნდა, რომ ეს აუზი გადასერილია წყალქვეშა ქედით (რომელსაც მ. ვ. ლომონოსოვის სახელი მიეკუთვნა). ეს ქედი მიემართება დაახლოებით სწორი ხაზით ახალი ციმბირის კუნძულებიდან ელსმირის მიწისაკენ (გრენლანდის დასავლეთით). ეს ქედი ოკეანის ფსკერიდან 2,5-3 კილომეტრის სიმაღლეზეა აღმართული. ამგვარად, „ცენტრალური არქტიკული აუზი“ გაყოფილი აღმოჩნდა ორ სექტორად: ატლანტიკური და წყნარი ოკეანისა, თითოეული — თავისი განსაკუთრებული რეჟიმით.

ცენტრალური არქტიკის ატლანტიკური სექტორის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ყინულების გატანა გრენლანდის ზღვაში, შემდეგ — ატლანტის ოკეანეშიც. წყნარი ოკეანის სექტორის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ზღვის ყინულების ანტიციკლონური (საათის ისრის მიხედვით) წრებრუნვა. ყინულების მოძრაობა ატლანტიკურ სექტორში დამტკიცებულ იქნა ხომალდების ყველა ცნობილი დრეიფებით. პირველი მოსაზრებები წყნარი ოკეანის სექტორში ყინულების საათის ისრის მიხედვით მოძრაობის შესახებ გამოთქმული იყო ჯერ კიდევ რუსეთის 1900 — 1903 წწ. პოლარული ექსპედიციის მონაწილეების მიერ. შეძეგში (1940 წელს) ასეთი მოძრაობა ამ სტატიის ავტორის მიერ დამტკიცებულ იქნა თეორიული დასკვნების საფუძველზე. დაბოლოს, იგი დამტკიცებულ იქნა საბჭოთა მკვლევარების მიერ, რომლებიც

რიგი წლების განმავლობაში თვალყურს აღევნებდნენ განსაკუთრებით თვალსაჩინო ყინულოვანი ველებისა და აისბერების მოძრაობას.

შემდეგ გამოიჩვა, რომ ატლანტიკის სექტორში ჭარბობენ ატლანტიკური წარმოშობის ორგანიზმები, წყნარი ოკეანის სექტორში — წყნარი ოკეანისა და რომ ატლანტიკური სექტორის ფსკერისპირა წყლები გაცილებით უფრო ცივია, ვიდრე წყნარი ოკეანის სექტორისა.

ყველაზე განსაცვიფრებელ აღმოჩენას არქტიკაში ომის შემდგომ წლებში წარმოადგენდა აღმოჩენა „ყინულოვანი კუნძულებისა“, როგორც მათ ეწოდა მათი მსგავსების გამო ჩვეულებრივ არქტიკულ კუნძულებთან, რომლებიც იმავე დროს ყინულებისაგან შედგებიან და ყინულებთან ერთად დრეიფობენ.


პირველი დიდი ყინულის კუნძული აღმოჩენილი იქნა მთრინავ ი. ს. კოტოვის მიერ ვრანგელის კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით 1946 წლის მარტში. ამ კუნძულის სიგრძეა — დაახლოებით 30 კმ, განი — 25 კმ, ფართობი — 600 კვ. კმ-ზე მეტი. 1948 წლის აპრილში მთრინავმა ი. ტ. მაზურუკმა აღმოაჩინა მეორე დიდი კუნძული 82° ჩრდილოეთ განედზე და 170° აღმოსავლეთ გრძედზე. მესამე ასეთივე კუნძული აღმოაჩინა მთრინავმა ვ. მ. პეროვმა 1950 წლის მარტში კუნძულ ჰერალდის ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩაიონში.

ყინულის კუნძულების ყველაზე შესანიშნავ თავისებურებას წარმოადგენს მათი ზედაპირის ტალღისებრივობა. ყინულის ბორცვების თხემები პარალელურ მწკრივებადაა გადაჭიმული კუნძულის მთელ სიგრძეზე, ერთმანეთისაგან 300-დან 1000-დე მეტრ მანძილზე.

როგორც რიგი წლების განმავლობაში ჩატარებულმა დაკვირვებებმა ნათელყო, ყინულის კუნძულები თითქმის არ იცვლიან თავის ზომას, რაც მათ დიდ სისქესა და სიმტკიცეს მოწმობს.

ყინულის ზედაპირის ტალღისებრივობამ შემდეგში შესაძლებელი გახადა იმის გამორჩევება, რომ ეს კუნძულები წარმოიშვება ელსმირის — მიწას ჩრდილოეთ ნაპირებთან, სადაც ყინულები ასეთივე ტალღისებრივი ზედაპირით 90 კილომეტრის სიგრძის სარტყლადაა გადაჭიმული. ზოგიერთი მეცნიერები იმ მოსაზრებას გამოთქვამენ, რომ ეს „ტალღისებრივი“ ყინულები უკანასკნელი გაყინვარების ნაშთებია, რომლებიც თანდათანობით ისპობა.

არქტიკის შესწავლაში ყინულის კუნძულებმა გარკვეული როლი ითამაშეს. მათმა ორიგინალურმა ფორმამ შესაძლებელი გახადა მათი მრავალი წლის განმავლობაში გამოცნობა ჰაერიდან და მათი დრეიფის მიხედვით ყინულების საერთო ცირკულაციის შესახებ მსჯელობა.



სადგურის „ჩრდილოეთ პოლუსი-3“ და სადგურის „ჩრდილოეთ პოლუსი-4“-ის მუშაობა საინტერესოა სწორედ ამჟამად, როცა ჩვენ განვიცდით ამინდის სრულიად არაჩვეულებრივ პირობებს: კატასტროფულ წყალდიდობებს ავსტრიასა და გერმანიაში, სიცეს სსრ კავშირის ევროპული ნაწილის შუა ზოლში. ეჭვს გარეშეა, ყველა ეს მოვლენა დაკავშირებულია პროცესებთან, რომლებიც არქტიკაში ხდება.

საბჭოთა აღამიანები დიდი ინტერესით აღევნებენ თვალყურს მოდრეიფე სადგურების მუშაობას. იქ მუშაობენ გამოჩენილი მეცნიერები, სადგურები შესანიშნავი ხელსაწყოებითაა აღკაზმული. სახელმწიფო ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პოლარების შრომა შეემსუბუქებინა. მათი მუშაობა სამსახურს გაუწევს საბჭოთა ჩრდილოეთის საწარმოო ძალების შემდგომ აყვავებას, გაამრავლებს სამამულო მეცნიერების დიდებას.

(„სოვ. კულტურა“)



60 განერაგული აზომები

ზოგიერთი გამოყანაბაზი

კ. ევარესი

რეინიგზის იშინერთა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის უფროსი

წინასწარი ცნობები

მეცნიერები დიდი ხანია ოცნებობდნენ ატომების „ნიშანდებაზე“ ისე, როგორც უკეთებენ ნიშნებს ფრინველებს იმ მიზნით, რომ შეისწავლონ მათი გზა, ზამთრობის ადგილი და სხვ. ეს შესაძლებელს გახდიდა დაკვირვებას იმ სხვადასხვა ნივთიერებათა გადაადგილებაზე, რომლებიც შეჰქავთ ადამიანთა, ცხოველთა, მცენარეთა ორგანიზმში, ამ ნივთიერებათა უპირატესი კონცენტრაციის ადგილების გამორკვევას და სხვ.

ამჟამად ეს ოცნება განხორციელებულია „ნიშანდებული ატომების“ სახით. ამ მეთოდის დახმარებით, მაგალითად, შეიძლება გამოირკვეს, რა რა სისწრაფით შეიწოვება შხამი კუჭიდან და ნაწლავებიდან სისხლში, ან გადაიჭრას საკითხი — რა სახით — ხსნარის, ფხვნილის ან სხვანაირად დამზადებული სახით უფრო სწრაფად და უფრო სრულად ითვისებს წამალს ორგანიზმი. ამ მეთოდით სარგებლობენ აგრეთვე იმისათვის, რომ გამოარკვიონ, თუ რამდენ ხანს რჩება ბრძმედში აირები. გეოლოგები „ნიშანდებული ატომებით“ სარგებლობენ მთის ქანების ასაკის განსასაზღვრავად და სასარგებლო წიაღისეულის აღმოსაჩინად. ქიმიკოსები „ნიშანდებული ატომების“ დახმარებით შეისწავლიან სხვადასხვა რეაქციების მექანიზმს და სხვადასხვა ნივთიერებათა ანალიზის მეთოდებს ამოწმებენ. მანქანათმშენებლობაში „ნიშანდებული ატომები“ გამოყენებულია მჭრელი იარაღების ცვეთადობის გამოსაკვლევად, საზეთავი მასალების შესარჩევად და სხვ.

„ნიშანდებული ატომები“ საშუალებას აძლევენ მეტალთმცოდნებს გამოარკვიონ შენადნობების სტრუქტურა და დაადგინონ — როგორი კრისტალები გამოიყოფა პირველად გამდნარი მასიდან. ეს მეთოდი გამოდგება ავტომობილის სალტების გაცვეთის განსასაზღვრავად და გზების ასფალტის საფარის სიმტკიცის გამოსაცდელად.


არე „ნიშანდებული ატომების“ გამოყენებისა მეცნიერების სრულიად სხვადასხვა დარგში — ქიმიაში, ბიოლოგიაში, მედიცინაში, ფიზიკაში, გეოლოგიაში და სხვ. განუწყვეტლივ იზრდება.

ჩვენი უურნალის მკითხველები უკვე გაცნობილი არიან რადიაქტიური დაშლის მექანიზმსა და ამ დაშლის პროდუქტებს.


როგორც ცნობილია, ატომებს, რომელთაც ბირთვის ერთნაირი მუხტი და, მაშასადამე, ერთნაირი ქიმიური თვისებები აქვთ, შეიძლება სხვადასხვა მასე-

ბი ჰქონდეს (ატომგულური ნაწილაკების — პროტონების, ნეიტრონების სხვადასხვა თანაფარდობით ხასიათდებოდნენ). ასეთ ატომებს, როგორც ვიცით, ეწოდება იზოტოპები, ე. ი. ელემენტები, რომელთაც დ. ი. მენდელეევის ცხრილში ერთი და იგივე ადგილი უკავიათ.

მაგალითისათვის მოგიყვანთ განტოლებას, რომელიც შეესაბამება ფოსფორის იზოტოპის წარმოქმნას გოგირდიდან:



გოგირდი ნეიტრონი ფოსფორი პროტონი ანალოგიურად, აზოტის ატომის ნეიტრონებით დაყუმბარებისას, ჩვენ შეგვიძლია მის ბირთვში ერთი პროტონი შევცვალოთ ნეიტრონით, რაც გამოიხატება განტოლებით:



აზოტი ნეიტრონი ნახშირბადი პროტონი მიღებული ხელოვნური იზოტოპები შესანიშნავია იმით, რომ ბირთვის ანორმალური ანაგობით ხასიათდებიან და ამიტომ არასაკმოდ მდგრად სისტემებს წარმოადგენენ.


ხელოვნურად მიღებული რადიაქტიური იზოტოპების დაშლას თან ახლავს რადიაქტიური გამოსხივება, რაც ადვილი აღმოსაჩინად.

ამიტომ ხელოვნურად მიღებული რადიაქტიური იზოტოპები ფართო გამოყენებას პოულობენ მეცნიერებაში, კერძოდ, „ნიშანდებული ატომების“ მეთოდში.

„ნიშანდებული ატომების“ შეყვანის მეოხებით გამოსაკვლევი ნივთიერება იძენს ახალ თვისებას — რადიაქტივობას, რომლის მიხედვითაც იგი ადვილი აღმოსაჩინად ხდება. საგანს, რომელიც რადიაქტიურ ელემენტს შეიცავს, მაგალითად, მცენარის ფოთოლს ან ცხოველის ქსოვილის ანათალს სიბნელეში მიაღებენ ფოთოფირფიტას, რომელზედაც მისი გამომულავნების შემდეგ იმ ადგილებში, სადაც რადიაქტიური გამოსხივება მოქმედებდა, მუქი ადგილები ჩნდება. „ნიშანდებული ატომების“ სულ მცირედი მინარევი წარმოდგენას იძლევა მთელი ნივთიერების გადანაცვლებაზე ორგანიზმში. რადიაქტიური იზოტოპებით „ნიშანდებული“ ნივთიერებანი გამოასხივებენ უხილავ სხივებს, რომლებიც ვლინდება „რადიოავტოგრაფიის“ მეთოდით ან მთვლელების მეთოდით. რადიოავტოგრაფია ემყარება რადიაქტიური იზოტოპების გამოსხივების იმ თვისებაზე, რომ

ისინი მოქმედებენ ფოტოგრაფიული ემულსიების ვერცხლის ბრომიდის კრისტალებზე.

რაც შეეხება მთვლელის მეთოდს, მისი არსის ნათელსაყოფად ჩვენ აქ მოკლედ აღწერთ გეიგერ-მიულერის მთვლელს, რომელიც ყველაზე გავრცელებული ხელსაწყოა რადიაქტიური გამოსხივების რეგისტრაციისათვის. მთვლელი შედგება ლითონის მილაკისა და მავთულისაგან, რომელიც გარე ცილინდრის კოაქტიულურად არის გაჭიმული და იზოლირებულია მისგან (იხ. ნახ. 1). მილაკი ჰერმეტუ-



ნახ. 1. გეიგერ-მიულერის მთვლელის სქემა

ლია, ავსებულია გაზით ან გაზების ნარევით (არგონი + სპირტის ორთქლი) დაბალი წნევის პირობებში (10 — 15 სმ ვერცხლისწყლის სვეტისა). მილაკი შეერთებულია 1000 ~ 2000 ვოლტი მუდმივი წნევის მქონე ელექტრული დენის წყაროსთან. მთვლელის ძაფი დიდი წინაღობის მეშვეობით შეერთებულია მიწასთან. ხვდება რა მთვლელში, ნაწილაკი იწვევს იონიზაციას და წარმოქმნის ელექტრონებისა და დაღებითად დამუხტული იონების რამდენიმე წყვილს. ელექტრული ველის მოქმედებით ელექტრონები მოძრაობენ მავთულისაკენ. მათი მოძრაობის სიჩქარე ბევრად აღემატება ლითონის კედლებისაკენ მოძრავი დაღებითი იონების სიჩქარეს.

ელექტრული ველით აჩქარებული ელექტრონები ძაფისაკენ მოძრაობის გზაზე ეჯახებიან სხვა ნაწილაკების დიდ რაოდენობას, რის შედეგადაც ხდება შემდგომი იონიზაცია, იქმნება ელექტრონების ზვავი, რომლებიც წარმოქმნიან განმუხტვის იმპულსს, რაც სქემის სხვა ელემენტებს გადაეცემა. იმისათვის, რომ ერთი იმპულსი დამთავრდეს და დაიწყოს მეორე, დაღებითი იონები უნდა მივიღნენ გედლამდე, რისთვისაც საჭიროა $10^{-3} \sim 10^{-4}$ წამი. ამ დროს მთვლელის „მკვდარი დრო“ ეწოდება, ვინაიდან ამ დროის განმავლობაში არ შეიძლება არავითარი სხვა ნაწილაკის რეგისტრაცია.


ჩვეულებრივ სასურველია რამდენიმე ათასი იმპულსის დათვლა წუთში. რამდენადც მექანიკურ რეგისტრატორებს არ შეუძლიათ ასეთი სიჩქარით მუშაობა, მთვლელსა და რეგისტრატორს შორის იდგმება გადაანგარიშებელი მოწყობილობა. ეს მოწყობილობა რეგისტრატორს ერთ იმპულსს გადასცემს იმის შემდეგ, რაც იმპულსების გარკვეულ რაოდენობას მიიღებს გეიგერ-მიულერის მთვლელისაგან. ჩართვის სქემებში, რომლებიც ჩვეულებრივ იხმარება, ველი მთვლელში სწრაფად აღდგება ბატარიიდან მუხტების მიღების ხარჯზე, რომელთანაც მთვლელი მიერთებულია R წინაღობის მეშვე-

ობით, განმუხტვიდან 100 ~ 200 მიკროწამის შემდეგ მთვლელი კვლავ მზად არის სამოქმედოდ. უნდა აღინიშნოს, რომ განმუხტვის სწრაფად მიღევა ხდება მთვლელის გაზური მეშვების სპეციალური შერჩევისა და იმ პირობით, რომ მასზე ძაბვა საკმაოდ მაღალი არ არის. ამგვარად, აქ აღწერილ მთვლელში შეიძლება დავითვალოთ ცალკეული ნაწილაკები და, მაშასადამე, მოვახდინოთ ატომთა ცალკეული გარდაქმნების რეგისტრაცია.

„ნიშანდებული ატომების“ მეთოდის განვითარებამ უახლოეს წლებში მნიშვნელოვანი გავლენა უნდა იქონიოს პრაქტიკულ მეღიცინაზე. პროფ. ა. მ. კუზინის აზრით, „ნიშანდებული ატომების“ მეთოდი მეტად პერსპექტიულია მკერდის ჯირკვლის სიმსივნეთა ბუნების დიაგნოსტიკისა და თავის ტვინში სიმსივნეთა მდებარეობის გამორკვევის თვალსაზრისით. მისივე აზრით, მეთოდი პერსპექტიულია ავთვისებიან სიმსივნეთა თერაპიის მხრივაც, რამდენადაც იგი რენტგენო- და რადიოთერაპიისაგან განსხვავებით, შესაძლებლად ხდის სხეულის დაზიანებული ადგილების ლოკალურ (ადგილობრივ) მოსხივებას.

მეცნიერებისა და ტექნიკის სევალასევა დარგებში „ნიშანდებული ატომების“ გამოყენების კონკრეტული მეთოდიკა ლითონების ჭრა

საჭრელი ინსტრუმენტის (საჭრისის, ფრეზის, ბურლისა და სხვ.) მედეგობის, ე. ი. ორ მომდევნო დაბლაგვებათა შორის მუშაობის ხანგრძლიობის დადგენა — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც ლითონდამმუშავებლებმა უნდა გადაწყვიტონ. ამ ამოცანის გადასაჭრელად უნდა გაიზომოს საჭრელი ინსტრუმენტების გაცვეთა იმ დროის მიხედვით, რომლის განმავლობაშიც წარმოებდა ჭრა, ე. ი. დადგინდეს, მაგალითად, თუ როგორ იცვლება საჭრისის მჭრელი ნაწილურის გაცვეთის სიგანე „h“




ნახ. 2

(ნახ. 2) დროის მიხედვით. ამოცანის გადაჭრის ჩვეულებრივი ხერხი შრომატევადია, რადგან ის მოითხოვს დროისა და მასალების დიდ ხარჯს. ხომ არ შეიძლება ამ ამოცანის უფრო ჩქარა გადაჭრა? გამოირკვა, რომ თურმე შეიძლება, მაგრამ ამისათვის უნდა მივმართოთ რადიაქტიური იზოტოპების დახმარებას. მჭრელი ფინის სახით ავიღოთ ლითონქერა-მიკული მყარი შენადნობი, რომელიც დამაცემენტებელ მასალად შეიცავს კობალტს (Co), შემდგარი ვოლფრამის, ტიტანისა და ტანტალის კარბიდებისა-გან. ნეიტრონთა ნაკადში საჭრისის გააქტივებით შეიძლება იმის ჩვენება, რომ ამის შედეგად მასში წარმოიქმნება რადიაქტიური იზოტოპები

W¹⁸⁵, Ta¹⁸² და Co⁶⁰.

ახლა ამ საჭრისების საშუალებით ვიმუშაოთ სულ რამდენიმე წამის განმავლობაში. აქტივირებული საჭრისის წინა წახნაგის გასწვრივ მოსრიალე ბურბუ-შელა (ნახ. 3) თან წარიტაცებს საჭრისის ნაწილაკე-



ბის მცირე რაოდენობას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია გავზომოთ გამოყოფილი ბურბუშელას რადიაქტიობა და ამისდა მიხედვით არაპირდაპირ ვიმსჯელოთ საჭრისის გაცვეთაზე. ამგვარად, საჭრისის მყისიერი გაცვეთის განსაზღვრის მეთოდი შემდეგი მდგომარეობს: მჭრელ მასალაზე ნეიტრონული მოსხივებით მოქმედებენ ატომგულურ რეაქტორში, რის შემდეგ ზომავენ რადიაქტივობას მოცილებული ბურბუშელისას, რომელიც თავის საჭრისზედა ფენაში შეიცავს ინსტრუმენტის „მყისიერად“ გაცვეთილი არეს ნაწილაკებს. შესაძლოა, ვინმეს გაუგებრად მოეჩვენოს, თუ როგორ იძლევა ასე ხანმოკლე (რამდენიმე წამის განმავლობაში) ჭრა შესაძლებლობას ვიმსჯელოთ ინსტრუმენტის გაცვეთაზე. ეს იმით აიხსნება, რომ საჭრელი ინსტრუმენტის რადიაქტიური მასალის 90 პროცენტზე მეტი, სცილდება რა უკანასკნელს (წინა წახნაგს), ბურბუშელას ეკვრის.

* * *

დასასრულ აღვწერთ მეთოდიკას ორი სამამულო გამოკვლევისა, რომელიც ამ მცირე ხნის წინათ ჩატარდა ნიშანდებული ატომების მეთოდით ლი-თონთა ჭრის დარგში*.

ე. პ. ნადეინსკაიამ დაამუშავა და გამოიყენა ბურბუშელაზე გადასული გაცვეთის პროდუქტების აქტივობის გაზომვის ორი მეთოდი. პირველი მეთოდი დამყარებულია ბურბუშელაზე გადასული გაცვეთის პროდუქტების აქტივობის უშუალო გაზომვაზე, მეორე კი — ბურბუშელის გახსნაზე მუავაში.

პირველი მეთოდი იმაში მდგომარეობდა, რომ მოხსნილ ბურბუშელას ფხვნილად აქცევდნენ წნევის ქვეშ, შემდეგ კი განსაზღვრული წონითი სინჯის სახით (50 გრ) ათავსებდნენ მთვლელების ბლოკში, რომლის დახმარებითაც ხდებოდა აღებული სინჯის აქტივობის გაზომვა.

ბურბუშელაზე გაცვეთის პროდუქტების აქტივობის გაზომვის მეორე მეთოდს, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს მეთოდი ბურბუშელის აქტიური ფენების გახსნისა მუავაში.

მთვლელი მოწყობილობა შედგება გეიგერ-მიულერის ერთეული მთვლელისაგან, რომელიც მოთავსებულია ორმაგედლიანი ჭიქის ცენტრში. სივრცე ჭიქის კედლებს შორის ივსება მუავას ხსნარით (უკანასკნელი შეიცავს მასში გახსნილი ბურბუშელის გაცვეთის აქტიურ პროდუქტებს).

ქვემოთ მოკლედ მოგვყავს ნ. ფ. კაზაკოვის კვლევის მეთოდის აღწერა. ჭრის ყოველი ცდის ხანგრძლივობა შეადგენდა მხოლოდ 2-დან 20-დებამს (მყისიერი ჭრა). ექსპერიმენტატორისათვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, პირველ ყოვლისა, რადიაქტიური საჭრისის ხელით შეხების თავიდან ასაცილებლად, სარგებლობდნენ პინცეტებითა და საჭრისების საჭერელებით. ფირფიტა მექანიკური სამაგრით შეიძლებოდა გამოცვლილი ყოფილიყო ექსპერიმენტატორისაგან მნიშვნელოვან მანძილზე. საჭრისები სპეციალურ სადგომებში თითო-თოდ ინახებოდა სქელკედლიან ბუდეებში. ფირფიტები ინახებოდა და ამოიღებოდა პინცეტებით. ის ადგილი, საღაც ჭრა ხდებოდა, დაცული იყო სპეციალური მოწყობილობით — ეკრანის სახით. როცა ჭრა დამთავრდებოდა, საჭრისს ამოიღებდნენ და ათავსებდნენ სპეციალურ კამერაში. მიღებულ ბურბუშელას აგროვებდნენ სპეციალურ ტარაში და აწონიდნენ. ბურბუშელას რადიაქტივობის გაზომვას საჭრისის მყისიერი გაცვეთის განსასაზღვრავად აწარმოებდნენ ცალკე სადგომებში, რომელიც საკმაოდ იყო დაშორებული ცდის ადგილიდან. ნ. ფ. კაზაკოვმა T15K6 მარკის რადიაქტიური საჭრისით ფოლად 45-დან მოხსნილი ბურბუშელის სპექტრული ანალიზით ვერ შეძლო მასში ვოლფრამისა და კობალტის კვალის აღმოჩენა. რადიოგრაფიული მე-

* „Известия АН СССР, ОТН“, 1954 №., იანვარი.

თოდის გამოყენებით კი მან მიაღწია ამ მიზანს. რადიოგრაფირების პროცესი გრძელდებოდა ორი დღე. სურათი გადაღებულია ბურბუშელის საჭრის ზე-და მხრიდან. რადიოგრამის დათვალიერების დროს გამუქებული ადგილები ჩანს იქ, სადაც ბურბუშელის გასწროვ საჭრისის ცვეთის პროდუქტები ლაგდებოდა.

მავთულის აღიდაში გასატარებელი თვალაკების გაცვეთა

სალი შენადნობისაგან დამზადებული ადიდას თვალაკი მიღიმეტრიანი ნახვრეტებით ერთი კვირის განმავლობაში განიცდიდა ნეიტრონებით აქტივაციას. სხვადასხვა რადიოელემენტების აქტივობა ადიდაში გასატარებელ თვალაკის მასალაში, რომელიც შედგებოდა ვოლფრამის კარბიდისაგან, რომელსაც 10% Co ჰქონდა დამატებული, ასეთი იყო: $\text{Co}^{60}-12\text{mC}$, $\text{W}^{185}-1,47\text{mC}$ და $\text{W}^{187}-490\text{mC}$. აქტივირებული თვალაკის ნახვრეტში ტვირთის მოქმედებით გასჭიმავდნენ სპილენძის მავთულს. ისე როგორც ჭრის დროს, გაცვეთის გამო თვალაკის ნაწილაკები გადადიოდნენ გასაჭიმავ მავთულში, რომლის აქტივობას შემდეგნაირად ზომავდნენ: თვალაკში უკვე გატარებული მავთულიდან ახვევდნენ კოჭას მჭიდროდ განლაგებული მავთულის ხვიებისაგან, მთვლელი კი თავსდებოდა კოჭის ღერძზე. გამოკვლევამ ნათელყო, რომ რადიაქტიური იზოტოპების მეთოდი საკმაო მგრძნობიარობით ხასიათდება, რომ აღმოაჩინოს ვოლფრამისა და კობალტის კარბიდების სულ მცირე რაოდენობანი, რაც მავთულზე დარჩა ადიდვის დროს.

ავტომობილის სალტევების გაცვეთა

ავტომობილის სალტევების გაცვეთის განსაზღვრის სწრაფი ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ შემადგენლობას, რომელიც სალტის ზედაფენას შეადგენს, ემატება რადიაქტიური ფოსფორი. სალტის გაცვეთის განსასაზღვრავად იხმარება გეიგერ-მიულერის მთვლელი, მონტირებული სპეციალურ ურიკაზე, რომელიც მოძრაობს რადიაქტიური სალტისაგან დატოვებული ნაკვალევით. პარალელურად აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სალტის მოწყვეტილი ნაწილაკების აქტივობის განსაზღვრის ავტოგრაფიული მეთოდი. სალტის მიერ დატოვებულ კვალზე მიაჭერდნენ ფოტოფირს. ექსპოზიციის დრო რიგ შემთხვევებში რამდენიმე დღეს აღწევს.

საბრძოვებელი პროცესის გამოკვლევა

ბრძმედში გაზების ყოფნის დროის განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან აირის უანგბად-სა, მაღნის რკინის უანგეულსა და კოქსის ნახშირბადს შორის რეაქციის მიმდინარეობაზე დამოკიდებულია რკინის აღდგენა. 40 თC რადონი, რომელიც მოთავსებული იყო 12 ამპულაში, ერთდროულად შეჰყავდათ ბრძმედებში საქშინის ხელსაწყოების საშუალებით, რომელთაც ჰქონდათ ელექტრული დეტონატორი და ფერქებადი ნივთიერების მუხტი. აფეთქების დროს ამპულები იფანტებოდა, რადონი

ნაწილდებოდა ღუმელში. გაზის სინჯები ბრძმედის ზედა ნაწილში აიღებოდა ყოველ წამში და მას ანალიზი უკეთდებოდა რადიაქტიური ნივთიერების განსაზღვრავად. გამოირკვა, რომ ბრძმედში აირების ყოფნის დრო გაცილებით მცირეა კედლებთან, ვიდრე ცენტრში. აირების მაქსიმალურ რადიაქტივობას კედლელთან აღწევდნენ რადონის ბრძმედში შეშვებიდან 3 წამის შემდეგ იმ დროს, როცა ცენტრში ამისათვის რვა წამზე მეტი იყო საჭირო. რადიაქტიური იზოტოპების მეთოდი გამოყენებულ იქნა აგრეთვე ცეცხლგამძლე წყობის გაცვეთის გამოსაკვლევად.

რადიოიზოტოპების შესრულებითი შთანთხმა ტვინის ცისივნევაბის ადგილებში

კატებში, რომლებზედაც დაკვირვებას ახდენ-დნენ, იწვევდნენ ტვინის ნახევარსფეროების ტრავმატულ და ჩირქოვან დაზიანებებს. ხუთი-ექვსი დღის შემდეგ ინტრავენურად შეჰყავდათ რადიაქტიური ფოსფორის P^{32} სხვადასხვა დოზები. 24—36 საათის შემდეგ ცხოველებს კლავდნენ. ტვინის დაზიანებულ ნაწილებს ამოჭრიდნენ და მათ რადიაქტივობას ადარებდნენ მოპირდაპირე მხარის ნახევარსფეროს ქსოვილების საკონტროლო უბნების რადიაქტივობას. გამოირკვა, რომ კატების ტვინის ტრავმატულ და ჩირქოვან დაზიანებათა დროს დაზიანებულ არეებში რადიაქტიური ფოსფორის რაოდენობა მატულობს. ფოსფორის ყველაზე დიდი რაოდენობითი დაგროვება შემჩნეულია ტვინის სიმსივნიან ქსოვილში. ამ მეთოდს ემყარება მეთოდი „ნიშანდებული ატომების“ გამოყენებისა სიმსივნეების აღმოსაჩინად თავის ტვინში, მაგალითად, რადიაქტიური იოდის I^{131} -ის საშუალებით. პაციენტის ორგანიზმში ინტრავენურად შეჰყავთ იოდის გარკვეული რაოდენობა, რომელიც შეიცავს რადიაქტიურ იზოტოპს I^{131} . ნახევარი საათის შემდეგ მთვლელის საშუალებით ზომავენ გ-გამოსხივების აქტივობას თავის ქალას სხვადასხვა ნაწილებში. ცდა ნათელყოფს, რომ სიმსივნეებში იოდი გაცილებით მეტი რაოდენობით გროვდება, ვიდრე ჯანსაღ ქსოვილებში.

ნახშირბადის რადიოიზოტოპის განაწილება ჩათმის კვერცხის ცილასა და ნაჟუმის ზორის

ნახშირბადის იზოტოპს ქათმები რამდენიმე დღის განმავლობაში ღებულობდნენ საკვებთან ერთად. რადიაქტიური ნახშირბადი შედიოდა ცდის განმავლობაში დადებული კვერცხის ნაჭუჭში, ცილასა და გულში. ცდის წინ მარილს წყალში გახსნიდნენ და მიღებულ ხსნარს საკვებზე მოასხურებდნენ. კვება ათი დღე გრძელდებოდა. კვების დაწყებიდან პირველი დღე-ლამის შემდეგ დადებული უკვე პირველი კვერცხი ავლენდა. რადიაქტივობას კვერცხის გულში, ცილასა და უმთავრესად ნაჭუჭში. შემდგომ კვერცხებში ცილის კუთრი რადიაქტივობა გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე კვერცხის გულისა და ნაჭუჭისა. საერთო ბალანსში საკვებთან მიცემული რადიაქტივობის 5,18%-ს შეიცავდა კვერცხის გული, ნაჭუჭი — 1,219%, ცილა — 0,46%.

ცითების ცირკულაცია ორგანიზაციი

სხეულში სითხის ცირკულაციის სიჩქარე შეიძლება გამოკვლეულ იქნეს რადიაქტიური ნატრიუმის საშუალებით. პაციენტის ფეხზე მოთავსებული გეიგერ-მიულერის მთვლელის საშუალებით განსაზღვრავენ, თუ რამდენ ხანში აღწევს ხელის ვენაში შეყვანილი რადიაქტიური ნატრიუმი ფეხის სისხლარღვებში. გამოირკვა, რომ ცირკულაციისათვის საჭირო საშუალო დრო 45 წამს შეადგენს. რადიაქტიური ნატრიუმის საშუალებით იზომებოდა აგრეთვე სიჩქარე ნატრიუმის გავლისა პლაცენტაში — დედისაგან ნაყოფისაკენ, სიჩქარე მისი გადასვლისა სისხლარღვთა სისტემიდან ზურგის ტვინის სითხეში, სიჩქარე სიმსივნეში მიღწევისა და სხვ. მძიმე წყლის საშუალებით (ინდიკატორის სახით) არკვევდნენ ადამიანის სხეულში მყოფი წყლის მოლეკულთა სიცოცხლის ხანგრძლიობას. მძიმე წყლის 2%-იანი ხსნარის შეყვანის შემდეგ არკვევდნენ მის შემცველობას შარდში. გამოირკვა, რომ გარკვეულ პირობებში წყლის მოლეკულთა სიცოცხლის ხანგრძლიობა 14 დღეს უდრის.

ჩონჩხის მინერალური ზემაღლებელი ნაჯილების განახლება

რადიაქტიური ფოსფორის დახმარებით ჩონჩხის მინერალური კომპონენტების განახლების სიჩქარის განსაზღვრის ცდის დროს გამოირკვა დროის მიხედვით რადიაქტიური ინდიკატორების მგრძნობიარობის შეცვლასთან დაკავშირებული უდიდესი უხერხულობა. ნიშანდებული ფოსფატის განმეორებითი და ყოველდღიური შეყვანით და, მაშასადამე, პლაზმის აქტივობის უცვლელ დონეზე შენარჩუნებით მოხერხდა შემდეგი ფაქტების დადგენა: ბაჭიებზე ჩატარებული ცდებით გამოირკვა, რომ 50 დღის გავლის შემდეგ უცვლელი რჩება რბილი ძვლის (ეპიფიზი) 74% და მაგარი ძვლის (დიაფიზი) 93%. მსგავსი ცდები ადამიანზე არ ჩაუტარებიათ, რამდენადაც მისი ძვლების განახლება უმნიშვნელოდ იზრდება დროის მიხედვით, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მოწიფული ადამიანის ჩონჩხის მინერალური კომპონენტების უმეტესი ნაწილი სიცოცხლის მანძილზე უცვლელი რჩება.


ნატრიუმის გამოყოფა თევზების ლაზურიდან

საცდელ თევზებს ათავსებდნენ აკვარიუმში, რომლის წყალსაც უმატებდნენ Na^{22} . იმისათვის, რომ შარდი და ექსკრემენტები არ მოხვედრილიყო წყალში, რომელიც ეხებოდა ლაყუჩებს, თევზს სხე-

ულზე აცვამდნენ რეზინის პარკს. წყალს უმატებდნენ Na^{22} და 12 საათის განმავლობაში დროის სხვა-დასხვა შუალედში წყალში არკვევდნენ Na -ის შემცველობას და აქტივობას. შემდეგ, იმავე პირობების დაცვით, თევზების გულში შეჰქავდათ Na^{22} . შემდეგ, კუჭ-ნაწლავთა ტრაქტით თირკმელებიდან Na^{22} -ის გამოყოფის გამორკვევის მიზნით იკვლევდნენ რეზინის პარკის შემცველობის აქტივობას. გამოირკვა, რომ აკვარიუმში თევზის მოთავსების პირველ სამ საათში წყალში ნატრიუმის მარილის შემცველობა მკვეთრად იზრდებოდა, შემდეგ იგი თანდათან ეცემოდა და 12 საათის შემდეგ პირვანდელ დონეზე ნაკლები ხდებოდა. Na^{22} -ის აქტივობა თანაბრად მცირდება 12 საათის განმავლობაში. ეს იმის მაჩვენებელია, რომ თევზი თანდათანობით ითვისებს რადიაქტიურ ნატრიუმს. ეს ნიშნავს, რომ ერთდროულად ხორციელდება ორი პროცესი: ნატრიუმის შთანთქმა და გამოყოფა, ამასთან დასაწყისში სჭარბობს გამოყოფა, შემდეგ — შთანთქმა.

უდიდესი წვლილი ნიშანდებული ატომების მეთოდის განვითარებაში ბიოლოგიისა და მედიცინის საკითხების გარკვევის მიზნით ეკუთვნის საბჭოთა მეცნიერებს. სამწუხაროდ, სტატიის ფარგლები საშუალებას არ გვაძლევს შევჩერდეთ მეცნიერული და პრაქტიკული ლირებულების მხრივ ამ მნიშვნელოვან გამოკვლევებზე. ამიტომ შევჩერდებით ზოგიერთი მათგანის ჩამოთვლაზე. მ. გ. დომშლაკმა, გ. ა. ავრუნინამ, ი. გ. გრიგორიევმა და ნ. გ. დარენსკაიამ რადიაქტიური იზოტოპები წარმატებით გამოიყენეს რიგ ავადმყოფობათა მკურნალობისათვის (სხივური თერაპია). ასე, მაგალითად, მათ მიერ დადგენილია რადიოფოსფორის მაღალი ეფექტურობა ერითრემიის მიმართ. მ. ი. კორნმა შეძლო მიელო დიზენტერიის ნიშანდებული ბაქტერიები, ვ. ლ. ტროიცკაიამ და მ. ა. თუმანიანმა კი გამოიკვლიერ კუჭ-ნაწლავებიდან დიზენტერიის ბაქტერიების ანტიგენის სისხლში შეწოვა. ნ. ა. მესინევამ ნიშანდებული ატომების მეთოდი გამოიყენა გადასხმული სისხლის მოქმედების მექანიზმის შესასწავლად. უმნიშვნელოვანესი ცდები რადიაქტიური იზოტოპების გამოყენებით ტვინში ნივთიერებათა ცვლის შესასწავლად ჩატარეს გ. ე. ვლადიმიროვმა, ე. მ. კრეპსმა (ლენინგრადი), ა. ა. სმირნოვმა, დ. ა. ჩეტვერიკოვმა და სხვ.

ასეთია საბჭოთა მედიკებისა და ბიოლოგების მიერ უკანასკნელ ხანებში ჩატარებული გამოკვლევების არასრული სია.



— საეთო გეზნიერების —

აკადემიური და მეცნიერული

დოცენტი არჩილ ძიძიგვაძი

80 წელი შეუსრულდა სამთოელთა მოწინავე საბჭოთა სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებელს აკადემიკოს ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე სკოჩინსკის.

ა. ა. სკოჩინსკი დაბადა 1874 წლის 13 ივნის სოფელ ოდეჯ-მაში (ია ჟუტეთის ასსრ), საღაც მისი მამა მეფის მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობისათვის სამუდამო გადასახლებაში იმყოფებოდა.

კრასნოიარსკის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ა. სკოჩინსკი 1893 წელს შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1895 წელს ის გადავიდა პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში, რომელიც 1900 წელს დაამთავრა.

ა. ა. სკოჩინსკის გვარი, როგორც შესანიშნავი სტუდენტისა, შეტანილ იქნა ინსტიტუტის მარმარილოს დაფაზე. ის დატოვეს ინსტიტუტში საპროფესო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად. 1902 წელს იგი მუშაობს ასისტენტად, 1906 წელს იცავს დისერტაციას ადიუნქტის წოდების მოსაპოვებლად თემაზე: „მაღაროს ჰაერი და გვირაბებში მისი მოძრაობის ძირითადი კანონი“, 1908 წელს მას ირჩევენ ექსტრაორდინარულ, ხოლო 1915 წელს ორდინარულ პროფესორად. პეტერბურგის ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში სკოჩინსკის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა სამთო საქმის სპეციალურ კურსთა კათედრა და მაღაროს განიავების, მიწისქვეშა ხანძრებისა და სამთო-საშველი საქმის ლაბორატორიები.

გარდა ინსტიტუტში მუშაობისა, სკოჩინსკი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა სამთამადნო ორგანიზაციებისა და დაწესებულების მუშაობაში (სამთო-სამეცნიერო საბჭო, სამთო თათბირი და სამთო დეპარტამენტთან არსებული სამთო მრეწველობის საბჭო). მისი მონაწილეობით 1902 წელს შეიქმნა კომისია აირისა და ნახშირის მტვერის აფეთქების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამ კომისიის სწავლული მდივანი იყო ა. სკოჩინსკი. ამ პე-

რიოდში ჩამოყალიბდა ა. სკოჩინსკის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება, რომელიც დაკავშირებულია მიწისქვეშ მომუშავებისათვის.

შრომის უსაფრთხო პირობების შექმნასთან; მაგრამ ა. სკოჩინსკის მეცნიერული მოღვაწეობა მარტო ამ საკითხებით არ შემოიფარგლებოდა. და შეეხებოდა სამთო საქმის თითქმის ყველა მნიშვნელოვან უბანს. ასე, მაგალითად, 1903 წელს „გორნი უურნალში“ გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „დონის აუზის ქვანახშირის მაღაროების სამთო და ტექნიკური ნაწილის მოკლე ნარკვევი 1900 წელს“. ამ შრომაში ახალგაზრდა მკვლევარმა აღწერა დონბასის შახტების გახსნის სქემები. დამუშავების მეთოდები, ნახშირის

აკად. ა. ა. სკოჩინსკი



გამოზიდვის საშუალებები, საამწევო, - სავენტილატორო და წყალსატუმბი დანადგარები. გარდა ამისა, შრომაში მოცემულია ნახშირის საბადოს გეოლოგიური დახასიათება და შრომის ნაყოფიერების შეფასება. აღსანიშნავია, რომ შრომაში ავტორის მიერ დასმულია სამთო მრეწველობისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა განხორციელება საგრძნობლად აწევდა შრომის ნაყოფიერებას და გაადვილებდა მეშახტეთა შრომას. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამდე ამ ღონისძიებების გატარება შეუძლებელი გახდა. 1917 წლიდან 1920 წლამდე სკოჩინსკი მუშაობს ნოვოჩერკასში პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორად, შემდეგ კი — პეტროგრადის სამთო ინსტიტუტში. 1921 წლიდან იგი აგრეთვე არის რსფსრ სმუს სამთო საბჭოს კოლეგიის წევრი, სამთამადნო მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე და მრავალ საპროექტო, სამეცნიერო და სამრეწველო ორგანიზაციების კონსულტანტი. მისი მონაწილეობითა და კონსულტაციით შესრულდა უდიდეს სამთო საწარმოთა პროექტები. ა. სკოჩინსკი მონაწილეობს შახტების აღდგენასა და მშენებლობასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა ძირითადი საკითხის გადაწყვეტაში.

1934 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა ნახშირისა და ფიქალების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ასოციაციას.

1930 წელს ა. სკოჩინსკი პროფესორად გადაყავთ მოსკოვის სამთო ინსტიტუტში, სადაც იგი დღემდე მაღაროს ვენტილაციის კათედრას ხელმძღვანელობს.

1935 წლიდან ა. სკოჩინსკი ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკის განყოფილების სამთო საქმის ჯგუფს, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ ჯგუფიდან 1938 წელს შეიქმნა სამთო საქმის ინსტიტუტი, მას უცვლელად ამ ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა უკავია.

1934 წელს ა. სკოჩინსკის მიენიჭა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1935 წელს, როგორც საბჭოთა სამთო მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

სამამულო ომის პერიოდში აკადემიკოსი სკოჩინსკი დიდ მუშაობას ატარებს სამთო მრეწველობისათვის დახმარების მიზნით. 1941—43 წლების განმავლობაში იგი არის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის იმ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და აქტიური წევრი, რომლის დანიშნულებას შეადგენდა თავდაცვის მიზნებისათვის. ურალის, დასავლეთ ციმბირისა და ყაზახეთის ბუნებრივი რესურსების მობილიზება. ამ პერიოდში მან დაწერა მთელი რიგი შრომები („ღონისძიებანი ღია სამუშაოებით ქვანახშირის მოპოვების ზრდისათვის ურალზე“, „ცენტრალური და სამხრეთ ყაზახეთის ნახშირისა და მაღნეულის რესურსების მობილიზება თავდაცვის საჭიროებისათვის“ და სხვ.), რომლებშიც მოცემულია ნახშირის, მაღნეულისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გადიდების კონკრეტული ღონისძიებები.

1943 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით აკად. ა. სკოჩინსკის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა აკადემიის დასავლეთ-ციმბირის ფილიალი, რომლის თავმჯდომარედ ის აირჩიეს 1944 წელს.

1946 წლიდან აკად. სკოჩინსკი არის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალებისა და ბაზების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; გარდა ამისა, იმავე წლიდან ხელმძღვანელობს სილიკოზთან ბრძოლის მუდმივ კომისიას საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში.

აკად. სკოჩინსკი გამოჩენილი მეცნიერია, მისი სახით საბჭოთა მეცნიერებას ჰყავს მრავალმხრივი მკვლევარი, რომლის შემოქმედება მოიცავს სამთო საქმის ბევრ დარგს. აკად. სკოჩინსკის გამოკვლევები შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად დაყოფოთ: 1) მაღაროს აეროლოგია და აეროდინამიკა, 2) მტვერ-აირის რეჟიმი და ბრძოლა აფეთქებების წინააღმდეგ შახტებში, 3) მაღაროს ხანძრები და სამთო-საშველი საქმე, 4) სამთო წნევა და მისი მართვა.

ა. სკოჩინსკი განაგრძობს რუსული სამთო მეცნი-

ერების იმ სახელოვან ტრადიციებს, რომელსაც დიდმა მ. ვ. ლომონოსოვმა დაუდვა დასაწყისი თავისი სადისერტაციო შრომით „მაღაროებში შემჩნეული ჰაერის თავისუფალი მოძრაობის შესახებ“ (1742 წელი).

ა. სკოჩინსკი არის სამთო მეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი დარგის — მაღაროს აეროდინამიკისა და აეროლოგიის ფუძემდებელი. მაღაროს აეროლოგია შეისწავლის მაღაროებში აირგაცვლის და თბოგაცვლის მოვლენებს, გვირაბებში ჰაერის მოძრაობის კანონებსა და ვენტილაციის ანგარიშის მეთოდებს. მეცნიერების ამ დარგის ფართო განვითარების დასაწყისად ითვლება 1904 წელი, როცა „გორნი ურნალში“ გამოქვეყნდა ა. სკოჩინსკის ნაშრომი „მაღაროს ჰაერი და გვირაბებში მისი მოძრაობის ძირითადი კანონი“. ამ კლასიკურ ნაშრომში მან პირველად დაასაბუთა, რომ სავენტილაციო ჭავრილებს გვირაბებში უმთავრესად ტურბულენტური ხასიათი აქვს. ნაშრომში მოცემულია მაღაროს ჰაერის სხვადასხვა აირებით დაჭუჭუიანების მოვლენის ანალიზი და დასახულია შემდგომი გამოკვლევების მეთოდები გვირაბებში ჰაერის მოძრაობის კანონების შესასწავლად.

აკად. სკოჩინსკისა და მისი მრავალრიცხვანი მოწაფეების მიერ უდიდესი მუშაობაა ჩატარებული გვირაბების აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოფიციენტ „ალფა“-ს განსაზღვრისათვის. აკად. სკოჩინსკისა და მისი მოწაფეების მიერ ჩატარებული დიდი მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა მაღაროში ჰაერის მოძრაობის კანონების მეცნიერული შესწავლა და გვირაბების აეროდინამიკური წინააღმდეგობის ანგარიში, რაც საშუალებას აძლევს საპროექტო ორგანიზაციებს აწარმოონ შახტებისა და მაღაროების ვენტილაციის სწორი პროექტირება.

უკანასკნელ წლებამდე ძირითადი ყურადღება ექცეოდა ჰორიზონტალური გვირაბების (შტრეკების, კვერშლაგებისა და სხვ.) აეროდინამიკური წინააღმდეგობის განსაზღვრას გამაგრების სხვადასხვა სახეების დროს (ხის ბიგები, ლითონის სამაგრი, ბეტონი). შედარებით ნაკლებად იყო შესწავლილი ვერტიკალური გვირაბების — ჭავრებისა და გეზენკების აეროდინამიკური წინააღმდეგობა. 1950—51 წლების განმავლობაში აკად. ა. სკოჩინსკის ხელმძღვანელობით მოსკოვის ი. გ. სტალინის სახელგის სამთო ინსტიტუტის მაღაროს ვენტილაციისა და უსაფრთხოების ტექნიკის კათედრის თანამშრომლების მიერ (ა. ი. ქსენოფონტოვა, ა. ა. ხარევი, ი. ე. ილელჩიკი) შესწავლილია ვერტიკალურ ჭავრების აეროდინამიკური თვისებები და დადგენილია მათ წინააღმდეგობათა მნიშვნელობა. ამ სამუშაოთა შედეგები მოცემულია ა. სკოჩინსკისა და მისი თანამშრომლების მონოგრაფიაში „ჭავრების აეროდინამიკური წინააღმდეგობა და მისი შემცირების საშუალებები“ (1951 წ.).

აკად. ა. სკოჩინსკი არ კმაყოფილდება გვირაბის აეროდინამიკური წინააღმდეგობის შესწავლის

იგი ყოველთვის იძლევა წინააღმდეგობების შემცირების ღონისძიებას და საშუალებებს.

ა. სკოჩინსკისა და მისი მოწაფის — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ვ. ნ. ვორონინის მიერ შექმნილია სავენტილაციო ჟავრილის აეროდინამიკური სტრუქტურისა და მისი გვირაბებში მოძრაობის თეორია, რომლის საფუძველზე ვ. ნ. ვორონინმა შეიმუშავა სამთო გამონამუშევრების გასანიავებლად საჭირო პარამეტრების საანგარიშო ფორმულები.

არა ნაკლები მნიშვნელობისაა აკად. სკოჩინსკისა და მისი სკოლის ნამუშევრები, მიძღვნილი მტვერ-აირის რეჟიმისა და მაღაროში აირისა და მტვრის აფეთქების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი. ა. სკოჩინსკის მიერ შესწავლილია გვირაბებში მეთანის გამოყოფის სხვადასხვა სახეები, მოცემულია მათი კლასიფიკაცია. მრავალრიცხოვანი დაკვირვებების საფუძველზე ა. სკოჩინსკიმ პირველად მეცნიერულად დაასაბუთა აირის გამოყოფის პროცენტის შესაძლებლობის საკითხი. ამ სამუშაოს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლრმა პორიზონტების დამუშავების დროს. დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევებია ჩატარებული მეთანისა და ნახშირის მტვერის თვისებების შესწავლის დარგში. ამ საკითხების დეტალურად შესწავლის საფუძველზე, აკად. სკოჩინსკიმ გამოიმუშავა გაზისა და მტვერის აფეთქების თავიდან აცილებისა და აფეთქებების ტალღის ჩატარების ღონისძიებები. ეს ღონისძიებები შეტანილია სამთო მრეწველობისათვის განკუთვნილ უსაფრთხოების წესებში. აკად. ა. სკოჩინსკის მიერ ჩატარებულ გამოკვლევების საფუძველზე, მეთანისა და ნახშირუანგის გამოყოფის მიხედვით, შახტები და ყოფილია რამდენიმე კატეგორიად. თითოეული კატეგორიის შახტისათვის შემუშავებულია მისაწოდებლი პარამეტრის რაოდენობის ზუსტი ნორმები.

1931 წელს გამოქვეყნდა ა. სკოჩინსკის მონოგრაფია „მაღაროს ატმოსფერო“, რომელიც შემდეგში რამდენიმეჯერ ხელახლად გამოიცა. ამ მონოგრაფიაში დაწვრილებით არის აღწერილი მაღაროს ატმოსფეროს თავისებურებანი: სხვადასხვა გაზების თვისებები, აირების, მტვერის, ტენისა და ტემპერატურის ფიზიოლოგიური გავლენა ადამიანის ორგანიზმზე, აფეთქების თავიდან აცილების საშუალებანი და სხვა საკითხები. ეს მონოგრაფია დღესაც სამაგალითოდ ითვლება სამთო-ტექნიკურ ლიტერატურაში.

აკად. ა. სკოჩინსკის ხელმძღვანელობით მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დიდი მასშტაბის სამუშაოები ტარდება აირისა და ნახშირის უეცარი გამოტყორცნის მოვლენის შესწავლისა და ფენების წინასწარი დეგაზაციის საკითხებზე. ფენების წინასწარი დეგაზაცია საშუალებას მოგვცემს დიდად შევამციროთ გვირაბებში გამოყოფილი მეთანის რაოდენობა და გამოვიყენოთ აირი სხვადასხვა საჭიროებისათვის.

დიდ ინტერესს წარმოადგენს მიწისქვეშა ხანძრების მიზეზების შესწავლისა, ხანძრების საჭირაღებების და ჩაქრობის მეთოდების შესამუშავებლად აკად. ა. სკოჩინსკის მიერ ჩატარებული გამოკვლევები. აკად. სკოჩინსკის ინიციატივით საბჭოთა კავშირის შახტებში, ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ფართოდაა დანერგილი დალამვის მეთოდი.

აკად. სკოჩინსკი 100-ზე მეტი შრომის ავტორია. მისი რედაქტორობით გამოცემულია სამ ათეულამდე წიგნი და შრომების კრებული. ა. სკოჩინსკის ისეთი შრომები, როგორიცაა: „მაღაროს ატმოსფერო“, „მაღაროს ჰაერი და გვირაბებში მისი მოძრაობის ძირითადი კანონი“, „გვირაბების გამაგრებისა და ჭრის მართვის საკითხისათვის“, „მაღაროს ხანძრები“, „მაღაროს ვენტილაცია“ და სხვ. სამთო მეცნიერების კლასიკურ ნაშრომებს წარმოადგენს.

აკად. სკოჩინსკი და პროფ. კომაროვი შესანიშნავი სახელმძღვანელოს „მაღაროს ვენტილაციის“ შედგენისათვის დაჯილდოვებულნი არიან სტალინური პრემიით.

აკად. სკოჩინსკიმ შექმნა მაღაროს აეროდინამიკისა და აირდინამიკის ყველაზე უფრო ძლიერი სკოლა მსოფლიოში. მისი მოწაფები მოღვაწეობენ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხეში: მოსკოვში, ლენინგრადში, სტალინობი, დნეპროპეტროვსკში, თბილისში და სხვაგან.

ა. სკოჩინსკის მოწაფეთა შორის ვხვდებით ისეთ ცნობილ მკვლევარებს, როგორიცაა: პროფ. ვ. კომაროვი, პროფ. აბრამოვი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორები ვ. ვორონინი, გ. ლიდონი, ა. ვოროპაევი და სხვები.


მხცოვანი მეცნიერი დღესაც მთელი ენერგიით მუშაობს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით წარმოებს საბჭოთა კავშირში სამთო დარგის ყველა სამეცნიერო დაწესებულების მუშაობის კოორდინირება.

მისი — სამშობლოსათვის თავდადებული პატრიოტისა და დიდი მეცნიერის ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითია მთელი ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

პარტიამ და მთავრობამ სათანადო დააფასეს აკადემიკოს ა. ა. სკოჩინსკის დამსახურება სამშობლოსა და სამამულო მეცნიერების წინაშე. იგი დაჯილდოებულია ლენინის ოთხი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და მედლებით. სსრკავშირის უმაღლესი საბჭოს 9 აგვისტოს ბრძანებულებით აკად. ა. ა. სკოჩინსკის დაბადების ოთხმცი წლისთავთან დაკავშირებით სამთო მრეწველობის განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური კადრების მომზადებაში დიდი დამსახურებისათვის მიკუთვნებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და „ნამგლისა და უროს“ ოქროს მედლით.

როგორ ჩაინტერ


სამყარო
პილატი



3. პორტუგალი. ი. კამენეცი

აზრი იმის შესახებ, რომ ბერები შეიძლება როგორლაც შევინახოთ, დიდი ხანია აღეძრა ადამიანებს. ამას მოწმობს ჩვენამდე მოწეული ზოგიერთი ზღაპრები და ლეგენდები. მაგალითად, ცნობილია ლეგენდა ლრუბლების შესახებ, რომლებსაც უნარი აქვთ შეიწოვონ ბერები. მაგრამ საჭირო გახდა მრავალი საუკუნე, რათა ბერის შენახვის იდეა პრაქტიკულად ყოფილიყო განსახორციელებელი.

75 წელზე ცოტა მეტი გავიდა იმ დღიდან, რაც შეიქმნა პირველი აპარატი, რომლის დახმარებით შეიძლებოდა ბერის ჩაწერა და აღდგენა. შედარებით მოკლე ხანში ბერების ჩაწერის საქმე იმდენად გაუმჯობესდა, რომ ახლა იგი ძალიან ფართო გამოყენებას პოულობს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის უაღრესად სხვადასხვა დარგებში.



...ჩვენამდე მოაღწია ლეგენდამ არა-ჩვეულებრივი კუნძულის შესახებ წყნაროქანეში. კუნძულზე იზრდებოდნენ ლრუბლები, რომლებც შეიწოვდნენ ბერებს. თუ ჩავილაპარაკებთ, ასეთ ლრუბელში და გავგზავნით მას როგორც წეროლს, მაშინ დარღესატი, რომელიც ნელა წურავდა ლრუბელს, ისმენდა «გამგზავნის» ხმას. ბერები მოედინებოდნენ ლრუბლებიდან, როგორც წყალი...

დღეს არ მოიპოვება ადამიანი, ჩანჩქერის გრიალი — აი სამყარო რომელიც ასე თუ ისე არ ხვდებოდეს ბერების ჩაწერას, ყოველ-დღიურ ცხოვრებაში არ სარგებლობდეს მისი სამსახურით. ბერათჩაწერა ჩვენ დროში — ესაა ხმოვანი კინოფილმები, გრამოფონის ფირფიტები, მრავალი რადიოვადაცემა, ცნობები დროს შესახებ ტელეფონით, სპექტაკლების ბერითი გაფორმება და მრავალი სხვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბერათჩაწერას ჩვენ ვხვდებით ყოველ ფეხის ნაბიჯზე. რა არის ბოლოს და ბოლოს ბერების ჩაწერა?

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, უნდა ითქვას რა არის ბერა, როგორ წარმოიშვება და ვრცელდება იგი.

როგორ წარმოიშვება ბერა

ბერების პირველადი მიმღები ყოველთვის ერთია — ჩვენი ყური. ბერების წყაროები სხვადასხვა-გვარია. მაგრამ ისეთ წყაროებსაც კი, რომლებიც გარეგნულად არ გვანან ერთმანეთს, როგორიცაა ზარი და გიტარა, ბერის წარმოქმნის ბუნება ერთი აქვთ: ბერა აღიძვრება რხევადი სხეულისა-გან — ირხევიან ზარის კედლები, ირხევიან გიტარის სიმები.


ბერითი რხევები ვრცელდებიან ტალღისებურად, რაიმე შორისული გარემოს, მაგალითად, ჰაერის მეშვეობით. მიაღწევს რა ყურის ნიჟარას, ბერის ტალღა არხევს დაფის აპკს. ამ დროს მსმენელს შეექმნება ხმის შეგრძნება.

როგორ წარმოიშვა აზრი ბერათჩაწერის შესახებ

ადამიანთა ხმა, ცხოველთა ყვი-რილი, გრვინვა, წვიმის ხმაური,

ბერებისა, რომელთა შორის ცხოვრობდა ადამიანი. ისმენდა და შეიძლება ბაძავდა რა მათ, ადამიანმა დიდი ხანია ისწავლა სხვადა-სხვა ხელსაწყოების დახმარებით ხელოვნური ბერების გამოწვევა. თანდათანობით კაცობრიობა მივიდა აზრამდე ისეთი მანქანის შექმნის შესახებ, რომელიც ბუნებრივის მსგავს ბერებს გამოიმუსავა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბერათჩაწერას ჩვენ ვხვდებით ყოველ ფეხის ნაბიჯზე. რა არის ბოლოს და ბოლოს ბერების ჩაწერა?

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, უნდა ითქვას რა არის ბერა, როგორ წარმოიშვება და ვრცელდება იგი. 1779 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ კონკურსი გამოაცხადა მექანიკური გზით ცალკეული ხმოვანი ბერების წარმოქმნის შესახებ და ამ კონკურსში მონაწილეობისათვის პრემია მისცა რუს სწავლულს — აკადემიკოს კრატცენშტეინს.



... ასეთი პროექტიცა კი იყო: რათა შევინახოთ ბერა, იგი უნდა დავიჭიროთ მილში და დავხუროთ ორივე მხრიდან. თუ შემდეგ გავხსნით მილს, ბერა დაიწყებს გამოსვლას გარეთ და ჩვენ მას გავიგნებთ...

1841 წელს ვენაში შეიქმნა და ტით (ნახ. 1). ბერკეტი ამ ჩერ-
ლიან რთული მექანიზმი, რომე- ვებს გადასცემდა კალამს, რომე-
ლიც მართვის ამა თუ იმ კლავიშ- ლიც მათ ფორმას ხატავდა მოძრავ
უ ხელის დაჭრის დროს ბერებს ტალალზე.
წარმოთქვამდა.

მაგრამ ადამიანის აზრი წინ
მიღიოდა ისეთი მანქანის შექმნის
გზით, რომელიც კი არ წაპაძავდა,
არამედ აღბეჭდავდა არსებულ
ბერებს და შემდეგ აღადგენდა
მათ. ასე წარმოიშვა შთანაფიქრი,
რომელიც საფუძვლად დაედო
ბერათჩაწერას.

როგორ ჩავიწეროთ ბერა


ბერათჩამწერმა მანქანამ უნ-
და აღბეჭდოს („ჩაწეროს“) ბერ-
ა, შემდეგ კი აღადგინოს იგი,
უ. ი. გაიმეოროს ბერა, რომელიც
თავდაპირველის ასლი იქნება.

ბერის აღბეჭდვის ერთ-ერთ
ხერხთაგანს წარმოადგენს ავტო-
მატური ჩაწერა ბერითი რხევის
გრაფიკისა. პირველად ასეთი გზით
ჩაწერილ იქნა სიმებიანი მუსიკა-
ლური საკრავების ბერები. სიმზე
ამაგრებლნენ კალამს, რომლის
წვერი ეხებოდა ქალალდის ლენტ-
ზე წასმული მურის თხელ ფენას.
როცა სიმი უღერდა, ლენტი მოძ-
რაობაში მოჰყავდათ და მის ზედა-
პირზე იფხაჭნებოდა ბერითი
რხევის ნახატი.

მაგრამ ასეთი ჩანაწერი მოით-
ხოვდა ჩამწერი მოწყობილობის
(კალმის) უშუალო კავშირს მუღე-
რავ სხეულთან. ადამიანის ხმისა
ან ბერების ჩაწერის დროს, რომ-
ლებიც სხვადასხვა წყაროებიდან
მომდინარეობენ, ასეთი ხერხი არ
ვარგა.

ადამიანის ყურის აღნაგობის
შესწავლამ დაბადა აზრი — გა-
მოეყენებინათ ბერების ხელოვ-
ნური მიმღები დრეკადი ფირფი-
ტის (მემბრანის) სახით, რომე-
ლიც თავისი მოქმედებით დაფის აპ-
კის მსგავსი იქნებოდა.

მემბრანის დახმარებით ჩაწერა
უფრო მოხერხებული შეიქნა. ბერ-
რითი ტალღა, მოქმედებდა რა
მემბრანაზე, აიძულებდა მას ვიბ-
რირებას ბერითი რხევების ტაქ-



ნახ. 1. ბერითი რხევის ფორმის ჩა-
წერი: 1—მბერავი კამერტონი, 2—მიმ-
ღები მემბრანი, 3—ბერკეტი, 4—ჩამწერი
კალამი, 5—ქალალდის ლენტი, 6—რხევის
ნახატი

მიღებულ ნახაზს უწოდეს ჩა-
საწერი ბერის სივრცეული კვა-
ლი, ხოლო ქალალდს — ბერათ-
მტარებელი. იყო ბერათჩაწერის
სხვა სისტემებიც, მაგრამ ისინი
ხორციელდებოდნენ ერთი პრინცი-
პული სქემით. განსხვავება მხო-
ლოდ სივრცეული კვალის აღბეჭ-
დვასა და ხასიათში მდგომარეობს.



ნახ. 2. ბერათჩაწერის მექანიკური
ხისტემის პრინციპული სქემა: 1—მიმღები
რუპორი მემბრანით, 2—საჭრისი, 3—ამოჭ-
რილი ლრამი, 4—ცელულოიდის ლენტი,
5—აღმდგენი რუპორი, 6—ნემსი

ხმისჩაწერის სამი ძირითადი
სისტემა


ამჟამად ყველაზე მეტად გავრ-
ცელებულია ბერათჩაწერის სამი
სისტემა: მექანიკური, ფოტოგრა-
ფიული და მაგნიტური.

პრინციპული სქემა ბერების
ჩაწერისა და აღდგენის მექანიკუ-
რი სისტემისა მოცემულია მე-2 ნა-
ხაზზე. ჩასაწერი ბერების დაჭე-
რა ხდება მიმღები მოწყობილო-
ბით მემბრანიანი რუპორის სახით,
რომელიც დამაგრებულია მის ხა-
ხაში. მემბრანის რხევა ბერკეტის
საშუალებით გადაეცემა სპეცია-
ლურ საჭრისს, რომელიც მოძ-
რავ ბერათმტარებელზე (მაგალი-
თ, ცელულოიდის ლენტზე)
ჭრის სივრცეულ ნაკვალევს —
კლაკნილ ღრამს. ბერათა აღდგე-
ნისათვის იმავე სიჩქარით მოძ-
რაობაში მოჰყავთ და იმავე რუპო-
რულ მოწყობილობას იყენებენ,
რომელიც ჩაწერის დროს იხმარე-
ბა, მხოლოდ მასში საჭრისი იცვ-
ლება ნემსით. ბერათმტარებლის
მოძრაობისას ნემსი, მიყვება რა
ღრამის კლაკნილებს, იმეორებს
ჩაწერის დროს საჭრისის რხევას.
ნემსის რხევა გადაეცემა მემბრანს,
რომელიც აღძრავს ბერას, რაც
რუპორით ძლიერდება.

1877 წელს აგებულ იქნა პირ-
ველი ბერის ჩასაწერი აპარატი —
ფონოგრაფი, რომელიც მოქმედე-
ბის პრინციპით ბერათჩაწერის
მექანიკურ აპარატს წარმოადგენს.
ჩაწერა ხდებოდა ცილინდრის ზე-
დაპირზე, რომელიც დაფარული
იყო ან კალის კილიტით ან ცვი-
ლის სქელი ფენით.

ბერათჩაწერის სხვა სისტე-
მის პრინციპი — ფოტოგრაფიუ-
ლი პრინციპი ნაჩვენებია მე-3 ნა-
ხაზზე. ამ სისტემის დროს გამოი-
ყენება იგივე მიმღები, რაც მექანი-
კური სისტემის სარგებლობისას —
მემბრანიანი რუპორის სახით.
მემბრანის რხევა მექანიკური წე-
ვით გადაეცემა სარკეს. სხივი, რო-
მელიც სინათლის წყაროდან მო-
დის, ამ სარკით აირეკლება ეკრან-

ზე, რომელზედაც არის ამონაჭერი დროს, გაუშვებენ სინათლის წყა- ბა დავინახოთ მხოლოდ იმ შემთ-
სვრელის სახით. სარკის თითოეუ- როსა და ფოტოელემენტს შორის ხვევაში, თუ კი ბგერათმტარებელ-
ლი გადახრა იწვევს ეკრანზე არე- (ნახ. 4). ლენტის გარკვეულ ად- ზე დავყრით წვრილ რკინის ნა-
კლალი სხივის გადაადგილებას და გილზე დაბნელებული ზოლის სი- ხერხს: ბგერათმტარებლის სხვადა-
ცვლის სხივის სიგანეს, რომელიც განის მიხედვით ფოტოელემენტზე სხვა უბნებზე მათი დამაგნიტების
ეკრანის ამონაჭერით გადის. ეკრა- ს ვდება მეტი ან ნაკლები სინათლე მიხედვით ნახერხის სხვადასხვა
ლი ამიტომ დენი ფოტოელემენტის რაოდენობა მიზიდება.



ნახ. 3. ფოტოგრაფიული ბგერათჩაწე-
რის პრინციული სქემა: 1—სინათლის
წყარო, 2—ამონაჭერი სარკე, 3—მოძრავი
სარკე, 4—სახსრული გამაგრება, 5—მეტ-
ნიკური წევა, 6—მიმღები რუპორი მემბ-
რანით, 7—ეკრანი ჭვრიტული ამონაჭერით,
8—შუქმგრძნობიარე ლენტი, 9—წარმოქმ-
ნილი სივრცითი კვალი (გამოყელავნების
შემდეგ)

ნის იქით თავსდება ბგერათმტარე-
ბელი — მოძრავი გამჭვირვალე
ლენტა, რომელიც დაფარულია
შუქმგრძნობიარე ფენით. გამომ-
ულავნების შემდეგ ლენტზე ხილუ-
ლი ხდება სივრცეული კვალი. იგი
წარმოადგენს ცვლადი სიგანის
მქონე დაბნელებულ ზოლს. ბგე-
რის აღდგენისათვის ლენტს იმავე
სიჩქარით, როგორც ჩაწერის

წრედში შესაბამისად იცვლება.


დენის ძალის რხევა ფორმით თან-
ხედება ჩაწერილ ბგერას. ტელე-
ფონის მიღავების მეშვეობით ეს
რხევები გარდაიქმნება ბგერად.

ბგერათჩაწერის მესამე სისტე-
მა—მაგნიტური (ნახ. 5). ბგერათ-
მტარებელი შზადდება მასალისა-
გან, რომელსაც უნარი აქვს კარ-
გად დამაგნიტდეს და ხანგრძლი-
ვად შეინარჩუნოს დამაგნიტებუ-
ლი მდგომარეობა. როგორც პირ-
ველ ორ სისტემაში, ბგერის მიმ-
ღებად შეიძლება გამოყენებულ

გენად არსებობს მეორე რგოლისე-
ბრი ელექტრომაგნიტი, რომელ-
საც აღმდგენი თავაკი ეწოდება.
მაგნიტური ნაკადი, გამოდის რა
ჩაწერიანი ბგერათმტარებლი-
დან, გადის აღმდგენი თავაკის
გულაში. ნაკადი იცვლება, ვინაი-
დან ბგერათმტარებლის მოძრაო-
ბის დროს თავაკი ეხება სხვადა-
სხვანაირად დამაგნიტებულ უბ-
ნებს. ამის შემდეგ გულას გრაგ-
ნილში წარმოიქმნება ელექტრუ-
ლი დენები, რომლებიც ტელეფო-
ნის მიღავებით ბგერად გარდაიქ-
მნება.


ჩაწერისა და აღდგენის
ელექტრული ხერხი

ბგერათჩაწერის აღწერილ სის-
ტემების პრინციპები დღევანდ-
ლამდეა შემორჩენილი. აპარატის
კონსტრუქციები მნიშვნელოვნად
შეიცვალა და გაუმჯობესდა. მათი
მთავარი განსხვავება იმ პრიმიტი-
ულ მოწყობილობათაგან, რომლე-
ბიც განხილული იყო ზემოთ, მდგო-
მარეობს ეგრეთ წოდებულ ჩა-
წერის ელექტრული ხერხის გამო-
ხენებაში. ასეთი აპარატის ბლოკ-
სქემა მოცემულია მე-6 ნახაზზე.




ნახ. 5. ბგერათჩაწერის მაგნიტური სის-
ტემის პრინციული სქემა: 1—ჩაწერი თა-
ვაკი, 2—აღმდგენი თავაკი, 3—ტელეფონის
გილები, 4—მიმღები რუპორი მემბრანით,
5—ელექტრული ბატარეა, 6—ბგერათმტა-
რებელი

იქნეს რუპორი მემბრანით. მემ-
ბრანაზე მიმაგრებულია ფოლადის
ფინი. იგი ნაწილობრივ გადახუ-
რავს სპეციალური რგოლისებრი
ელექტრომაგნიტის (ჩაწერი თა-
ვაკის) ჰაერის ღრების. თავაკის
ვრაგნილი მუდმივი დენით იკვებე-
ბა. გაიგლის რა ჩაწერი თავაკის
ჰაერის ღრების, ბგერათმტარებე-
ლი მაგნიტდება. რამდენადაც ჩა-
წერი თავაკის მაგნიტური ნაკადის
სიდიდე დამოკიდებულია ფოლა-
დის ფირფიტის მდგომარეობაზე
პირველ ღრებში, ბგერათმტარებ-
ლის ცალკეული უბნების დამაგნი-
ტება სიგრძის მიხედვით იცვლება



ნახ. 6. ელექტრული ბგერათჩაწერა
და აღდგენა: 1—მიკროფონი, 2—ჩაწერი
რის გამაძლიერებელი, 3—ჩაწერი მოწყ-
ობილობა, 4—აღმდგენი მოწყობილო-
ბა, 5—აღდგენის გამაძლიერებელი, 6—
ხმამაღლამოლაპარაკე



ნახ. 4. ფოტოგრაფიული ბგერათჩაწე-
რის აღდგენის პრინციული სქემა: 1—
სინათლის წყარო, 2—ლინზა, 3—ეკრანი
ჭვრიტული ამონაჭერით, 4—ბგერათმტა-
რებელი, 5—ჩაწერის ნახატი, 6—ფოტო-
ელემენტი, 7—ტელეფონის მიღები, 8—
ელექტრული ბატარეა.

სივრცეული კვალი ჩაწერის მაგ-
ნიტური სისტემის დროს შეიძლე-

ჩასაწერი ბგერების მიმღები — მიკ-როფონი გარდაქმნის მათ ელექტრულ დეხებად, რომელთა სიძლავრე მატულობს ჩანაწერის გამაძლიერებლის დახმარებით. გამაძლიერებლის გამოსავალთან მიერთებულია ჩამწერი მოწყობილობა. ბგერათჩაწერის გამოყენებული სისტემების მიხედვით იგი ან რეკორდერია, რომელიც ელექტრონულ რხევებს საჭრისის რხევებად გარდაქმნის (მექანიკური სისტემის დროს), ან სინათლის მოდულატორი — ფოტოგრაფიული სისტემის დროს, ანდა ჩამწერი მაგნიტური თავაკი — მაგნიტური სისტემის დროს.

ელექტრული ჩაწერა მნიშვნელოვნად უფრო მაღალი ხარისხის ჩაწერას უზრუნველყოფს და უფრო მოხერხებულია ექსპლოატაციაში.

ბგერის აღდგენა ახლა აგრეთვე უფრო ხშირად ხორციელდება ელექტრული ხერხით. ბლოკ-სერმა, რომელიც ასეთ აღდგენას შეესაბამება, ნაჩვენებია იმავე ნახაზე. გასასვლელთან ჩაირთვება აღმდგენი მოწყობილობა (ბგერის მომხსნელი, ფოტოელემენტი, აღმდგენი მაგნიტური თავაკი), რომელიც სივრცეულ კვალს ბგერათ-მტარებელზე თითქოს გარდაქმნის ფორმით შესაბამის ელექტრულ რხევებად. ეს რხევები გაივლის გამაძლიერებლით და შემდეგ ხმა-მაღლამოლაპარაკის დახმარებით გარდაიქმნება ბგერად.

ახლა ფართოდაა განვითარებული ბგერათჩაწერის ყველა სისტემა. მექანიკურმა გავრცელება პოვა გრამოფონულ ჩაწერაში, ფოტოგრაფიულის დახმარებით ხმოვან-დება კინოფილმები. მაგნიტური მელთაც მაგნიტოფონი ეწოდება (ნაკ. 7). აპარატი არაა დიდი ზო-

ლია: გამაძლიერებული, გამშართველი, ხმამაღლამოლაპარაკე და ელექტროძრავი. აპარატი ძირითადად გათვალისწინებულია ინდივიდუალური ხმარებისათვის — ბგერათჩაწერისათვის მიკროფონი-

რელი რაოდენობით ღერის განა-მაგნიტება და მასზე ახალი ჩანაწერების გაკეთება ეკონომიკურად ძალიან ხელსაყრელია და მაგნიტოფონის უდიდეს უპირატესობას წარმოადგენს.

მაგნიტურ ღერის გაკეთებული ჩანაწერი მყისვე მზადაა მოსმენისათვის (საჭიროა მხოლოდ ღერი წინასწარ გადახვეულ იქნეს ისევ მარცხენა კასეტზე). ესაა მაგნიტოფონის მეორე უპირატესობა.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ ჩანაწერის ბგერადობის ხარისხი არ უარესდება მრავალ ათასჯერ აღდგენის შემდეგ.

ამის წყალობით მაგნიტოფონებმა უკვე ახლა ფართო გამოყენება მოიპოვეს.


ბგერათჩაწერის ხვალინდელი დღე

ბგერათჩაწერა განუწყვეტლივ უმჯობესდება და ვითარდება. უკვე ახლა იგი ფართოდ გამოიყენება ტექნიკის სხვადასხვა დარგებში.


შევეცდებით შევიხედოთ ბგერათჩაწერის მომავალში.

ბგერათჩაწერის მეთოდებით შეიძლება აღიბეჭდოს არა მარტო ბგერითი რხევები, არამედ ყოველგვარი ელექტრული სიგნალები.

შეიძლება წარმოვიდგინოთ მომავალში ქარხნები, სადაც სამკროებში მაგნიტოფონები „ბრძანებულებები“ გადაიცვალება მარცხენა კასეტიდან შარჯენაზე.



ნაკ. 8. ... მაგნიტოფონისა და ტელევიზორის დახმარებით შეიძლება დავინახოთ და მოვისმინოთ საკუთარი თავი და ახლობელი ადამიანები,,,



ნაკ. 7. მაგნიტოფონი «დნეპრის» ტიპისა

ცებებს „აძლევენ“ ჩარხებს. მათ მი-
ერ შესრულებულ სამუშაო ოპერა-
ციათა თანმიმდევრობა დამოკი-
დებულია იმაზე, თუ როგორი სიგ-
ნალები იქნება მოცემული მაგნი-
ტოფონიდან. საკმარისია მაგნი-
ტოფონის ლენტი შეიცვალოს სხვა
ლენტით, სხვა სიგნალების ჩანა-
წერით და ყველა ჩარხი სამქრო-
ში ახალი სახის დეტალების დამ-
ზადებაზე გადავა.

თქვენ სასწრაფოდ დაგჭირდათ
რაიმე ცნობები თქვენთვის საინ-
ტერესო საკითხზე. საჭირო არაა
ექვა სქელტანიან ენციკლოპედი-
ურ ცნობარებში. ჯიბის სპეცია-
ლურ წიგნაკში თქვენ ეძებთ საჭი-
რო ტერმინის ნომერს და ტელე-
ფონით უკავშირდებით ავტომა-
ტურ ცნობათა მანქანას, რომელ-
შიც სხვადასხვა ცნობები შეგრო-
ვილია ბერათჩანაწერების სახით.
ესენია ცნობები, ჩაწერილი ზე-
პორტატულ ბერათმტარებელზე,
რომლის მეოხებითაც მთელი მან-
ქანა, რომელიც შედარებით მცი-
რე ზომისაა, სხვადასხვა ცნობათა
ჩანაწერების უდიდეს რაოდენო-
ბას იტევს...

მას, ვინც ყოფილა მოსკოვის
სტერეოკინოში, შეუძლია დააფა-
სოს მოცულობითი გამოსახულე-
ბის ყველა უპირატესობა ბრტყელ-
იან შედარებით, რომელიც მიიღე-
ბა ჩვეულებრივ ეკრანზე. უახლოეს

მომავალში ათობით ასეთი სტე-
რეოკინო გაიხსნება ჩვენი ქვეყნის
სხვადასხვა ქალაქებში.

მაგრამ როგორი იქნება ბერა,
რომელიც თან ახლავს გამოსახუ-
ლებას კინოში? საკმაოდ ნატურა-
ლურია იგი ახლა? ტექნიკას შე-
საძლებლობა აქვს მინიმუმადე
დაიყვანოს ხმამაღლამოლაპარა-
კით აღდგენილი ბერის ყველა
დამახახინჯება, მაგრამ ერთი დამა-
ხინჯება (თანაც ძალიან დიდი)
რჩება: მოქმედი პირები გადაინაც-
ლებენ კინოეკრანზე, ხმები კი
ჩვენამდე აღწევენ ისევ ერთი და
იგივე წერტილიდან, სადაც ხმა-
მაღლამოლაპარაკეა დადგმული. ეს
არაბუნებრივია და მხოლოდ ჩვე-
ვა გვაიძულებს შევურიგდეთ ამას.

ბერათჩაწერის განვითარების
ერთ-ერთ პერსპექტივას წარმოად-
გენს ამ ნაკლის ლიკვიდაცია. ბე-
რა, ისე როგორც გამოსახულება,
დროთა განმავლობაში მოცულო-
ბითი გახდება. ჩვენ მას გავიგო-
ნებთ თითქოს ეკრანის იმ ადგილი-
დან გამოსულს, სადაც მოლაპარა-
კის გამოსახულება იმყოფება. მო-
ცულობითი ბერა ფერად მოცუ-
ლობით გამოსახულებასთან ერ-
თად უდიდეს პერსპექტივებს შექ-
მნის კინოხელოვნების განვითა-
რებაში.

არა ნაკლებ წარმტაცია ბე-
რათჩაწერის ასეთი გამოყენებაც:

ახლა უკვე მაგნიტოფონების
მფლობელები ლენტზე ჩაიწერენ
რადიოგადაცემებს, რომლებიც მათ
ვოეწონათ, იმ მიზნით, რომ შესა-
ძლებლობა ჰქონდეთ აღადგინონ
ისინი.

რა წარმტაცი იქნებოდა — ასე-
თივე წესით ჩაიწეროს ტელევიზუ-
რი გადაცემაც! ჩაწერილი ტელე-
გადაცემის გამეორებისათვის ტე-
ლევიზორს ანტენის მავივრად მი-
უერთდებოდა აღმდგენი მოწყობი-
ლობის გამოსავალი. ლაბორატო-
რიებში ეს ამოცანა წარმატებით
წყდება. ბერათჩაწერის მეთოდით
არა მარტო ბერის, არამედ გამო-
სახულების აღბეჭდვის შესაძლებ-
ლობა მომავალში ფართოდ იქნე-
ბა გამოყენებული. სპეციალურ
ატელიებში მნახველები შეძლე-
ბენ თავიანთი გამოსახულება და
ხმა ჩაწერონ მაგნიტურ ლენტზე,
ხოლო სახლში დაბრუნებისას
მაგნიტოფონისა და ტელევიზორის
დახმარებით ეკრანზე დაინახა-
ვენ თავის თავს და ხმამაღლამო-
ლაპარაკეში გაიგონებენ თავის
ხმას. თუ გავითვალისწინებთ, რომ
გამოსახულება შეიძლება იყოს
მოძრავი და ფერადი, ამასთან მას
თან ეხლება ხმა, შეიძლება წარ-
მოვიდგინოთ, რამდენად საინტე-
რესო იქნება ეს, ვიდრე უბრალო
ფოტოგრაფია.


(„რადიო“ № 6, 1954 წ.)

უნივერსალური სახაზევი

კუთხსაზომი, თარაზო, მეტრი, მტან-
გენ-ფარგალი — ყოველივე ეს მშენებელ-
თათვის აუცილებელი იარაღია. ფარგ-
ლით წარმოებს დაგეგმვა და დანიშვნა
სიბრტყეებზე; თარაზოთი მოწმდება
იატაკების, კოჭების, გადახურვების ჰო-
რიზონტალობა, კუთხსაზომით ირკვევა
ნივნივების საჭირო დახრილობა, კუთხე-
დით მოწმდება შენობის კონსტრუქციუ-
ლი ელემენტების განლაგების სისწორე,
შტანგენით იზომება ფილების და კოჭე-
ბის განი, ფურცლოვანი მასალის სისქე,
მილების და არმატურის დიამეტრი.

რამდენი ჯიბეა საჭირო, რომ მოთავს-
დეს ყველა ეს ინსტრუმენტი რამდენ
ზედმეტ მოძრაობას აკეთებს ადამიანი, ტრუმენტი — ფოლადის ან დიურალის

ერდრე იპოვის და ამოიღებს მისთვის სა-
ჭირო ინსტრუმენტს!



ინეინერმა ვ. პ. მალახოვმა შექმნა
პორტატული და მუშაობაში მარჯვე ინს-
უნივერსალურია.

სახაზევი, რომელიც ოთხად იკეცება. სა-
ხაზავზე დატანებულია მილიმეტრული
სკალა. მის შუა ნაწილში (იმ აღგილას,
სადაც სახაზავი იკეცება) მოთავსებულია
ლიმბი გრადუსებიანი დანაყოფებით. სა-
ხაზავის ერთ-ერთ შტოზე ჩასმულია თა-
რაზო. მის შტოებზე მონტირებულია სა-
მიზნებლები (ვაჟირკა), ბოლოებზე მო-
თავსებულია შტანგენის უძრავი ნაწილი
და მონტირებულია ფარგალი იმ მიზნით,
რომ შესაძლებელი იყოს სახაზავის გამო-
ყენება, როგორც შტანგენ-ფარგალისა.

ერთ სახაზავში შვიდი საგნის შეთავ-
სებით ეს საზომი ხელსაწყო ნამდვილად
უნივერსალურია.




გენერალი და ვექტორი

სახალხო ფიმურაფის კვაჭი

გერმანიის დემოკრატიული რუმინეთი
ლი რესპუბლიკა

ორიგინალური ექსკურსი

მშენებლობებზე მუშაობა — ორიგინალური კონსტრუქციის ექსკურსი ბურთისებრი ფრთებით. მუშაობის ღროს ცილინდრული შტანგა, რომლის ბოლოში იმყოფება საჭრელი მექანიზმი, დაიხრება და მბრუნავი ფრთები იწყებენ გრუნტის ჭრას. ეს გრუნტი ხვდება ტრანსპორტულზე და 15 მეტრით გვერდით გადაიტანება.



ახალი ექსკურსის მწარმოებლობა — დახლოებით 70 ტონა გრუნტი სათში.

ქარხანა-უნიკუმი

ქალაქ იენაში იმყოფება მსოფლიოში ერთადერთი ქარხანა, რომელიც პლანეტარიუმებს ამზადებს. 14 წლის განმავლობაში, 1925 წლიდან 1939 წლის ჩათვლით, ქარხანამ 27 პლანეტარიუმი დაამზადა. მათგან 12 პლანეტარიუმი დარჩა გერმანიაში, დანარჩენი — მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გაიტანეს.


ომის დროს გერმანიის პლანეტარიუმების უმრავლესობა დაინგრა ან ძლიერ დაზიანდა. ამჟამად პლანეტარიუმები დარჩენილია იენაში, მიუნენდა და ჰამბურგში.

ომის შემდეგ პლანეტარიუმების დამზადება განახლდა. ინუინრებისა და კონსტრუქტორების დიდი კოლექტივი მუშაობს ამ აპარატის გაუმჯობესებასა და სრულყოფაზე. 28-ე (პირველი ომის შემდგომი) პლანეტარიუმი იმყოფება სტალინგრადში, 29-ე პლანეტარიუმი გაიგზავნა პრაღაში. 30-ე პლანეტარიუმი დამზადებულია პოლონეთის დაკვეთით.

ჩარხი-გიგანტი

3 აგვისტოს სახელობის ქარხანაში აგებულია რესპუბლიკაში ყველაზე დიდი კარუსელური ჩარხი. ასეთი ტიპის ჩარხები დანიშნულია ორთქლისა და ჰიდრავლიკური ტურბინებისა და სხვა მანქანების მსხვილი დეტალების დამუშავებისათვის.

რატორები. ახალი მანქანა აწარმოებს თორმეტნიშნიანი რიცხვების გამრავლებასა და გაყოფას და სხვა რთულ გამოანგარიშებას და თვითონ ამოწმებს შედე-



ჩემი სლოვაკია


მანქანა-მათემატიკოსი

ღოცენტი ანტონინ სვობოდა რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა ისეთი მანქანის პროექტზე, რომელიც შეამსუბურებდა ბუჩქალტრებისა და მოანგარიშების მომქანველ შრომას. ამჟამად ეს ამოცანა უკვე გადაჭრილია: სახალხო საწარმომ „არიცმამ“ 1953 წლის დეკემბერში გამოუშვა ჩეხი მეცნიერის კონსტრუქტორის ექვივი ექსპლოატაციისათვის. შემდეგ მანქანა ექვივი ექსპლოატაციისათვის ასციის პირველი საკალკულაციო პერფორაციების დამუშავებისათვის.

უნგრეთი

ავტობუსი მთის გზებისათვის

უნგრეთის გზატკეცილებზე გამოჩნდა ქვე მილები გადაითარება საკვალითო, ახალი კომფორტაბელური ავტობუსი გაზების გამოსვლა ცილინდრებიდან „იკარუს-66“, სპეციალურად შეგუებული წყდება და, მაშასადამე, ბრკოლდება მოქმედი ადგილებში ექსპლოატაციისათვის. რაობა დგუშებისა, რომლებიც გადაი



მანქანა აღჭურვილია დამატებითი შუბრუ. მით წამყვან თვლებთანაა დაკავშირებულებით, რომლის როლს თვით მოტორი ას. ლი. რულებს, დამუხრუჭებისას მისი საბოლოო

მესუთი საუკის ვახუანვისალი ძრევის 1378 წელი

პროფესორი ღრუმენში მავანიაგაძე ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

მცხეთას კათედრალის — სკეტიცხოვლის ირგვლივ დღემდე წარმოებული გამოკვლევები უძთავ-რესად 3 ისტორიულ საბუთს ეყრდნობოდა. ეს საბუთებია: 1) ცნობა იმის შესახებ, რომ „მირიან მეფემან ხითა აღაშენა სამოთხესა მას შინა ეკლესია“*... „ხოლო შემდგომად უამთა რაოდენთაშე იქმნა დიდი იგი და ყოველთა მეფეთა უმეტეს სახელ-განთქმული ვახტანგ გორგასალი. ამან, აღმატებულმან ყოველთა მეფეთა ზედა, აღაშენა ცათა მობაძავი დიდი ისე საყდარი კათოლიკე ეკლესია“**.

ცნობილია, რომ ვახტანგ გორგასალმა მცხეთი-
რან თბილისში გადმოიტანა სახელმწიფო მმართვე-
ლობის ცენტრი, ხოლო ძველ სატახტო ქალაქში —
მცხეთაში დატოვა საქართველოს ეკლესიის კათა-
ლიკოსის რეზიდენცია.

„მაშინ მცხეთად ათხელდებოდა და ტფილისი
ეშვენებოდა არმაზნი შემცირდებოდეს და კალახ
გადიდნებოდა“***.

2) ცნობა იმის შესახებ, რომ 1029 წ., ქათალი-
კოს მელხისედეკის დროს, აგებულ იქნა მცხეთის
ტაძარი სვეტიცხოველი. ამის შესახებ არის წარწე-
რა ძეგლზე. გამოკვლეული და დამტკიცებულია,
რომ მცხეთის სვეტიცხოველი იმ სახით, როგორიც
ის ძირითადად არის დღეს, აუგია სახელგანთქმულ
ქართველ მშენებელსა და ხუროთმოძღვარს არსუ-
კიძეს.

3) ცნობა იმის შესახებ, რომ მეფეს ალექსან-
დრე I (XV საუკ.) საქართველოდან მონგოლების
განდევნის შემდეგ აღუდგენია ტაძრები, ციხეები
და ხილები და მათ შორის სვეტიცხოველიც, რის-
თვისაც მოსახლეობაზე გაუწერია გადასახადი —
თითოეული კომლისათვის 40 თეთრი წლიურად,
რითაც 27 წლის განმავლობაში დაუგროვებია სახ-
სრები ამ დიდ სამუშაოთა ჩასატარებლად****. არის
აგრეთვე ცნობები, რომ ძლიერი მიწისძვრისაგან
სვეტიცხოვლის გუმბათი გადმონგრეულა და იგი
ორჯერ შეუკეთებიათ და აღუდგენიათ. ხოლო იგი-
ვე ალექსანდრე I, თვის დასაკრძალავად ჩრდი-
ვე ალექსანდრე I, თვის დასაკრძალავად ჩრდი-

ლოეთის მხარეზე სვეტიცხოვლისათვის მიუშენებია მკლავი, რომლის საძირკვლების ნაშთები ახლაც არის დარჩენილი.

მაშასადამე, სვეტიცხოველზე მეცნიერული ძიების ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ დაგვეღვინა, თუ რა ბედი ეწია ვახტანგისეულ V-ს. სვეტიცხოველს. V და XI სს შორის — 500-ზე მეტი წლის მანძილზე კი საქართველომ განიცადა არაბების შემოსევა და დარბევა მურვან ყრუს მეთაურობით.

არსებობდა აზრი, რომ „სვეტიცხოვლის“ აღგი-
ლას მცხეთაში პირველად მირიანმა ააგო ხის საყ-
ლა — სვეტიცხოველი. ამ უკანასკნელის დაღუპ-
ვის (თუ ხანძრისაგან დაწვის) შემდეგ V ს. ვახტანგ
I (გორგასალმა) ააგო სამნეფიანი ქვის ბაზილიკა —
სვეტიცხოველი (უგუმბათო საყდარი), ხოლო XI ს.
არსუკიძემ ჩატარა V საუკუნის ვახტანგისეული
ბაზილიკის — სვეტიცხოვლის რეკონსტრუქცია და
გადააკეთა იგი სამნეფიან გუმბათიან ტაძრად (სი-
მაღლით 50 მ), მაგრამ ეს აზრი საჭიროებდა. დამ-
ტკიცებას მატერიალური მონაცემებით, რაღან
აქამდე მხოლოდ წერილობითი სავარაუდო ცნობე-
ბი გაგვაჩნდა.

* გ. ჩუბინაშვილი, საშუალო საუკუნეების ქართული ხუ-
როთმოძღვრება და მისი სამი კათედრალი, გვ. 110, კრებული,
თბილისი, 1925 წ.


** დ. პ. გორდევი, წინასტარი ცნობა სვეტიცხოველის უძ-
ველესი ნაწილების შესახებ, საისტორიო კრებული, წ. I.
თბილისი, 1928 წ.

• თ. აორთანია, ქრონიკები, წიგნი I, გვ. 39, გუჯარი № 286.

** 232, 23. 49.


*** 0130, 23. 57.

*** თ. ქორდანია, ქრონიკები, წიგნი II, გვ. 226, 249.




ნახ. 1. მცხეთის სვეტიცხოველზე აღმოჩენილი ჩუქურთმებიანი გაზა

კი ტაძარში გრძივად 5 წყვილი სვეტების განლაგება სიგრძეს ვერ ავსებს და, მაშასადამე, გრძივად 6—7 წყვილი სვეტი ყოფილა და არა 5 წყვილი, როგორც ეს არის V ს. ბოლნისის სიონში, ურბნისში და სხვ. მაშასადამე, ჰიპოთეზა აქ საფუძველშივე ირლვევა. მით უმეტეს, რომ 1950 წ. ჩატარებულმა გათხრებმა ნათლად დაგვანახვა, რომ სვეტიცხოვლის საძირკვლები ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს ქვეშ აგებულია ყორული წყობით (ფლეთილი ქვა) კირის ხსნარზე იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთის ფასადის მაღალი კედელი თავის სუფთად თლილი ქვის სამსაფეხუროვანი სტილობადით (რომელიც ახლა მიწის ქვეშ არის მოქცეული) აგებულია სულ სხვაგვარ საძირკველზე. აქ სრულებით არ არის ყორული წყობა, არამედ გვაქვს ხრეშიანი ბეტონი კირით. ეს უკვე მოწმობს, რომ საძირკველი და აღმოსავლეთის კედელი ახლად აუგია აღსუკიდეს.



ნახ. 2. ბოლნისის სიონის ჩუქურთმა

როგორც გამოქვეყნებული შესალებით ვიცით, 1950 წ. გათხრებმა და სვეტიცხოვლის კონსტრუქციულმა შესწავლამ მატერიალური მონაცემებიც მოგვცა. აქ იგულისხმება ახლად აღმოჩენილი ქვა-ბაზა, ჩუქურთმა — ორნამენტით (ნახ. 1), რომელიც ბოლნისის სიონის ჩუქურთმის მსგავსია (ნახ. 2). ქვა მდებარეობს მიწის ქვეშ, გუმბათქვეშა სამხრეთის სვეტის საძირკველში, რომელიც არსუკიდეს შეგნებულად დაუტოვებია იქვე, სადაც ის დებულა (ან დაუდევს აქ ვახტანგ გორგასალის საფლავის აქცენტირებისათვის) აქედან ცხადია, რომ V ს. სვეტიცხოვლის აბსიდი ახლანდელი საკურთხევლის არეში იქნებოდა (ნახ. 3). გარდა ამისა, საკურთხევლიდან მარჯვენა სათავსოში პილიასტრებზე 6,0 მ სიმაღლეზე განლაგებულია ოთხი




ნახ. 3. მცხეთის სვეტიცხოვლის რესტავრაციის სქემა (გეგმა)

კაპიტელი ორნამენტებით (ნახ. 4), რომლებიც აგრეთვე ბოლნისის ორნამენტის მსგავსია (ნახ. 5).

ბოლნისის ორნამენტი გამოქვეყნებული იყო გ. ჩუბინაშვილის „შრომაში „თბილისის სიონი“ (1946 წ. რუსულ ენაზე), სვეტიცხოვლის ორნამენტი კი პირველად გამოქვეყნდა ჩვენს შრომაში „სამშენებლო საქმე ძველ საქართველოში“ (რუსულ ენაზე, 1952 წ.).

1951 წ. აღქიტექტორმა დოც. ი. ციციშვილმა კახეთში, მდინარე იორის ნაპირებში, წყალსაცავის მშენებლობაზე აღმოაჩინა ჩუქურთმა, რომელიც სვეტიცხოვლის საძირკველში აღმოჩენილი ჩუქურთმის მსგავსია. ირკვევა, რომ ვახტანგ გორგასალის

V ს. ერთ პერიოდში აუშენებია ბაზილიკები: მცხე-
თის სვეტიცხოველი, ბოლნისის სიონი და ბაზილი-
კა სოფ. სიონში.



ნახ. 4. სვეტიცხოვლის სამხრეთის სათავსოს ერთ-ერთი
კაპიტელი ჩუქურთმით

ასეთია დღეს ის სავსებით საკმარისი წერილო-
ბითი და ნივთიერი ისტორიული სამშენებლო მონა-
ცემები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არსუკიძეს
1010 — 1029 წწ. გადაუკეთებია V ს. სვეტიცხო-
ველი და მის ადგილას აუგია სვეტიცხოველი მისი
დღევანდელი სახით. არის კიდევ ერთი მონა-
ცემი. ესაა სვეტიცხოვლის დასავლეთის ნაწილ-
ში ნალისებრი თალები, რომლებიც აგრეთვე
პირველადია და არსუკიძეს იგი შეუნარჩუნებია,




ნახ. 5. ჩუქურთმა ბოლნისის სიონშე

ისე კი XI ს. მშენებელი და ხუროთმოძღვარი 500
წლის წინაპერიოდის სამშენებლო ხერხებს (ნალი-
სებრ თალებს) არ განიმეორებდა.

ამ მონაცემთა საფუძველზე შევეცადეთ მოგვე-
ცა სვეტიცხოვლის რეკონსტრუქციისა და რესტავ-
რაციის სქემა, რომელიც შესაძლებელია შესწორე-
ბებს ან დამატებებს მოითხოვს — იგი პირველი
ცდაა.

რესტავრაციის საფუძვლად აღებულია. ბოლნი-
სის სიონის განივი კვეთი და ამ ყაიდაზე თანამედ-
როვე სვეტიცხოვლის კვეთში ჩართულია. V ს.
მცხეთის ბაზილიკის კვეთი (ნახ. 6)..



ნახ. 6. მცხეთის სვეტიცხოვლის რესტავ-
რაციისა და რეკონსტრუქციის სქემა (განივი კვეთი)


ქვევით მოგვყავს ჩვენ მიერ დამუშავებული
ცხრილი, რომელიც ცხადყოფს რესტავრაციისა და
რეკონსტრუქციის წარმოდგენილი სქემის მართე-
ბულობას. ცხრილში მოცემულია ბოლნისის სიო-
ნისა და მცხეთის სვეტიცხოვლის გეგმის განზომი-
ლებათა პროპორციები.

მცხეთის სვეტიცხოველს რეკონსტრუქციის სხვა
კვალიც ამჩნევია.

მანძილები განივალ, დასავლეთის სვეტებს
შორისა და გუმბათქვეშა სვეტების ცენტ-
რებს შორის, ერთი და იგივე არ არის. სვეტებს შო-
რის მანძილი მატულობს დასავლეთიდან აღმოსავ-
ლეთისაკენ. ეს გამოწვეულია იმით, რომ ხუროთ-
მოძღვარს გუმბათის დიამეტრი 12 მეტრი აულია.
აქედან ის იძულებული იყო დაეცვა გუმბათქვეშა
სვეტებს შორის მანძილები — კვადრატი 12×12 მ
და შემდეგ თანდათანობით მისულიყო დასავლეთის
სვეტებს შორის ვიწრო მანძილამდე — 8,5 მ. ამრი-
გად სვეტებს შორის გრძივალ გადამავალი თალე-
ბი პარალელური როდია. გარდა ამისა, გვერდითი
თალები, რომლებიც ორთავ მხრიდან პილასტრები-
დან გაღმოდის ყოფილი სვეტების ადგილას (რომ-

№ №	გეგმის ელემენტები	ბოლნისის სიონი (V საუკუნე)	მცხეთის სვე- ტიცხოველი (V საუკუნე)	შ ე ნ ი შ 3 6 ა
1	ნეფების რიცხვი	3	3	
2	სვეტები	5 წყვილი	5 წყვილი	
3	სიგრძე და სიგანე	22×13,5	31×22	
4	სიგრძისა და სიგანის შეფარდება	22:13,5=1,63	31:22=1,4	
5	სვეტებს შორის მანძილი	6,7×3,8	8,5×6	
6	სვეტებს შორის მანძილების შეფარდება	6,7:3,8=1,76	8,5:6=1,41	
7	სვეტებს შორის (გრძივად) მანძილის შეფარდება მანძილისადმი სვეტებ- სა და კედელს შორის	3,8:3,4=1,11	6:6,75=0,9	
8	ცენტრალური ნეფის სიმაღლე	11,2	უცნობია (დაუშვათ 15მ)	
9	ცენტრალური ნეფის სიმაღლის შეფარ- დება მის სიგანესთან	11,2:6,7= 1,7*		
10	ცენტრალური ნეფის სიმაღლის შეფარ- დება ტაძრის სიგანესთან	11,2:13,5=0,8	15:22=0,7	* თუ კოეფიციენტი 1,7 სვეტიცხოვ- ლის ცენტრალური ნეფის სიგანეზე გავ- ამრავლებთ, მივიღებთ მის სიმაღლეს: $1,7 \times 8,5 = 14,45 \sim 15$ მ. ამჟამად სვე- ტიცხოვლის ცენტრალური ნეფი ამაღ- ლებულია 9 მეტრით და 23,5 მ აღწევს.
11	ტაძრის სიგრძის შეფარდება ცენტრა- ლური ნეფის სიმაღლესთან	22:11,2=2	31:15=2	** შესაძლებლობა იყო იგი გადახუ- რული ყოფილიყო ნალისებრი განივი თაღებათ. ბოლნისის სიონზე კი გვერ- დითი ნეფები გადახურულია წრის (თით- ქმის) მეოთხეულის მოზაზულობის კამა- რებით.
12	ცენტრალური ნეფის სიგანის შეფარ- დება გვერდითი ნეფის სიგანესთან (სვეტსა და კედელს შორის)	6,7:3,4=2	8,5:6,75=1,3**	

ლებიც გამორიცხულია), ახლა გვერდიდან გრძივი
თაღის საჭერში მიღის და თაღები ცალმხრივად
(არასიმეტრიულად) არის დატვირთული. ეს აშკა-



ნახ. 7. მცხეთის კათედრალი—სვეტიცხოველი

რა არასიმეტრიულია მშენებელს უნაცვლებია,
რათა დასავლეთის სვეტებს შორის შეექმნა გრძივი
მაღლი 12 მ, სავსებით სიმეტრიული და გუმბათ-
ქვეშა სვეტებს შორის მაღლის ტოლი.

მეტად საყურადღებოა სვეტიცხოვლის კედ-

ლების ქვის წყობაში თარაზულად ჩალაგებული
ზოლოვანი (არა სორტამენტის) ნაჭედი რკინა. ეს
სამშენებლო ხერხი ნავარაუდევია მიწისძვრის წი-
ნააღმდეგ ნაგებობების სიმტკიცის უზრუნველსაყო-
ფად, რაც შორეული ეპოქისათვის (XI ს.) უთუთ
ქართველი ხალხის სამშენებლო ხელოვნების მაღა-
ლი დონის მაჩვენებელია.

ზემოაღნიშნული რეკონსტრუქციის მატერია-
ლური მონაცემები მიეკუთვნება მცხეთის სვეტი-
ცხოვლის მშენებლობის პერიოდს—1010—1029 წწ.,
რაც შესრულებულია სახელოვანი ქართველი ხუ-
როთმოძღვრის არსუკიძის მიერ.

რაც შეეხება შემდგომ აღდგენით სამუშაოებს,
რომელიც სვეტიცხოველზე ალექსანდრე I დროს,
ან შემდეგ ჩატარებულა, დაკვირვებამ გვიჩვენა,
რომ მათ არ შეუცვლიათ ძეგლის არსი და მასში
მხოლოდ მასალათა სიჭრელე შეუტანიათ (სხვადა-
სხვა „სტანდარტის“ აგურები, კირის დუღაბები და
ქვები).

როგორც აქ მოტანილი მასალებიდან ჩანს, იმ
ძეგლების რესტავრაცია, რომელთა ნაშთები აღარ
მოგვეპოვება, მეტად რთულია. მაგრამ სიძნელე
ვერ წაშლის იმ აქტუალობას, რომელიც ამ პრობ-
ლემას აქვს. მით უმეტეს ეს საკითხი გადაუდებე-
ლია როგორც საქართველოსათვის, ისე სომხეთისა-
თვის, სადაც სხვადასხვა დამპყრობთა ურდოების
შემოსევის შედეგად და ბუნების ძალთა გავლენით
დანგრეულია ჩვენს წინაპართა კულტურისა და სამ-
შენებლო ხელოვნების მნიშვნელოვანი არქიტექ-
ტურული ძეგლები.

ამ გზით საჭიროა წარიმართოს სპეციალისტთა
კომპლექსური მუშაობა, რათა გამომუშავებულ იქ-
ნეს, ზოგადად მაინც, ძირითადი მეთოდოლოგიური
ცნებები, რომელთაც მკვლევართა ახალგაზრდა თა-
ობისათვის გამოყენებითი ძნიშვნელობა ექნება.

რკინიგზის ტრანსპორტის საკითხები

რკინიგზის სადგურები და კვანძები

ინჟინერი ელევსანერი კუჭეიძე

განუწყვეტლივ ვითარდება ჩვენს ქვეყანაში ყველა სახის ტრანსპორტი — რკინიგზისა, წყლისა, სავტომობილო, საჰაერო, სამილგამტარო. ამასთან უნდა ითქვას, რომ ისეთ დიდ სახელმწიფოში, როგორიც სსრ კავშირია, მთავარი, გადამწყვეტი როლი რკინიგზის ტრანსპორტს ეკუთვნის.

ჯერ კიდევ 1918 წლის აპრილში ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ რკინიგზები — ეს „ერთ-ერთი გამოვლინებაა ქალაქება და სოფელს შორის, მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის არსებული ყველაზე მკაფიო კავშირისა, რომელსაც ემყარება მთლიანად სოციალიზმი“.

მიმოსვლის სხვა საშუალებათაგან განსხვავებით, რკინიგზა არა დამოკიდებული წლის დროზე, კლიმატურ და მეტეოროლოგიურ პირობებზე და შეუძლია უზრუნველყოს ტვირთების მასობრივი გადაზიდვა მუდმივად, დიდ მანძილზე და მოკლე ვადაში. ამით აიხსნება ის, რომ რკინიგზაზე მოდის ქვეყნის მთელი ტვირთბრუნვის 85 პროცენტამდე და მგზავრთა გადაყვანის 90 პროცენტზე მეტი.

რკინიგზის ტრანსპორტის მეურნეობა მეტად რთულია. ის მრავალ სხვადასხვა დარგისაგან შედგება. მათ შორის ყველაზე უფრო მთავარსა და გადამწყვეტის სადგურები და კვანძები წარმოადგენენ.

რა ოპერაციები სრულდება სადგურებში?

რკინიგზის სადგურებში მიმღინარეობს სამგზავრო ბილეთების გაცემა, მგზავრთა მიღება-გაშვება, ფოსტის, ხელბარგის დახარისხება, შენახვა, ვაგონების მიწოდება დატვირთვა-გაღმოტვირთვისათვის, დატვირთვა, გაღმოტვირთვა, ტვირთის აწონა; მატარებელთა შეხვედრა, გვერდის აქცევა, გადასწრება, მათი შედგენა და დაშლა; სამატარებლო გუნდებისა და ლოკომოტივების შეცვლა, ლოკომოტივების შეკეთება და სრული ეკიპირება.

სწორედ ამიტომაა, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე სადგურები ითვლება იმ ძირითად საწარმოო ერთეულებად, რომლებიც არა მარტო ტვირთზიდვის


სახელმწიფო გეგმის შესრულებას, არამედ გადაზიდვათა პროცესის ორგანიზაციისაც უზრუნველყოფენ.

მუშაობის მოცულობის მიხედვით სადგურები შეიძლება იყოს უგორაკო — დამხარისხებელი მოწყობილობებით, ერთ ან ორკომპლექტიანი გორაკიანი სადგურები — დამხარისხებელი მოწყობილობებით, რომლებიც შესაფერისად მოითხოვენ სალიანდაგო, სამგზავრო, სალოკომოტივო, სავაგონო, სატვირთო, სამანევრო, სასამსახურო მოწყობილობებსა და ნაგებობებს.

სადგურების წარმატებით მუშაობისათვის მთავარია ამ მოწყობილობებისა და ნაგებობების მაღალი ტექნიკური დონე, სასადგურო ტერიტორიაზე მათი რაციონალურად განლაგება, ტექნიკურ აღჭურვილობათა სპეციალიზაცია, შრომის სწორი ორგანიზაცია.


საბჭოთა ქვეყანამ ძველი რუსეთისაგან მეტად უვარებისი რკინიგზის ტრანსპორტი მიიღო. სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში 4 332 ხილი, რკინიგზის 500-ზე მეტი სამგზავრო შენობა. 2 904 საისრე გადამყვანი და მრავალი სხვა ტექნიკური ნაგებობა დაინგრა, განსაკუთრებით დაზიანდა და სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა რკინიგზის სადგურები და კვანძები.

რევოლუციამდე რუსეთის რკინიგზების მთელი რიგ კვანძებში, სადაც სხვადასხვა მხრიდან შემოდიოდა როგორც სხელმწიფო, ისე კერძო მესაკუთრეთა რკინიგზები, იყო რამდენიმე სადგური — სამგზავრო, სატვირთო, სანავსადგურო და სხვ., რომლებიც ემსახურებოდნენ ყველა მიმართულებას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ, ცალ-ცალკე. ამ მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ ერთ კვანძში იყო 2—3 სატვირთო სადგური (ორიოლში, სმოლენსკში, ბატრაკში და სხვ.), ორ-ორი სამგზავრო სადგური (სმოლენსკში, კუპიანსკში და სხვ.), ასევე დამხარისხებელი სადგურები (ბრიანსკში, პენზაში). ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ყველა სადგური პრი-



ნახ. 1. საუბნო სადგურის სქემა

მიტიულად იყო მოწყობილი, მატარებელთა გამ-
ცარუნარიანობა ძლიერ შეზღუდული იყო, ხადგუ-
რები ვაგონების დამგროვებელ პარკს წარმოადგენ-
და



ნახ. 2. გორაკიანი მექანიზებული სადგურის დამხარისხებელი
პარკი

მეურნეობის ახალმა სოციალისტურმა ფორმამ რკინიგზის დამხარისხებელი სადგურების კვანძების გამტარიანობის გადიდებაზე და ტრანსპორტის სხვა აქტუალურ საკითხებზე სერიოზული მუშაობა მოითხოვა. 1923—1927 წწ. გაერთიანებულ იქნა რკინიგზის 70 კვანძი. ამ ღონისძიების გატარებით სახელმწიფო მიიღო მრავალი მილიონი მანეთის ეკონომიკა.

სადგურებისა და კვანძების რეკონსტრუქცია, გადაკეთება, განვითარება განსაკუთრებული ტემპით დაიწყო 1925 წელს. ამ წელს რკინიგზელები შეუდგნენ ხარკოვის, როსტოკის, ლოზოვაიას, პენზის, ბრიანსკისა და სხვა კვანძების გადაკეთება-განვითარების სამუშაოებს. ერთი წლის შემდეგ დაიწყო აგრეთვე ახალი დამხარისხებელი სადგურების აგებაც. დიდი მუშაობა ჩატარდა იასინოვატიას, ბატაისკის, ოსნოვას, ბატრაკისა და იუდინოს გორაკიანი დამხარისხებელი სადგურების აგებისათვის.

შემდეგ, ჩვენი სამშობლოს ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით, დაიწყო აგრეთვე ახალი დიდი გორაკიანი სადგურების მშენებლობა სვერდლოვსკში, ბრიანსკში, ჩელიაბინსკში, ომსკში, დარნიცაში და სხვ. ამ მშენებლობის პარალელურად წარმოებდა ორშის, სმოლენსკის, გომელის, მინსკის, ტიხორეცკიას, კიევის, ტულისა და მთელი რიგი სხვა კვანძების რეკონსტრუქცია.

ამ პერიოდში ხარკოვის კვანძმა მთლიანად იცვალა სახე. აქ სამგზავრო მოძრაობა სატვირთო მოძრაობისაგან გამოყოფილ იქნა. ააგეს ე. წ. ნოვოსელოვის გზაგამტარი, რომლის აგებისას პირველად იქნა გამოყენებული ორიგინალური 10° -ით დახრილი რკინა-ბეტონის გზაგამტარი.


მატარებელთა მოძრაობისათვის ვიწრო ადგილს წარმოადგენდა როსტოკის კვანძი. ამიტომ აქ ააგეს ორმხრივო გორაკიანი დამხარისხებელი სადგური ბატაისკი, რომელმაც შესაძლებელი გახადა დღე-ღამეში გადაემუშავებინათ რამდენიმე პარალელური ვაგონი. ამ

მიმართულებით ტვირთზიდვის გაძლიერების მიზნით აგებულ იქნა აგრეთვე ღიღი სატვირთო სადგური ნახევანში, გაიყვანეს ხოპერის შემოსავლელი გზა და ასეთი ღონისძიებების გატარებით ტაგანროგ-ტიხორეცკიას მიმართულების მატარებლებს როსტოკის კვანძში ჩიხობრივი შესვლა ააცილეს. ასევე ლოზოვაიას კვანძზე სევასტოპოლის მხრიდან ახალი შემოსავლელი ხაზების აგებით მოსკოვის, ხარკოვის, ყირიმის მიმართულების ყველა მატარებლის მოძრაობა გაადვილებულ იქნა.


მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას საგრძნობლად აფერხებდა სვერდლოვსკის კვანძი. ამიტომ აქ ყაზანისა და პერმის მხრიდან მომავალ მატარებლებისათვის ლიანდაგების გადაკვეთა გზაგამტარის საშუალებით სხვადასხვა დონეზე მოეწყო, აგებულ იქნა გორაკიანი დამხარისხებელი სადგური, რეკონსტრუქციებული იქნა სამგზავრო მოძრაობისათვის განკუთვნილი ნაგებობანი.

1928—1933 წწ. ურალის მიმართულებით მეორე ლიანდაგის დაგებამ, მატარებელთა ორმხრივმა მოძრაობამ გამოიწვია მთელი დასავლეთი ზონისა და ციმბირის მიმართულებით მდებარე სადგურებისა და დეპოების რეკონსტრუქცია. ეს იყო უაღრესად დიდი ღონისძიება, რომელიც წარმატებით ჩატარეს საბჭოთა რკინიგზელებმა. კიდევ მეტი. მსოფლიოში პირველად მოსკოვ-მიტიშჩის უბანზე დაგებულ იქნა მესამე ლიანდაგი და ორმხრივი მოძრაობა დაინერგა მრავალლიანდაგიან გზაზე.

სადგურებისა და კვანძების შემდგომი განვითარების საქმეში გრანდიოზული სამუშაოები ძირითადად 1934 წლიდან დაიწყო. ამ პერიოდში ჩატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ქვეყნის სხვადასხვა უბნებში ახალი დამხარისხებელი სადგურების აგება, გორაკების მექანიზება საბჭოთა მეცნიერების მიერ გამოგონებული ე. წ. ვაგონის შემნელებლებით („რეტარდერებით“), მიმღებ-გამგზავნილიანდაგების დაგრძელება, ისრებისა და სიგნალების ცენტრალიზება, დეპოების და საეკიპირო საშუალებების განვითარება. 1934—1935 წწ. აგებულ იქნა პირველი ორი მექანიზებული გორაკი კრასნი ლიმანისა და დებალცევოს სადგურებში. შემდეგ,



ნახ. 3. სადგურის ხატვირთო ეზოში



ნახ. 4. სტალინგრადის რეინიგზის კვანძის სქემა

1936 წელს, ასეთი 16, ხოლო 1937 წელს — 17 სადგური მოეწყო სხვა მსხვილ სამრეწველო ცენტრებში.

1936—1941 წწ. მთავარი ყურადღება გამახვილებულ იქნა ძირითადი გადამწყვეტი სადგურების განვითარებაზე და წმინდა ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებაზე — სასადგურო მეურნეობაში არსებული შინაგანი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებაზე, კადრების კულტურული და ტექნიკური ღონის ამაღლებაზე, შრომის მოწინავე მეთოდების შემუშავებასა და განზოგადებაზე.

სამამულო ომის შლებში რეინიგზის სადგურებისა და კვანძებს, განსაკუთრებით — ვოლხოვსტროის, ბოლოგოეს, კოჩეტოვკას, ლიხაიას, როსტოვს, სტალინგრადს, ასტრახანსა და სხვ. ომის მთელი სიმძიმე დააწვა. ომის შლებში დაინგრა 4 ათასზე მეტი სადგური.

სამამულო ომში მიღებული გამოცდილების საფუძველზე 1946 წელს რეინიგზის ტრანსპორტის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა დაამუშავა სადგურებისა და კვანძების პროექტირების ახალი ტექნიკური ნორმები. ამ ახალი საპროექტო ნორმების მიხედვით მეოთხე ხუთწლედში აღდგენილ იქნა რეინიგზის ტრანსპორტი იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანელთა ოკუპაცია განიცადეს. ახალი ტექნიკით იქნა შეიარაღებული მთელი რიგი რეინიგზები. შემადგენლობის პარკი შეიქმნა 6 ათასზე მეტი სამაგისტრალო ორქლმავლით, 5 ათასზე



მეტი სამაგისტრალო ელექტრით, 4 ათასზე მეტი სატვირთო და 6 ათასზე მეტი სამგზავრო ვაგონით. აგებული იქნა 1.800 ლიდი და საშუალო ხიდი, 1.500 ვაგზალი, საორთქლმავლო დეპოს 1.300 სადგომი და 100-ზე მეტი სავაგონო დეპო. 7 ათასზე მეტ კილომეტრზე გაყვანილ იქნა ახალი რკინიგზის ხაზები, დაგებულ იქნა 12.500 კილომეტრი სიგრძის მეორე ლიანდაგი, ალდგენილ და მექანიზებულ იქნა 21 გორაკი.

ომის შემდგომ ხუთშლებში თვალსაჩი-

ნოდ განვითარდა სადგურებისა და კვანძების მეცნიერება. ცნობილმა საბჭოთა მეცნიერებმა ობრაზცოვმა, ბარტენევმა, გურგენიძემ, გერასიმოვმა, ლოლაბერიძემ, ბოცმანოვმა და სხვებმა სადგურებისა და კვანძების განვითარებისათვის ახალი სქემები და თეორიები შექმნეს. ამ მოწინავე აღამიანთა შრომები მიზნად ისახავენ სადგურებში სამანევრო გარბენის შემცირებას, მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობას, ტვირთზიდვის თვითლირებულების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად სახე იცვალა სადგურებმა, უფრო შესამჩნევად — სატვირთო სადგურებმა.

ორმხრივი რაღიოკავშირი, ავტომტვირთავები, მძლავრი ამწეები, აკუმულატორული მტვირთავები, ბევრი სხვა მანქანა და მექანიზმი ამსუბუქებს და ააღვილებს აღამიანთა შრომას, ზრდის მის ნაყოფი-



ნახ. 5. დიდ სამრეწველო ცენტრებთან რეინიგზის კვანძების ტრაიური სქემები.

ერებას. 1940 წელთან შედარებით, თითქმის 13-ჯერ გაიზარდა ტვირთების გადაზიდვა კონტეინერებით.

ამჟამად წარმოებს ბრძოლა იმისათვის, რომ მძიმე წონის შემადგენლობებმა ჩქარულად იმოძრაონ ყველა მიმართულებათ.

ამ სახელმწიფოებრივი ამოცანის დადებითად გადაწყვეტის საქმეში მთავარ როლს სადგურები ასრულებენ. სადგურები ტექნიკურად ისე უნდა იყვნენ აღჭურვილნი, რომ იქ შესაძლებელი იყოს გრძელშემადგენლობიანი მატარებლების მიღება, დაშლა, შედგენა და გაგზავნა.

ამ მიზნის განსახორციელებლად დიდ რეზერვებს პოულობენ დამხარისხებელ სადგურთა სტანციონელები. სულ უფრო ფართოდ ვრცელდება სადგურების მუშაობის მოწინავე მეთოდები: სერიული ბიძებით ვაგონების დახარისხება, გამწევ ჩიხებში დახარისხების ნაკადური ხერხები, მრავალჯგუფური ბიძების მეთოდი. ეს ხერხები და ეს მეთოდები საგრძნობლად აღიდებენ სადგურების წარმადობას, ზრდიან მათს გამტარუნარიანობას.

მტკიცედ შეიძლება იმის თქმა, რომ განვლილ 30—36 წლის განძილზე ჩვენი დიადი სამშობლოს რკინიგზის ყველა სადგურმა და კვანძმა სახე იცვალა, ალიჭურვა მაღალხარისხოვანი ტექნიკით; ქვეყნის ყველა კუთხე და ყველა უბანი მოიცვა რკინიგზის ტრანსპორტმა; აგებულ იქნა მრავალი ასეული საშუალებო, საუბნო, დამხარისხებელი, სამგზავრო

და სატვირთო სადგურები. მაგრამ ცხოვრება წინ მიღის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრება ყოველდღე უფრო მშვენიერი, უფრო შეძლებული და კულტურული ხდება. შემდგომ ვითარდება, იფურჩქნება სოციალიზმის ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, ამიტომ სადგურებისა და კვანძების სპეციალისტთა — მეცნიერ-მუშაკების, ინჟინერ-ტექნიკოსების, სტანციონელების და ნოვატორების ზემოთ აღწერილი მიღწევები ხვალ ვერ დაგვაკმაყოფილებს. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის რკინიგზის ზოგიერთი სადგური — კერძოდ, ნავთლულის, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, სამტრედიისა და სხვა სადგურები, ისე როგორც სხვა რესპუბლიკების ზოგიერთი სადგურები და კვანძები, უკვე გადაკეთებასა და რეკონსტრუქციას საჭიროებენ.

ტრანსპორტის მრავალრიცხვანი კადრები, რომლებიც შეგნებულად და გულმართლად ემსახურებიან ხალხს, უდაოა ამ სამუშაოებსაც წარმატებით შეასრულებენ, საბჭოთა ქვეყნის სადგურებსა და კვანძებს კვლავ პირველობას შეუნარჩუნებენ მთელ მსოფლიოში, განუწყვეტლივ გაზრდიან მის საწარმოო ძალებს, მთელ თავიანთ საქმიანობას დაუკავშირებენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

ახალი ენერგომატარებელი


ბრიანსკის ორთქლმავალსაშენებელმა ქარხანამ სხვა საწარმოებთან თანამშრომლობით დაგევმარა და აგო ახალი ენერგომატარებელი. მისი დანიშნულებაა — ენერგია მიაწოდოს ახალ გვენებლობებსა და სამრეწველო ცენტრებისაგან დაშორებულ სხვა საწარმოებს.

მატარებელი წარმოადგენს სითბურ ელექტროსადგურს, რომელსაც შეუძლია იმუშაოს ავტონომიურად, აგრეთვე ყოველგვარ ენერგოსისტემაში, სადაც სიმძლავრეთა ნაკლებობას განიცდიან.

შემადგენლობაში შედის სპეციალური კონსტრუქციის 13 ვაგონი: სატურბინო, დამხმარე მოწყობილობისა, ელექტრული განმანაწილებელი მოწყობილობისა, სახელოსნო, საერთო საცხოვრებელი, სამსახურებრივი. ოთხი ვაგონი უკავია საშეცურებს, სამი — საქვაბეებს.

ენერგომატარებლის მუშაობის პროცესების უმრავლესობა მექანიზებული და ავტომატიზებულია. სპეციალური ავტომატები არეგულებენ ქვაბზი წყლის მიწოდებას. მექანიზებულია ხათბობი მასალის მიწოდება ხვიმირებში და ქვაბების საცე-

ცხლეებში, წილისა და ნაცრის გატანა. მთლიანად ავტომატიზებულია დეარაცია-აორთქლების დადგმულობის მუშაობა.



ენერგომატარებელი დგება ორ პარალელურ გზაზე. მათ შორის ეწყობა პერონი.

(„გუდი“)

მორნიუს ხაქმა საქართველოში ძველად და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინი

გადაწილების მინდაბა

ისტორიულად ცნობილია, რომ ქართველები ძველთაგანვე კარგად იყვნენ დაუფლებული მორწყვისა და მიწათმოქმედების რთულ და მაღალ ტექნიკას.

მორწყვა — ეს ფრიად დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო დარგი — თავისი ყოველგვარი ტექნიკური ნაგებობით ჩვენში რომ მაღალ საფეხურზე მდგარა, ამის დამადასტურებელი მრავალი ისტორიული დოკუმენტი აჩსებობს. რუების მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში, კლიმატური პირობების გამო, ბუნებრივად განვითარდა.

შეერთებული შრომით გაიყვანდნენ თუ არა რუს, ამას თან მიჰყებოდა მაღალმოსავლიანი მიწათმოქმედების გაშლა, წისქვილების მშენებლობა, ახალი ადგილების დასახლება. ასე წარმოიშვა სოფლები, რომლებიც დღესაც არსებობს და რომელთა სახელწოდება რუს სახელთან და მის მშენებლობასთან არის დაკავშირებული, მაგალითად: რუსბოლო, რუსი, რუსის წინა უბანი, რუსპირი, რუსთავი (აღმ. საქართველოს სხვადასხვა რაიონში) და სხვ.

რუსთავი ნიშნავს რუს სათავეს.

სამწევრისის ტაძრის (ხაშურის რაიონი) წარწერაში, რომელიც X საუკუნეს მიეკუთვნება, ნათქვამია:

„მე დომნინოს სამწევრის ჯუარისა მამასახლისმან და გიორგი თუბალისძემან მოვიღეთ რუვი ესე ჯუარად“ (გ. ჩუბინაშვილი, მასალები სამწევრისის ტაძრის შესწავლისათვის: „ქართული ხელოვნება“, ტ. 2, გვ. 21).

„ქართლის მოქცევის“ შატბერდულ ვერსიაში (რომელიც შემონახულია X საუკუნის ხელნაწერით) ნათქვამია, რომ ვითომც ალექსანდრე მაკედონელი მეორედ მოვიდა საქართველოში, გარეკა პონები და „სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტთთუმ და დადგა სარკინესა დასავლით კერძო და დასცა ვენაჯი და რომ გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მერუვენი“. აქ ჩვენთვის საინტერესო მხლოდ ის, რომ რუს გამოყვანა და რუს მომსახურება მერუვეებისაგან ძველის-ძველი ამბავი ყოფილი ჩვენში.

გადმოცემით, ქარელის რაიონის სოფელ ურბნისის მონასტრის ბერს სტეფანეს სოფელ შინდისის მემამულისათვის უთხოვია — ერთ გუთანს გავატარებ და იმ ნაგუთნარში რაც წყალი ჩაეტევა, ის მეყოფა და ნება დამრთე ლიახვიდან სარწყავი წყალი მივიღო. მემამულეს ნება დაურთავს. სტეფანე ბერს გაუტარებია გუთანი. შემდეგ დროთა განმავლობაში წყალს ბუნებრივად გაუფართოვებია კალაპოტი და ურბნელებს საკმაო სარწყავი წყალი მიუღიათ.

რუსის მკვიდრ მოხუცთა გადმოცემით, სოფელ წვერში, ქვენატკოცასა და არადეთში (რომლის მიწები წინათ ურწყავი იყო და რომელიც სოფელ რუსიდან დაშორებულია 6—8 კილომეტრით) ქალს არ გაათხოვებდნენ, რადგან იქ ურწყავი ადგილები ყოფილია, ურწყავ მიწებზე კი, სარწყავ ადგილებთან შედარებით, მოსავალი ყოველთვის მცირება და პურის თესლიც „აშრეტილია“. აშრეტილი პურის თესლი ეკონომიურად ღონიერ ოჯახს ვერ წარმოშობს, ღარიბ ოჯახში კი ჩვენშვილს არ გავათხოვებდითო, — ამბობდნენ აქაური მკვიდრი.

ამავე გადმოცემით, შინდისის, საქაშეთის, სასირეთისა და რუსის მინდვრებზე, რომლებიც ლიახვით ირწყვებოდა, მეტი მოსავალი და შედარებით უფრო გემრიელი პური, ხილი და ბოსტნეული მოდის, ვიდრე მდინარე ძამისა (რწყავს სკრის მიღმოებს) და მტკვრის წყლებით მორწყულ მიწებზე (ქარელი, ზემო და ქვემო ხელურეთი და სოფელი ღვლევი).

ქართლში საერთოდ ძველი ხალხური დაკვირვება უპირატესობას ანიჭებდა მდინარე ლიახვის-წყლით მორწყვას, ვიდრე სხვა მდინარეთა წყლით მორწყვას, ამავე დროს ამჯობინებდნენ ღამით მორწყვას და ხაზს უსვამდნენ განსხვავებას სარწყავისა და ურწყავის მოსავალს შორის.

ამასთან დაკავშირებით დიდად საინტერესო ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა: „არამედ არს მდინარე ლიახვი სარგებლიანი, მრწყველი ველთა იმიერ და ამიერ ლიახვისათა... რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი, და გემოიანი, და სპეტაკი“ (ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბილისი, 1941 წ., გვ. 75).

აღსანიშნავია, რომ სოფელ რუსში წყლის საღენ საგანგებო თხრილს არხს კი არა დღესაც რუსებითან.

რუს მშენებლობასთანაა დაკავშირებული აღმოსავლეთ საქართველოში მრავალი სოფლის სახელწოდება.

კასპის რაიონის კოლმეურნეები დღესაც რუსებითან მდინარე ლეხურიდან გამოსულ სარწყავ ქსელს. ასე, მაგალითად, საკორინთლო-ქვემო ჭალის რუს კორეჭის რუს, შუა რუს, ქვემო ჭალა-სამთავისის რუს.

მცხეთის რაიონის მუხრანის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული უძველესი რუსხმულის ქანობზე გადის ამჟამად მოქმედი „გარდუშის“ რუს (რომელიც რწყავს მუხრანის, პატარა და ძველი ქანდის და წეროვნის ნაწილის მინდვრებს); „გარდუშის“ რუს სათავეს იღებს დიდი რუს-დან, რო-

გორც მას ხალხი ეძახის. დიდი რუ წყალს მდინარე ქსანიდან ღებულობს.

რუების უმეტესობას სოფლებისა და ადგილ-მდებარეობის სახელი აქვს შერქმეული (ქსოვრისის-რუ, სამთავრისის-რუ, საკორინთლოს-რუ, ივოეთის-რუ, კეხვის-რუ და სხვ. მრავალი), რაც ერთხელ კი-დევ ამტკიცებს საქართველოში ამ სახელწოდების უდიდეს ხნიერებას.

რუს გაყვანას, დასახლებასა და მაღალ მიწათ-მოქმედების განვითარებას თან მისდევდა წისქვი-ლების მშენებლობა, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ამრიგად, წყალს იყენებდნენ სარწყავად და წისქვილების ასამუშავებლად; წისქვილი ძველ საქართველოში გახდა წყლის საზომ ერთეულად: „საწისქვილო“. ერთი „საწისქვილო“ წყალი — ეს არის წყლის ის რაოდენობა, რაც საკმარისი იყო ერთი თვალი წისქვილის ასამუშავებლად.

აღმოსავლეთ საქართველოში არსებული 148 რუდან, 56 რუ აღნიშნულია რუკაზე. 61 რუზე მოწ-ყობილია 321 წისქვილი. ეს რაოდენობა მოდის მხოლოდ იმ სარწყავ სისტემებზე, რომელთაც ხალ-ხი თავიდანვე რუს ეძახის. ამავე დროს აღსანიშნა-ვია, რომ სპეციალურად გაყვანილ სარწყავ თხრილს — ალაიანისა (აშენებულია 1906 წ.) და არაგვისა (აშენებულია 1928 წ.), მიუხედავად იმისა, რომ უკა-ნასკნელი შედარებით ახლად გაღებულ ქსელს ეკუთვნის, ხალხი მაინც რუს ეძახის (ალაიანის-რუ და არაგვის-რუ).

ძველად სარწყავად გამოყვანილ წყალს რუვი, ანუ რუ, ერქვა და ახლაც ქვია ქართლსა და კახეთ-ში. რაც შეეხება არხს, იგი ქართული სიტყვა არ არის და თურქეთიდან არის შემოსული ქართულში შედარებით გვიან.

აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა ორბელიანს არხის განმარტება არა აქვს მოცემული.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი კი არხს ასე განმარტავს: „წყლის სადენი საგანგებო თხრილი... ზღვათა (ან მდინარეთა) შორის გაჭრი-ლი თხრილი ამ ზღვების (ან მდინარეების) ერთმა-ნეთთან დასაკავშირებლად...“

თხრილი, საბას თქმით, მიწანათხარს ნიშნავს, ხოლო „რუ — ეს არს წყალი სარწყავად გაღებუ-ლი“.

დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, „კანალ“ არის „რუ, რუსხმული, არხი სასდუნი, ჯირგვინი“.

ვახუშტი ბაგრატიონი მდინარე ივრის ორივე მხრივ მოქმედი სარწყავი სისტემებისა და ნაყოფი-ერი დაბლობების აღწერის დროს ამბობს: „ხოლო მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრი-ად ნაყოფიერი, ვინადგან აღმოვლენან რუნი, და ირწყვიან ველნი, და სცენდებიან ყოველნი მარ-ცვალნი“ (იხ. ვახუშტის ხსენებული შრომა, გვ. 89).

რუ-სთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: წყლის სადენი საგანგებო თხრილის სათავე თვით შუა წელის კალაპოტზე უფრო განიერი უნდა ყოფილიყო; კალაპოტის ძი-რი, ზედაპირთან შედარებით, რუს ვიწრო უნდა

ჰქონდა. რუს კალაპოტი წყალს რომ არ ჩაეწერია, კედლები მას, ნიადაგის პირობების მიხედვით, დახ-რილი უკეთდებოდა.

ქართველი ხალხი ნათლად ამუღავნებდა მიკრო-რელიეფის სწორად გამოყენების უნარს. ადგილმდე-ბარეობის მიხედვით, რუს დახრილობის შენარჩუნე-ბის მიზნით, ხალხი ტექნიკურად ახერხებდა წყლის გადატარებას რელიეფის რთულ პირობებში. უსწო-რო, მოკლე გადასაყვან ადგილებზე ხელოვნურად აკეთებდნენ ეგრეთ წოდებულ „ბერლარებს“, ხოლო თუ მანძილი შედარებით დიდი იყო, მაშინ — რუს-ხმულებს, რაც მაღლა შეშენებულ რუს წარმოად-გენს.

„ბერლარი“ წარმოადგენდა რუს კალაპოტის სიგანესა და სიმაღლესთან შეფარდებით შეკრულ გრძელ ხის ღარს. ადგილმდებარეობისა და საჭირო-ების მიხედვით ორი, ზოგჯერ სამი ასეთი ღარი იყო გადაბმული ერთმანეთზე. „ბერლარი“ ხის სათანადო საყრდენებზე იდგა.

თანამედროვე ტექნიკაში რკინის ან ბეტონის ხი-დის მსგავს ნაგებობას, მდინარის ან ხევის ერთი ნა-პირიდან მეორე ნაპირზე წყლის გადასაშვებად, აკვედუკებს ეძახიან.

საინტერესოა სიტყვა რუსხმული, რაც რუს უშენებლობასთან ორგანულადაა დაკავშირებული. რუსხმული ქართული სიტყვაა. მას სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „რუსხმული მაღლა შეშენებული რუ“. ფრიად მნიშვნელოვანია აკადე-მიკოს ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევა რუსხმულის შესახებ: „ჩვეულებრივ არხს გარდა, რომელიც მი-წაში გაჭრილ კალაპოტს წარმოადგენდა, წყლის სა-დენად ხელოვნურად მაღლა ნაგები კალაპოტიც კეთდებოდა, რომელსაც ლათინურად აკვედუკები ეწოდებოდა. ქართულადაც ასეთ რუს თავისი გან-საკუთრებული სახელი ჰქონდა და რუსხმული ერქვა“.

ქართულ ენაში სიტყვა რუსხმულის არსებობაც ნათლად ამტკიცებს რუს მშენებლობის მაღლ ტექ-ნიკას და ამ ტერმინის უძველეს ხნიერებას საქარ-თველოში.

ქართლში, ტირიფონის ველის ცენტრალურ ნა-წილში, სოფელ ხურვალეთსა, წინარეხსა და ახალ-ქალაქში დღესაც კარგად არის შენახული რუსხმუ-ლის გრძელი ნაზურგი. ამ ადგილს ხალხი რუს-ხმულს ეძახის.

ხალხი დღესაც რუსხმულს ეძახის მცხეთის რა-იონის მუხრანის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებულ ერთ ადგილს, რომელიც იწყება მუხრა-ნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის „ხილი-ანიდან“ (ხეხილის ბალიდან). ხსენებული რუსხმუ-ლის სიგრძე 3 კილომეტრი და 980 მეტრია; მიწის დაყრის სიმაღლე ზოგ ადგილას 6—7,5 მეტრს აღ-წევს. რუსხმულის უძველესი ხნიერება იმითაც მტკიცდება, რომ მის ფერდობებზე 300—400 წლის მუხრისა და თელას ნარგავი ხეები დგას. აღნიშნული რუსხმული ისეთი შესანიშნავი ოსტატობითაა აგე-ბული, რომ 1951 წელს, მუხრანის სარწყავი სისტე-

მის მშენებლობის გეგმის მიხედვით, რუსხმულზე ამოღებულ იქნა სარწყავი წყლის სადენი თხრილი.

საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ არის მერუე, რომელიც უძველეს ძეგლებშიაცაა მოხსენებული და რა ევალებოდა მას? ეს ტერმინი დღესაც ცოცხალია.

ცნობილია, რომ მიწათმოქმედების განვითარებაში სარწყავი რაიონებისათვის წყალს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა. წყლით სარგებლობისა და მფლობელობის შესახებ საქართველოში მტკიცე კანონებიც არსებოდა და ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობაში მორწყვისა და წყლის საკითხს საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი. მორწყვას და მის ორგანიზაციის ყოველთვის სახელმწიფო მნიშვნელობა ენიჭებოდა და ამ საქმეს სათავეში მეფე ედგა. რუს მეთვალყურესაც — მერუეს თვითონ მეფე ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი ნიშნავდა. სიტყვა რუს სამეურნეო გამოყენების პირობებში წარმოიშვა ქართული სიტყვები მერუე და რუსხმელი. მორწყვასთან უშუალოდ დაკავშირებული ცნებებია აგრეთვე:

„უ რ წ ყ უ ლ ი“, რომელიც ბუნებრივად უწყლო ადგილს ეწოდებოდა და რომლის სარწყავად ქცევა შეუძლებელი იყო. ასე, მაგალითად, „ურწყულს“ უწოდებს ერთი ძველი წყარო შიო მღვიმის მონასტრის მიღამოებს. ბუნებრივი პირობების მიხედვით იგი დღესაც ასეთად ითვლება. „შიო მღვიდა... და-სავლით კერძო დედა ქალაქსა მცხეთასა და პოვაკევი ღრმად ფრიად ფიცხელი, უდაბნოდ და ურწყული და ნაკლულევანი ყოველთა საკმართაგან და ჰაერი ზაფხულისად ფიცხელ და ეგრეთვე ზამთრისად უფიცხლეს“ (იხ. ს. კაკაბაძე, ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, თბ. 1928, გვ. 26);

„წყალი“. ამა თუ იმ ადგილის, მიწის დახასიათებისას ნასყიდობის თუ შეწირულობის საბუთებში ყოველთვის აღნიშნული იყო, გააჩნდა თუ არა მას მოსარწყავი „წყალი“. ასე, მაგალითად, მამული არწევანი შეუწირავთ „მისითა მინდვრითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, მთითა“ და ა. შ. (1457 წ. სამთავისის სიგელი № 4, ისტორიული საბუთები, წ. II, გვ. 11. ს. კაკაბაძის გამოც.), „შემოგვიწირავს მისითა მამულითა, მთითა და ბარითა, წყალითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ტყითა, სანაღიროთა...“ (ს. კაკაბაძე, დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, გვ. 19).

„სარწყავი“ ეწოდებოდა ისეთ მიწას, რომელსაც მოსარწყავი წყალი ჰყალი ჰქონდა. „მმულითა, წყლითა, სარწყავითა, წისქუილითა, ველითა ვენაჯითა, ტყითა“ და ა. შ. (ისტ. საბ. II, გვ. 14).

„უ რ წ ყ ა ვ ი“. მიწის ფართობს, რომელსაც მოსარწყავი წყალი არა ჰქონდა, „ურწყავი“ ეწოდებოდა. „ურწყავსა“ და „ურწყულს“ შორის მნიშვნელობით ის განსხვავება იყო, — წერს ივ. ჭავახიშვილი, — რომ ურწყავი შესაძლებელი იყო აღმიანის ხელოვნებას სარწყავადაც ექცია, მაგრამ ურწყული სრულებით უწყლო ადგილს ეწოდებოდა, რომლის სარწყავად ქცევა ამის გამო ბუნებრივი გზით შეუძლებელი იყო“.

ისტორიულად ცხობილია, რომ სარწყავი წყლის გარშემო ძველად მოსახლეობაში მრავალ უსიამოვნებასა და გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. ყველა მემამულე თუ მებაღე ცდილობდა წყალი, როგორც სასიცოცხლო ფაქტორი, თავის მეურნეობისათვის გამუდმებით ჰქონდა და მაღალი მოსავალი მიეღო. სარწყავი წყლის ხარჯისა და განაწილების საქმის მოწესრიგებისათვის არსებობდა სახელმწიფო კანონი. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ვახტანგ მეექვსის „დასტურლამანი“, სადაც ვეცნობით იმდროინდელ წესს, რიგს, ვალდებულებების შესრულებასა და მცხოვრებთა ურთიერთობას: „ბატონის ბალის წყლის გარიგების წიგნი აქცის ფარეშ თავლიდარს ასლანს, ასე რომე იმას ჰქონდეს, და ყოველს პარასკევს დღეს წყალმა ციხის ამბრიისათვის უნდა იღინოს. და პარასკევს საღამოს, შაბათს, კვირას, დღე და ღამე ბატონების ბალში უნდა იღინოს. ორშაბათსა და სამშაბათს დღე და ღამე თფილელის და ქალაქის ბალებისათვის უნდა იღინოს. ოთხშაბათსა და ხუთშაბათს ციხისა და აპანოებისაკენ იღინოს... თუ, ვინიცის, წყალ-ცოტა-ბა იყოს, ბატონის ბალს წყალი არ უნდა დააკლდეს. ვინც ამ ბრძანებას გარდავა და უჯეროდ წყალს ადენს თორმეტი მინალთუნი ჯარიმა საბატონოდ გამოართუან, და ათისთავის ასლანი აიღებს. — ან-ჩისხატის დეკანზი, მხატვარი გრიგოლ და მისი მამ, იოსებ შემოგვეხვეწა, გარეთ-უბანს თავის პატარა ბალისათვის წყლის ბოძებას, და ამასაც წყალს მისცემდეთ. როდესაც გარეთ-უბანის ბალები მოირწყოდეს, ჩუჭნი მომხსენებელი და აზნაურიშვილი, ამისათვისაც პატივ-გვცია წყლის ბოძებით“.

ამრიგად, ფეოდალურ საქართველოში მშრომელი გლეხობის მდგომარეობა ყოველმხრივ უმწეო და უნუგეშო იყო... თუ ძლიერ გვალვების გამო სარწყავი წყალი თბილისისა და გარეუბნის ბალებისათვის არ იქნებოდა საკმარისი, ბატონის ბალებში წყალს მაინც უნდა ეღინა... „თუ, ვინიცის წყალ-ცოტაობა იყოს, ბატონის ბალს წყალი არ უნდა დააკლდესო“... და თუ ვინმე უჯეროდ წყალს თავის ბალს მიუგდებდა, მისთვის განსაზღვრული ჯარიმა იყო დაკანონებული.

არის ცნობები, რომ ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში, ახალი რუს გაყვანისათვის მუდმივი კადრების უზრუნველსაყოფად საქართველოში არსებობდა სპეციალური სასწავლებლები (თბილისში, მცხეთაში და სხვ.), რომლებიც ამზადებდნენ სარწყავი არხების მშენებლობისა და მოვლის საქმის მცოდნე კადრებს. ვინაიდან ხსენებული პირები ფრიად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს ასრულებდნენ, ისინი განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისაგან, მაგრამ ვალდებული იყვნენ თავისი ოჯახის წევრებიდან მოემზადებინათ ერთი ტექნიკოსი ირიგატორი მაინც, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ მის ადგილს დაიკავებდა...

ნ. ნეკრისტეს და ტყიბულის საქართველო

სამთო ინჟინერი ვებგვერდი ზანიშვილი

ქვანახშირის მრეწველობას საქართველოში 100 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ტყიბულის ქვანახშირის საბადო საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის უძველესი კერაა. ის 89 წლის განმავლობაში, დაწყებული 1847 წლიდან 1936 წლამდე, ქვანახშირის ერთადერთი საბადო იყო საქართველოში, რომელიც მრეწველობის სხვადასხვა დარღს ნახშირით ამარავებდა. საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დაიწყო ტყვარჩელისა და ახალციხის საბადოების ექსპლოატაცია.

ამ წერილში ჩვენ გვინდა მოკლედ შევეხოთ ტყიბულის საბადოს აღმოჩენა-განვითარების იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის სახელთან. ამ გამოჩენილი ადამიანის მოღვაწეობის ეს მხარე, მისი მონაწილეობა საქართველოში ქვანახშირის მრეწველობის შექმნა-განვითარების საქმეში, რომელსაც თვითონვე ერის საკუთრებად თვლიდა და ჩვენი ქვეყნის განვითარება-წინსვლისათვის დიდ მნიშვნელობას აძლევდა, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. 6. ნიკოლაძის მონაწილეობა ამ საქმეში მხოლოდ რამდენიმე სიტყვით აქვთ მოხსენებული მის მკვლევარებს, დეტალური ცნობა კი, რაც ნათელს მოჰყენდა 6. ნიკოლაძის მოღვაწეობის ამ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან ნაწილს, მოცემული არა აქვთ.

ტყიბულის ქვანახშირის საბადო 1830 წლიდან არის ცნობილი. ამ წელს სამთო ინჟინერმა გ. კრისანოვსკიმ «Горный журнал»-ში გამოაქვეყნა სტატია სათაურით «Каменный уголь в сел. Сапири». სტატიაში ავტორის მიერ მოცემული არ იყო საბადოს ზუსტი გეოგრაფიული მდებარეობა, მაგრამ სოფ. საწირის სიახლოვის გამო შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ავტორს მხედველობაში ჰქონდა ტყიბულის საბადო.

1845 წელს, ე. ი. 15 წლის შემდეგ, კავკასიაში მეფისნაცვლის ვორონცოვის დავალებით სამთო მოხელე კულიშინმა გამოიკვლია ქუთაისსა და ნაქერალას მთას შორის მდებარე ტერიტორია და ვრცელი მოხსენება წარუდგინა ვორონცოვს ტყიბულის ქვანახშირის საბადოს აღმოჩენის შესახებ. აღმოჩენილი ქვანახშირის ხარისხის გამორკვევის მიზნით ვორონცოვმა იმავე კულიშინს დაავალა მოეპოვებია 2 000 ფუთი ნახშირი და გაეგზავნა ყულევში, ერთ-ერთ სამხედრო გემზე გამოსაცდელად. თუ ნახშირი კარგი ხარისხის გამოდგებოდა, ვორონცოვი ფიქრობდა — უარი ეთქვა ინგლისიდან ნახშირის შე-

მოტანაზე და შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემები ტყიბულის ნახშირით მოემარავებინა.

ნახშირის გამოცდა ჩატარდა გემ „ბოეც“-ზე. ტყიბულის ნახშირმა კარგი შეფასება მიიღო.

ტყიბულში ნახშირის მოპოვების სამუშაოების გაუართოების მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი უგზოობა იყო. გადაზიდვის ხარჯები ერთ ფუთზე დაახლოებით 21—25 კაპიკს შეადგენდა.

1845 წელს მეფისნაცვალმა კავკასიაში ტიტულიარნი სოვეტნიკ თავად კოჩუბეის დავალა — შეედგინა საბადოს სისტემატური ექსპლოატაციის გეგმა და ადგილობრივ მემამულეებს ნახშირიანი ადგილების გაყიდვის საკითხზე შეთანხმებოდა. მემამულეებმა ხელისუფლებას მამულების გაყიდვაზე უარი უთხრეს და საბოლოოდ დათანხმდნენ მიწების მხოლოდ იჯარით გაცემაზე. ხელშეკრულება დადებულ იქნა 36 წლის ვადით.

კოჩუბეიმ იმავე წელს შეაკეთა საურმე გზები ყვირილამდე, მოიპოვა 11.000 ფუთი ნახშირი და გადაზიდა ყულევში.

1847 წლიდან საბადოს ექსპლოატაცია უფრო მეტად გაფართოვდა. ეს წელი ტყიბულის საბადოს ექსპლოატაციის დაწყების წელია. ამ დროს საბადოს დამუშავებას ხელმძღვანელობდა სამთო ინჟინერი ციალკოვსკი, ხოლო ნახშირის გადაზიდვის ორგანიზაცია დავალებული ჰქონდა ქუთაისის გუბერნატორს.

1849 წლიდან საბადოს დამუშავებას განაგრძობდა კავკასიის სამთო ნაწილი, რომელმაც 1850 წლიდან 1859 წლამდე საბადოს ექსპლოატაცია შეაჩერა, მომხმარებელთა სიმცირისა და უგზოობის გამო (უგზოობის გამო ინგლისიდან შემოზიდული ნახშირი შავი ზღვის ფლოტს უფრო იაფი უჯდებოდა, ვიდრე ტყიბულის ნახშირი).

6. ნიკოლაძის პირველი წერილი, მიძღვნილი ტყიბულის საბადოსა და მისი აღმოჩენისადმი, დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ 1871 წლის 3 ივლისის ნომერში (№ 26).

თავის წერილში 6. ნიკოლაძეს, რომლის სტატია 6. სკანდელის ხელის მოწერით დაიბეჭდა, მეტად საინტერესო მასალები მოჰყავს ტყიბულის ქვანახშირის აღმოჩენის შესახებ.

„....ამ ათი თუთხმეტი წლის წინათ ცხოვრობდა ქუთაისში ერთი თერძი — საყვარელიძე, ფრანგი *, გადმოსახლებული ახალციხიდან. საიდან ჰქონდა ამ

* ე. ი. — კათოლიკე.

კაცს შეძენილი მაღნეულის ცოდნა, არ ვიცი და ვერც გავიგე; ნამდვილი კი ის არის, რომ, ეს კაცი ნიადაგ დადიოდა მთებში, ერთი უბრალო ჩაქუჩით და აგროვებდა სხვადასხვა მაღნეულებს. იმ დროს ქუთაისში ეს კაცი ყველას სულელად მიაჩნდათ, თავის ხელობა (თერძობა) მიუტოვებია და მთამთა დაეთრევაო, ამბობდენ „სულელიაო“! მოპქონდა ამ კაცს სხვადასხვანაირი „ქვები“, ზოგი როგორც ახლა მითხრეს ოქროსავით ბრწყინავდა, ზოგი ვერცხლივით, გვიჩვენებდა ხოლმე და გვეუბნებოდა: „ეს ვერცხლია, ეს სპილენძი, ეს ტყვია ან კალაო“.

„ამ საყვარელიძემ მოძებნა ქუთაისის მაზრაში ალებასტრი, რომელიც ძლიერ კარგი გამოდგა და რომელიც კიდეც გამოიყენეს ქუთაისში სახლების შენების დროს. მაგრამ ალებასტრი გამოიყენა მამულის მეპატრონებ და მომძებნელს კი არა ერგო რა. შემდეგ იმავე საყვარელიძემ გამოძებნა ტყიბულის ქვის ნახშირი, ჩამოიტანა ეს ძვირფასი მაღნეული ქუთაისს და მიართვა მაშინდელ მმართველს ესპონს და მაღნეულის ინჟინერს კომაროვს (თუ არ ვცდები). ამ პირებმა იმას დიდი საჩუქარი და მაღლობის მოტანა აღუთქვეს და რასაკვირველია იმ წამსვე მთავრობას მოხსენება გაუგზავნეს, ამა და ამ ადგილას ქვის ნახშირი აღმოვაჩინეთო“.

„მთავრობამ, გაიგო თუ არა ტყიბულის ნახშირის აღმოჩენა, მაშინვე (1845 წ.) გამოგზავნა ინჟინერები და მიიღო თავის მფლობელობაში სანახშირე. რადგან ეს ადგილები, სადაც აღმოჩნდა ნახშირი, ეჭირათ თ. აგიაშვილების და აზნ. კანდელაკების ყმებს ქასრაშვილებს, გამოგზავნილმა პირებმა ჩამოართვეს იმათ ეს ადგილი და დაპირდენ, ფასი დანიშნეთ და ადგილის მაგიერ მთავრობა ფულს მოგცემსო“ *.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, 1845 წელს მეფის-ნაცვალმა კავკასიაში ვორონცოვმა სამთო მოხელე კულიშინს დაავალა გამოეკვლია ქუთაისსა და ნაქერალას მთას შორის მდებარე ტერიტორია. საკითხავია, რატომ სახელდობრ ამ ტერიტორიის გამოკვლევით დაინტერესდა მეფისნაცვალი და არა სხვა რაიონისა, თუ მას არ ჰქონდა რაიმე ცნობები, ან ის ცნობა, რომლის შესახებაც ნ. ნიკოლაძე წერდა. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული დავალება შედეგი იყო იმ ცნობისა, რომელიც მან ქუთაისიდან მიიღო ესპონს და მაღნეულის ინჟინრისაგან. ამ აზრს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ კულიშინმა სულრამდენიმე თვეში „მოასწრო“ საკმაოდ დიდი ტერიტორიის გამოკვლევა და საბადოს „აღმოჩენა“.

1867 — 1868 წწ. — გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე იმავე გაზეთის ფურცლებზე, — ტყიბულის საბადოთი დაინტერესებულა ფრანგი მინიე, რომელსაც განუზრახავს მისი ყიდვა. ამისათვის მას მოლაპარაკება ჰქონია მემამულებთან მიეყიდათ მისთვის აღნიშნული ადგილები 80.000 მანეთად. მემამულებს იმ დროს მყიდველის პირობების შესრულება ვერ მოუხერხებიათ, რის გამოც საბადოს ყიდვა-გაყიდვა

* „დროება“, № 50, 24/XII — 1871 წ.

ჩაშლილა. ქუთაისში მცხოვრებ ერთ ინჟინერს *, როგორც კი გაუგია მოლაპარაკების ჩაშლა, რუსეთიდან მოუწვევია კაპიტალისტი ნოვოსელსკი. ამ უკანასკნელს უკისრია. ყველა ხარჯების დაფარვა მამულების ყიდვა-გაყიდვის გასაფორმებლად და თავის მხრივ მოუთხოვია, რომ ნასყიდობის დამტკიცება დამთავრებული ყოფილიყო 1871 წლის 19 ივნისისათვის.

მაგრამ გლეხებმა, რომლებიც იმ ადგილებში ცხოვრობდნენ, საჩივარი აღძრეს სასამართლოში მემამულეების მიერ მამულების უკანონოდ გაყიდვის ცდის შესახებ. გლეხების ვექილად სასამართლოში გამოსულა ნ. ნიკოლაძე, რომელმაც საქმე გლეხების სასარგებლოდ წაიყვანა და ამით ჩაშალა ის წინასწარი პირობა, რომელიც მემამულეებს დადებული ჰქონდათ ნოვოსელსკისთან. მემამულეები ამის გამო გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილან. თანახმად პირობისა, ისინი ვალდებული იყვნენ დაებრუნებინათ წინასწარ მიღებული თანხა და, გარდა ამისა, გადაეხადათ ჯარიმა 40.000 მანეთის რაოდენობით.

ამ მდგომარეობაში მყოფ მემამულეებს ნ. ნიკოლაძემ წინადადება მისცა — მიეყიდათ მისთვის მათი უფლება ტყიბულის ნახშირიან მიწებზე. თავის მხრივ ნ. ნიკოლაძემ ვალდებულება იქისრა დაეკმაყოფილებინა როგორც გლეხები, ისე ნოვოსელსკი, თუ ეს უკანასკნელი მოითხოვდა ჯარიმის გადახდას. მემამულეები დათანხმდნენ ნ. ნიკოლაძის წინადადებაზე.

6. ნიკოლაძემ მოლაპარაკება დაიწყო ცალკეულ პირებთან ამხანაგობის შესადგენად. ამ ამხანაგობას უნდა ეყიდა საბადო და დაეწყოთ მისი დამუშავება. მაგრამ, როგორც თვითონვე გადმოგვცემს, ამხანაგობის შედგენა არ მოხერხდა.

დანიშნულ ვადაზე ნოვოსელსკიმ გამოგზავნა თავისი რწმუნებული, მაგრამ რადგან ნასყიდობის დამტკიცება აღარ შეიძლებოდა, მან საჩივარი აღძრა სასამართლოში მემამულეების მიერ ბეს დაბრუნებისა და ჯარიმის გადახდის შესახებ.

ქუთაისის საოლქო სასამართლომ, სადაც მემამულეების ვექილად ნ. ნიკოლაძე გამოვიდა, ხოლო ნოვოსელსკის მხრიდან — რეიტერი, გამოიტანა განაჩენი, რომლითაც მემამულეები ვალდებული იყვნენ გადაეხადათ ჯარიმა და დაებრუნებინათ ბე. როგორც გაზეთი „დროება“ გადმოგვცემს **, ნ. ნიკოლაძეს სასამართლოს მოხელეებისათვის შეურაცყოფაც კი მიუყენებია არასამართლიანი განაჩენის გამოტანის გამო. შეურაცყოფილმა მოხელეებმა მას უჩივლეს და მოითხოვდნენ ნ. ნიკოლაძის პასუხისმებაში მიცემას.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს განაჩენი 6. ნიკოლაძემ გაასაჩივრა და 1873 წლის 18 იანვარს საქმე განიხილა თბილისის სამოსამართლო პალა-

* 6. ნიკოლაძე იმ ინჟინრის გვარს არ აქვეყნებს. ვ. პ.

** „დროება“, № 3, 25/I — 1872 წ.

ტამ*. ამ უკანასკნელმა არასწორად ჩათვალა ქუთაისის საოლქო სასამართლოს განაჩენი, დაარღვია იგი, მემამულეებს მიუსაჯა მხოლოდ ბეს დაბრუნება, ხოლო ჯარიმის გადახდისაგან ისინი გაათვისუფლა, რადგან პირობის დარღვევაში ბრალი ნოვოსელსკისაც მიუძლოდა. ამავე დროს სასამართლომ დაადგინა, საქმე ნ. ნიკოლაძისა, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა ქუთაისის სასამართლოს მოხელეებს, გადაეცათ პროკურორისათვის მის პასუხისებაში მისაცემად.

დავა ნ. ნიკოლაძესა და ნოვოსელსკის შორის ტყიბულის საბადოს შესახებ ამით არ დამთავრებულა. 1874 წელს გაზეთი „დროება“ ** იტყობინებოდა, რომ დავა ნიკოლაძესა და ნოვოსელსკის შორის პარიზში გადაუწყვეტიათ და იქვე დასძენს, ნ. ნიკოლაძის მიერ შემდგარ კომპანიას გადაუწყვეტია 200.000 მანეთად შეიძინოს ის მამულები, რომლებიც ნოვოსელსკის ეკუთვნოდა ტყიბულში. ამრიგად, — განაგრძობდა გაზეთი, — მთელი მაღაროს პატრონად ერთი კომპანია გახდებაო და კმაყოფილებას გამოთქვამდა დავის დამთავრების გამო, რომელიც დიდად უშლიდა ხელს საბადოს ექსპლოატაციის განვითარებას.

1879 წელს ნ. ნიკოლაძემ, როგორც საბადოს ერთ-ერთმა მონაწილემ, მონაწილეობა მიიღო ტექნიკურ თათბირში, სადაც ტყიბულისა და გელათის საბადოს მარაგის, ქვანახშირის ხარისხის და მოხმარების შესახებ მოხსენება გააკეთა ინჟინერმა ფონ-კომპულმა***. თათბირზე სიტყვით გამოვიდა ნ. ნიკოლაძე, რომელმაც შენიშვნები შეიტანა მოხსენებლის ცნობებში ქვანახშირის მარაგის შესახებ. ეს თათბირი განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ აქ პირველად ითქვა და ხაზგასმით აღინიშნა, რომ კერძო მრეწველობის მიერ საბადოს ექსპლოატაცია განხორციელებული იყო მტაცებლური მეთოდებით, რის გამოც ქვანახშირის დიდი რაოდენობა სამუდამოდ იკარგებოდა, რაც დაუყოვნებლივ უნდა აეკრძალათ.

ტყიბულის ქვანახშირის საბადოსთან დაკავშირებით აღსანიშნავია ნ. ნიკოლაძის მონაწილეობა ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის გაყვანის საქმეში.

საბადოს აღმოჩენის პირველ დღიდანვე ყველა-სათვის ნათელი გახდა, რომ აუცილებელია, რაც შეიძლება დაეჩეარებინათ ნახშირის ტრანსპორტის საკითხის მოგვარება. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1847 წელს ინჟინერ-კაპიტანმა კახოვმა შეადგინა ქუთაის-ტყიბულის ცხენის რკინიგზის გაყვანის პროექ-

* „დროება“, № 3, 21/V — 1873 წ.

** „დროება“, № 444, 11/X — 1874 წ.

*** «ქავკავ», № 54, 9/XII — 1879 წ.

ტის მიახლოებითი ანგარიში, რაც არ განხორციელებულა. ნახშირის გაზიდვა მაშინდელ მთავარ მომხმარებლამდე — ყულევში წარმოებდა საპალნეებითა და ურმებით. ამის გამო გადაზიდვის ხარჯები ძალიან დიდი იყო.

„ჩვენში, სადაც ტყიბულია, ინგლისიდან მოაქვთ ნახშირი! აფსუს, მე და ჩემმა ღმერთმა, როგორ არა ვთქვათ, რომ ბუნებას ჩვენთვის სიმდიდრე მოუცია და ჩვენ მოხმარების შნო არ გვაქვს“ *, — წერდა „დროება“.

იგივე გაზეთი 1875 წელს წერდა, რომ გზათა სამინისტროს, როგორც გაზეთი „მოსკოვის უწყებები“ იუწყება, საჭიროდ დაუნახავს ქუთაისსა და ტყიბულს შორის რკინიგზის გაყვანაო**. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ 1872 წელს დამთავრებულ თბილის—ფოთის ხაზზე ხშირად ინგლისიდან მოტანილ ნახშირს ხმარობდნენ. მიუხედავად ამისა ქუთაისსა და ტყიბულს შორის რკინიგზის გაყვანის საქმე ძალიან ნელა მიღიოდა წინ. ქუთაისის საზოგადოებამ აღნიშნული რკინიგზის გაყვანის შესახებ რამდენჯერმე აღძრა საკითხი. საზოგადოების წარმომადგენლად მთავრობასთან არჩეული იყო ნ. ნიკოლაძე***.

1882 წელს ნ. ნიკოლაძემ რუსეთიდან აცნობა ქუთაისის ქალაქის თავს, რომ გზათა სამინისტროს მიერ მთავრობასთან წარდგენილ დასამტკიცებულ პროექტებში არ იყო ქუთაის — ტყიბულის რკინიგზის პროექტი და ამავე დროს თხოვდა მას (ქალაქის თავს) — დაევალებინათ ვინმესათვის მთავრობასთან შუამდგომლობა ამ საკითხზე, წინააღმდეგ შემთხვევაში გზის გაყვანის საქმე კიდევ დიდი ხნით გადაიდებათ. გაზეთი იქვე იუწყებოდა, რომ ამ საქმის მოგვარება მთავრობასთან ისევ ნ. ნიკოლაძეს დაავალესო. იმავე წლის ნოემბერში მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა ქუთაის — ტყიბულის რკინიგზის გაყვანის პროექტი****.

1883 წელს ქუთაის — ტყიბულის ხაზის მშენებლობა დაიწყო. ხაზის მშენებლობა დამთავრდა 1886 წელს. ამრიგად, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდა ტყიბულის ქვანახშირის საბადოს განვითარებას, ნ. ნიკოლაძის უშუალო და აქტიური მონაწილეობით დაძლეულ იქნა.

გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ნ. ნიკოლაძე შემდეგ პერიოდშიც ღებულობდა მონაწილეობას ტყიბულის საბადოს საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტაში.

* „დროება“, № 147, 22/VII — 1878 წ.

** „დროება“, № 23, 21/II — 1875 წ.

*** „შრომა“, № 2, 13/I — 1882 წ.

**** „შრომა“, № 43, 3/XI — 1882 წ.

საქართველოს ნორჩი ფუნდისთა შემოქმედება

საქართველო
გამოფენის
მიზანი

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ნათქვამია: „იმ მიზნით, რომ შემდგომ ამაღლდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სოციალისტური აღმზრდელობითი მნიშვნელობა და მოსწავლეებისათვის, რომლებიც საშუალო სკოლას ამთავრებენ, უზრუნველყოფილიქნას პროფესიების თავისუფალი არჩევის პირობები, დაიწყოს პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება საშუალო სკოლაში და მიღებულ იქნას ლონისძიებანი, რაც საჭიროა საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასასვლელად“.

პოლიტექნიკური სწავლება, პირველ ყოვლისა, ხორციელდება მეცნიერებათა, განსაკუთრებით ისეთი მეცნიერული დისციპლინების სწავლების პროცესში, როგორიცაა ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, ხაზვა, ბიოლოგია და გეოგრაფია. სხვადასხვა ხელსაწყოებითა და ინსტრუმენტებით სარგებლობის ცოდნასა და ჩვევებს მოსწავლები იძენენ გაკვეთილებზე და კლასგარეშე მუშაობის დროს სასკოლო წრეებში და ნორჩი ტექნიკოსთა სადგურებში.

საქართველოს განათლების სამინისტროს ნორჩი ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური მოსწავლეთა პოლიტექნიკური სწავლების რესპუბლიკურ ცენტრს წარმოადგენს საქართველოში. სადგურის განკარგულებაშია კარგად აღკაზმული ლაბორატორიები — ელექტროტექნიკური, რადიოტექნიკური, ქიმიური, ავიასამოდელო, საზღვაო-სამოდელო, ფოტო-კინო და სატრანსპორტო, აგრეთვე დამხმარე სახელოსნოები — ხისა და ლითონის დარგში, წიგნებისა და ხელსაწყო-იარაღების მდიდარი ბიბლიოთეკა. აქ მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღებით სარგებლობის ჩვევები, პრაქტიკულად გამოიყენონ შემოქმედებითი ინიციატივა და გააღრმავონ თავიანთი ცოდნა.

უკანასკნელი წლების გამოცდილება თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა მუშაობა სკოლის ტექნიკურ წრეებში, პიონერთა სახლებში და ნორჩი ტექნიკოსთა სადგურებში ხელს უწყობს იმ საგნების — ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ხაზვისა და სხვა სასწავლო საგნების უკეთ შეთვისებას, რასაც მოსწავლეები გაკვეთილებზე გადიან.

სკოლაში და სკოლის გარეშე დაწესებულებებში ტექნიკის დარგში მუშაობის გამოცდილების სათანადოდ დაფასებას ხელს უწყობს რესპუბლიკური კონკურსი „ნორჩი ტექნიკოსთა დახმარება სკოლას“, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ.

მოსწავლეთა ინტერესი ტექნიკისადმი ყოველ წლის იზრდება. პირველ რესპუბლიკურ კონკურსში „ნორჩი ტექნიკოსთა დახმარება სკოლას“ 1950


წელს მონაწილეობას იღებდა 7 500 მოსწავლური 247 სკოლიდან, რომლებმაც 610 ექსპონატი წარმოადგინეს. მეხუთე რესპუბლიკურ გამოფენაზე, რომელიც მიმდინარე წლის საზაფხულო არდადეგების დროს შედგა, მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 540 სკოლის 12 000 მოსწავლემ, რომლებმაც დაამზადეს და 1 450 საუკეთესო ექსპონატი წარმოადგინეს შემაჯამებელ გამოფენაზე.

ახალი სასწავლო წლის შესახვედრად

საქართველოს მოსწავლეთა მეხუთე რესპუბლიკური კონკურსის შემაჯამებელმა გამოფენამ თემაზე „ნორჩი ტექნიკოსთა დახმარება სკოლას“ შესაძლებელი გახადა განეზოგადებინათ და სათანადოდაეფასებინათ სკოლაში და სკოლის გარეშე დაწესებულებებში პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების გამოცდილება. ასობით თვალსაჩინო ხელსაწყო და მოწყობილობა, რომლებიც წარმოდგენილი იყო გამოფენაზე, საკმაოდ კარგი ხელსაწყოები იქნება გაკვეთილებზე ახალ სასწავლო წელს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გამოფენის ექსპონატები ფიზიკისა და რადიოს დარგში.

თანამედროვე ტექნიკის მიღწევები და განვითარება უმთავრესად ფიზიკური მეცნიერების წარმატებებს ემყარება. ფიზიკის კანონები ფართოდაა გამოყენებული ენერგეტიკისა, ლითონდამუშავებაში, მანქანათმშენებლობაში, ტრანსპორტზე და თანამედროვე მრეწველობის სხვა დარგებში. გამოფენამ ნათელყო, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა დიდ ინტერესს სწორედ ფიზიკისადმი იჩენს.

გამოფენის ერთ-ერთი საუკეთესო ექსპონატი იყო — „სხეულთა გარსმედინობა“, — დამზადებული ტექნიკის სამუშაოს სახელისადმი იჩენს.



თბილისის ნორჩი ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის საზღვაო მოდელიზმის ლაბორატორიაში

ლი ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში. ეს ხელსაწყო თვალსაჩინოდ უჩვენებს სხვადასხვა სხეულთა გარსმედინობას პაერში და განსაზღვრავს შუბლა-წინაღობას, ამწევ ძალას, შეტევის კუთხეს და სხვა მოვლენებს აეროდინამიკის კანონების შესწავლის დროს.

არა ნაკლებ ინტერესს წარმოადგენს გენერატორი და ულტრამოკლე ტალღიანი მიმღებ-გადამცემი რეზონანსის მოვლენების დემონსტრაციისათვის.


ეს ხელსაწყო წარმატებით იქნება გამოყენებული გაკვეთილებზე XI კლასებში რადიოტექნიკის განყოფილების გავლის დროს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ულტრა-მოკლე ტალღების გენერატორი, რომელიც აგრეთვე ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ნორჩი რადიომოყვარულების მიერაა დამზადებული. ეს გენერატორი გამოიმუშავებს მაღალი სიხშირის რხევებს — წამში დაახლოებით 150 მილიონამდე. კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს როგორც შინაარსით, ისე გარეგანი გაფორმებით, აგრეთვე მიმღებ-გადამცემი და ორარხიანი გამაძლიერებელი.

ბევრი თვალსაჩინო ხელსაწყო და მოწყობილობა გადავა გამოფენიდან კლასებში ახალ სასწავლო წელს ქიმიის დარგში, მაგალითად, ქლორის მისაღები ხელსაწყო. ამ ხელსაწყოს მეშვეობით ქიმიის გაკვეთილზე შეიძლება თვალსაჩინოდ იქნეს ნაჩვენები, რომ ნივთიერებანი იწვიან არა მარტო უანგბადში, არამედ გარკვეულ პირობებში — ქლორშიც.

გამოფენაზე კარგ ნაკეთობას წარმოადგენდა ხელსაწყო წყლის სინთეზისათვის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს „წყლის თვისებების“ თემის შესწავლის დროს.

გამოფენის თითქმის ყველა ხელსაწყო ფიზიკასა და ქიმიაში წარმატებით იქნება გამოყენებული გაკვეთილებზე ახალ სასწავლო წელს.



ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის
რადიოლაბორატორიაში

საკავშირო გამოფენაზე


მიმდინარე წლის დეკემბერში მოსკოვში გაიხსნება ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების საკავშირო გამოფენა. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური სხვა ექსპონატებთან ერთად ფიზიკის დარგში გამოფენაზე წარადგენს ხელსაწყოს სხეულთა გარსმედინობის დემონსტრაციისათვის და ორარხიან რადიო გამაძლიერებელს.

ქიმიაში წარდგენილი იქნება ალუმინის შაბისა და სპილენძის შაბიამნის გამოყვანილი კრისტალები და კომკავშირული ნიშანი, დამზადებული ფერადი კრისტალებისაგან, აგრეთვე აირის მისაღები აპარატი, დამზადებული თბილისის ქალთა 23-ე სკოლის მოსწავლეების მიერ.


ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების საკავშირო გამოფენაზე ბევრი საინტერესო ექსპონატი იქნება წარდგენილი საქართველოს უშორესი რაიონებიდან. მაგალითად, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის საშუალო სკოლა გამოფენაზე გზავნის თბოელექტროცენტრალის მოქმედ მოდელს, სტალინირის მე-2 სკოლა — ექსკავატორის მოქმედ მოდელს, სუხუმის ნორჩი ტექნიკოსები — რადიოთი სამართავი გემის მოქმედ მოდელს და ელექტრობეჭვა ხერხს და სხვ.

სულ საქართველოდან საკავშირო გამოფენაზე გაიგზავნება 70-მდე ექსპონატი.

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის წრის წევრთა 6 ექსპონატს წილად ხვდა მონაწილეობა მიეღო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ნორჩ ნატურალისტთა პავილიონში. აქ წარმოდგენილია 25-ვატიანი სასკოლო რადიოკვანძი, რომელიც დამზადებულია თბილისის ქალთა 25-ე სკოლის კურსდამთავრებულთა — ლ. ხითარიშვილის,



ავიამოდელიზმის ლაბორატორიაში



ქიმიის ლაბორატორიაში

მ. ყოჩიშვილისა და ლ. კოლესნიკოვას მიერ. გამოფენაზე წარდგენილია აგრეთვე ხე-ტყისა და მარცვლეულობის ტენიანობის განსასაზღვრავი ხელსაწყო, დამზადებული თბილისის ვაჟთა მე-12 სკოლის კურს-დამთავრებული ა. ჩოდრიშვილის მიერ.


პორტატული, პაპიროსის კოლოფზე ნაკლები ზომის რადიომიმღები ორგანულ მინისაგან დაამზადა თბილისის ვაჟთა მე-8 სკოლის X კლასის მოსწავლემ იური უკლებამ.

აქვე გამოფენაზე წარმოდგენილია მარცვლეულობის შესაწამლავი მოქმედი აპარატი, დამზადებული ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ქიმიის და ელექტროტექნიკური წრეების წევრთა მიერ, აგრეთვე ყურძნის მტევნების მოსაჭრელი მაკრატელი, დამზადებული ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში. იგი მით არის საინტერესო, რომ მაკრატელი მტევანსაც ჭრის და ამავე დროს აკავებს მას.

საქართველოს ნორჩ ტექნიკოსთა მონაწილეობა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე და ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების საკავშირო გამოფენაზე სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებათა მიერ პოლიტექნიკური სწავლების დარგში მოპოვებული გამარჯვებების ბრწყინვალე დემონსტრაციაა.

ნ. ბ-ლი

შერეული სათბობით მომუშავე თბომავალი



მეცნიერებისა და გამომგონებლების წინაშე იდგა მნიშვნელოვანი ამოცანა — შექმნათ თბომავალი, რომელიც იმუშავებდა იაფი მყარი სათბობით. რკინიგზის ტრანსპორტის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შექმნილია კონსტრუქცია შერეული სათბობით მომუშავე გაზგენერატორული თბომავლისა. ამ სათბობის მეტ ნაწილს ნახშირი შეადგენს.

გადაკეთებულია ათი საცდელი თბომავალი TЭ-1 და მათვების აგებულია გაზგენერატორული ტენდერები. ეს სამუშაო

დავალებული ჰქონდა ულან-უდეს ორთქლმავალვაგონების ქარხანას.

გადაკეთებული მანქანების გამოცდამ ნათელყო, რომ ისინი გაცილებით ნაკლებ თხევად სათბობს ხარჯავენ, ვიდრე პროექტით იყო გათვალისწინებული.

ნახატზე — შერეული სათბობით მუშაობისათვის გადაკეთებული თბომავალი TЭ-1 ტიპისა.

(-გუდოვა-)

თავისუფალ დორს

შხამიანი ხე

პანამის არხის ნაპირებზე მრავლად იზრდება ხეები, რომლებიც ბოტანიკაში ცნობილია სახელწოდებით „გიპომანე მან-ცინელა“. ეს ხეები იზრდება აგრეთვე მექსიკაში, ვენესუელაში, პუერტო-რიკოში და ფლორიდაში.

ამ ხეების ნაყოფი, აგრეთვე ფოთლეულის, ლეროების, ტანის წვენი ძლიერ შხამიანია. საშიშია ამ ხესთან მიახლოებაც კი, თუ კაცს არ აცვია დამტავი ტანისაცმელი — რეზინის წამოსასხამი, ნილაბი, ხელთათმანები. წვიმის წყლის წვეთებს, მანცინელას ტოტებიდან წამოწვეთებულს, შეუძლია გამოიწვიოს ბუშტულები, სიმსივნე, რომელიც დიღხანს არ გადის, დროებითი დამბლა სხეულისა, რომელსაც წვეთები დაეცა.

მახლობლად იზრდება მაღალი ლამაზი ხეები, გლუვი ქერქითა და ჩვენი შინაური ფიჯუსის მსგავსი ფოთლებით. მცენარის ნაყოფი პატარა და საჭმელად უვარესი. ხე ძვირფასია თავისი რძე-წვენით, რომელიც გამოდის ქერქის გაჭრის დროს. ამიტომ მცენარეს რძის ხეს უწოდებენ.

საათის განმავლობაში ერთი განაჭერიდან შეიძლება მოპოვებულ იქნეს ერთ ლიტრამდე წვენი, რომელსაც მოსახლეობა რძის ნაცვლად ხმარობს. ვინაიდან ეს წვენი დიღხანს არ ინახება — იგი სქელდება და მძალდება, — ხეს საჭიროების მიხედვით „წველავენ“ წლის ყოველ დროში. წვენის აორთქლების დროს მისგან გამოიყოფა ცვილისმაგვარი ნივთიერება, რომელიც სანთლების დასამზადებლად იხმარება.

რძის ხის მერქანი კარგ საშენ მასალას წარმოადგენს.


პეტლს არა ერთხელ ამოუფრქვევია. XVIII საუკუნეში ამოფრქვევანი უკვე საკმაოდ იშვიათი და გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე მექსიკის დაპყრობის რეზინული რდში, XVI საუკუნის დასაწყისში, როცა იგი ცნობილი გახდა ევროპელებისათვის. გასული საუკუნის დამდეგიდან ვულკანი უმოქმედოა. მხოლოდ დროდადრო პოპა-კატეპეტლის კრატერზე გამოჩნდება კვამლის ოდნავ შესამჩნევი ჭავლი.

ოკაპი

ცენტრალურ აფრიკაში, კონგოსა და უგანდის ყველაზე ულრან და ნაკლებ მისაწვდომ ტყეებში ცხოვრობს მეტად იშვიათი მცონენავი ძუძუმწოვარი ცხოველი — ოკაპი.

ოკაპის პირველი აღწერა გამოქვეყნდა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში და შედგენილი იყო ცხოველის თავის ქალისა, ძვლებისა და ტყავის მიხედვით. ცოცხალი ოკაპის დაჭრა დიდი ხნის განმავლობაში არ მოხერხდა.

ცხოველის სიმაღლე მეტრაზევრამდე აღწევს. ოკაპის წინა ფეხები უკანა ფე-



აცტეკების მბოლავი მთა

მექსიკის მთიანეთის სამხრეთი კიდის გასწვრივ (ამ მთიანეთს მექსიკის ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია) აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, დაახლოებით ჩრდილოეთ განედის 19-ე პარალელზე, გადის ქვეყნის უმაღლესი ქედი — განივი ვულკანური სიერა.

აქ, სახელმწიფოს დედაქალაქის მეხიკოს მახლობლად, აღმართულია სიმაღლით მეორე ვულკანი ქვეყნისა — დიდი პოპკატეპეტლი. ქალაქის ყველაზე მაღალი აღგილიდან — ჩაპულტეპეკის გორაკიდან — კარგად ჩანს უნაგირათი გაყოფილი ორწვერიანი მწვერვალი. პოპკატეპეტლის კონუსი აღმართულია 5452 მეტრზე, მეორე პიკი — ქათქათა ისტაკსისუატლი ცოტათი დაბალია — 5386 მეტრი.

4 300 მეტრზე მაღლა პოპკატეპეტლი მარადი თოვლითაა დაფარული. კრატერის გაყინული წრეხაზის დიამეტრი დაახლოებით 800 მეტრია. პოპკატეპეტლისა და ისტაკსისუატლის ლავურ ფერღობებზე მყინვარები ეშვება.

სახელწოდება პოპკატეპეტლი, რაც მბოლავ მთას ნიშნავს, ვულკანს შეარქვეს აცტეკებმა. მთის მბოლავი წვერო საიმედო ბარომეტრს წარმოადგენდა ინდიელებისათვის, რომლებიც მთის ძირას ცხოვრობდნენ. თუ კრატერიდან ამომავალი კვამლი ჩრდილოეთისაკენ იხრებოდა, მოელოდნენ წვიმას; როცა კვამლი სამხრეთისაკენ იხრებოდა — მოელოდნენ აცივებას. კვამლის ვერტიკალური მოძრაობა ძლიერ ქარს მოასწავებდა. ქარიშხლის წინ კრატერიდან ამოდიოდა ფერფლისა და პემზის მაღალი შადრევნები.

XV—XVII საუკუნეებში პოპკატე-

ხებზე ცოტა უფრო გრძელია. ცხოველის თავი — წაგრძელებულია, ყურები ცხოველს დიდი აქვს.

მამალი ოკაპების თხელი და მბზინვარე ბალანი მუქი უღალი ფერისაა, დედალი და ახალგაზრდა ცხოველები — თიაქმის შავია. ფეხებზე ცხოველს შავილი თეთრი ზოლები გადაკრავს.

ოკაპი უმთავრესად იკვებება ჭაობის მცენარეებით. საჭმელის ძებნაში ცხოველი ჩვეულებრივ დიდ მანძილს გადის.

(„ვარუგ სვეტა“)

„კობუქსიონი“

კორეა აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოა, რომლის შესახებაც პიოველი (ლეგენდარული ხასიათის) ცნობები ეხება მეორე ათასწლეულს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

XVII საუკუნემდე კორეა აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ და განვითარებულ ქვეყანას წარმოადგენდა. 1443 წელს კორეაში შემოღებულ იქნათ ფრეტიკური აღფაბეტი (24 ასოსაგან) —

რძის ხე

კოსტა-რიკაში, ეკუადორში, ვენესუელის ჩრდილო სანაპიროსა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში შენობების


პირველი და ერთადერთი მთელს იღმო-
სავლეთ აზიის ქვეყნებში.

ამაზე კიდევ უფრო ადრე — 1403
წელს კორეაში გამოგონებულ იქნა წიგნ-
საბეჭდავი შრიფტი (ასაწყობი), რომელ-
მაც ნახევარი საუკუნით დასწრო დასავ-
ლეთ ევროპაში წიგნსაბეჭდავი ასაწყობი
შრიფტის გამოგონებას.

ამ პერიოდში კორეაში გამოცემულ
იქნა მთელი რიგი თვალსაჩინო მეცნი-
ერული შრომები, რომელთა შორის აღ-
სანიშნავია კორეის ისტორიისა და გეო-
გრაფიის ენციკლოპედია 55 ტომად, რო-
მელიც დაბეჭდა 1537 წელს სახელწო-
დებით „იოოჩი-სიონ-ნამ“.

ამ შრომის პირველ სამ ტომში აღწე-
რილია კორეის დედაქალაქი ს ე უ ლ ი,
მეოთხე და მეხუთე ტომში მოთავსებუ-
ლია კორეის ძველი დედაქალაქის —
სონდოს (კესიონის) აღწერა, ხოლო
დანარჩენი 50 ტომი წარმოადგენს რვა
პროვინციად დაყოფილ მთელი კორეის
ისტორიულ-გეოგრაფიულ გამოკვლევას.

ამავე საუკუნეებში დიდ განვითარე-
ბას მიწათმოქმედებამ, მეაბრე-
შუმეობამ, ხომალდმშენებლობამ და მრა-
ვალმა სხვა ხელოსნობამ, აგრეთვე არქი-
ტექტურამ, ფერწერის ხელოვნებამ და გა-
მოყენებითმა ხელოვნებამ.



აღმირალ ლი-სუნ-სინის ჯავშნიანი
ხომალდი

კორეის ეს ბრწყინვალე კულტურუ-
ლი წინსვლა უცებ შეფერხდა XVI საუ-
კუნის მიწურულში: კორეაში შეიქრა
იაპონელ დამპყრობთა მრავალრიცხვანი
ჯარი.

იაპონელი დამპყრობნი შორის გამიზ-
ნულ გეგმებს ისახავდნენ.

„მომცენ მე კორეა, — ამბობდა იაპო-
ნის ფეოდალური სახელმწიფოს მაშინ-
დელი მმართველი გენერალი ხიდეიოსი, —
მე იქ შევკრებ ძალებს ჩინეთთან საბრ-
ძოველად და ამ ძალების დახმარებით
დავიპყრობ მთელ ჩინეთს, რათა ეს სამი
ქვეყანა (ჩინეთი, კორეა და იაპონია) გა-
დაიქცეს ერთ მთლიან სახელმწიფოდ. ეს
არის ჩემი დიდიხნის სურვილი“.

იაპონელ აგრესორთა ამ მიზნის მი-
საღწევად. 1592 წელს ასორმოცდაათი
ათასი კაცისაგან შემდგარი კარგად შეია-
რალებული იაპონელთა არმია შეიჭრა კო-
რეაში, დაიპყრო მისი ტერიტორიის სამი

მეოთხედი და აიღო მისი დედაქალაქი

საუკუნის დამლევისა. XI—XIV საუკუნე-
ებში გუანდუნის, ძიანსუს, ფუძიანის, შან-

დუნის ნავსადგურებიდან განუწყვეტლივ
იგზავნებოდა ხომალდები კორეაში, იაპო-

ნიაში, იანდოჩინებში, მალაიის არქიპელა-
გის კუნძულებზე, ცეილონზე და სხვ.

XV საუკუნის დასაწყისში, 1405—1431
წლებში, გამოჩენილი ჩინელი ზღვაოსნის

ჩინ ხეს მეთაურობით მოეწყო შვიდი ექს-
პედიცია, რომლებმაც საზღვაო გზები გა-
კვალეს აფრიკამდე და წითელ ზღვამ-
დე, — ეს იყო ბევრად ადრე, ვიდრე ევ-
როპაში „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენე-
ბის ეპოქა“ დაიწყებოდა.

კორეის აღმირალმა ლი-ს უ ნ-ს ი ნ მ ა
რამდენიმე ბრწყინვალე ბრძოლებში სას-
ტიკად დაამარცხა იაპონიის მრავალრიც-
ხვანი ფლოტი, საკუპაციო ჯარები მო-
წყვიტა თავის ბაზებს იაპონიაში და იაპო-
ნიის ჯარები იძულებული გახდნენ დაე-
ტოვებინათ კორეა.

კორეაში შემორჩენილი მრავალრიც-
ხვანი ლეგენდებიდან ერთ-ერთი მო-
გვითხრობს, რომ ლეგენდარულმა ფლო-
ტის სარდალმა პირველმა აღმოსავლეთ
აზიაში ააგო ხომალდები, რომელთა ერ-
დოები გადაფარული იყო ჯავშნით და
წაგავდა უზარმაზარ კუს ჯავშანს (აქე-
დან წარმოიშვა სახელწოდება „ქობუქ-
სიონი“ — ხომალდი-კუ). ლი სუნ სინმა,
რომელიც კარგად იცნობდა ქვეყანას და
მის გარემომცველ ზღვებს, იაპონიის ეს-
კადრა შეიტყუა მენის სრუტეში ულდო-
რის „სიკვდილის კლდესთან“. მისმა 12
„ხომალდმა-კუმ“ ჩაძირა 50-ზე მეტი
ს. მხედრო ხომალდი ოთხი ათასი დამ-
კურობით.

თვით ლი სუნ-სინი დაიღუპა რო-
გორც გმირი, როცა თავისი სამშობლოს
თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას
რჩავდა.

იცით თუ არა თქვენ, რომ...

* ჩინეთის საზღვაო ექსპედიციებმა
XV საუკუნეში ჩინეთის ზღვაოსნობის
ათასწლოვანი სახელოვანი პერიოდი დაამ-
ოვრეს... ჩვენი წელთაღრიცხვის უკვე V
საუკუნეში ჩინელმა ფან-სიანმა ხმელეთის
გზით მიაღწია ინდოეთს და საზღვაო გზით
დაბრუნდა უკან. VII—VIII საუკუნეებ-
ში კანტონში უკვე არსებობდა არაბებისა
და ირანელების დიდი სავაჭრო კოლონია
„და-ჩეი“. VIII საუკუნეში ქვეყნდება
ცზია-დანის მიერ მოცემული შესანიშნავი
აღწერა საზღვაო გზისა ჩინეთიდან ინდო-
ეთში. აღწერაში მოცემული იყო დაწვრი-
ლებითი ცნობები სამხრეთ-აღმოსავლეთ
აზიის ყველა ზღვისა და კუნძულის შესა-
ხებ. X საუკუნის მეორე ნახევარში ყო-
ველ ჩინურ ხომალდზე უკვე იხმარებოდა
„სამხრეთის საჩენებელი ნემსი“ — კომ-
პასი — ხელსაწყო, რომლითაც ევროპაში
დაიწყეს სარგებლობა არა უადრეს XII
ნეო სამუშაოებს.

* ბევრად ადრე, ვიდრე კოლუმბი ამე-
რიკას აღმოჩენდა, ბევრად ადრე, ვიდრე
ესპანელები მექსიკას დაიპყრობდნენ,
მექსიკაში არსებობდა აღგილობრივ
მკვიდრთა მაღალი კულტურა, რის უკელ-
ზე მნიშვნელოვან და ბრწყინვალე დადას-
ტურებას წარმოადგენს ძეგლები, რომლე-
ბიც აცტეკებმა და მაიებმა დატოვეს. აც-
ტეკები და მაიები ულიდეს ყურადღებას
უთმობდნენ ციური მოვლენების შესწავ-
ლას არა მარტო იმიტომ, რომ ეს მოვლე-
ნები დაკავშირებული იყო მითებთან და
რელიგიურ რწმენასთან, არამედ იმიტო-
მაც, რომ ისინი ზომავდნენ დროს, ადგენ-
დნენ კალენდარს და ამის შესაბამისად
წარმართავდნენ ყოველდღიურ საქმიანო-
ბას, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურ-
ნეო სამუშაოებს.

ქასული მითი ტელეგრაფი და ტელეტელეგრაფი

ცოც. კვალითი (ზესთავონის რ-ნი). მოსწავლე
გ. ჯიძიძეს

თქვენ გაინტერესებთ: რა ძალის გავლენით ბრუნავს დედამიწა თავის ლერძის გარშემო და მოიქცევა მზის გარშემო?

დედამიწის მზის გარშემო მოძრაობა ინერციისა და მიზიდულობის ძალების ერთდროული მოქმედების შედეგია.

ინერციის კანონის თანახმად, ყოველი მატერიალური სხეული და, მაშასადამე, დედამიწაც, თუ მასზე არ მოქმედებს მეორე სხეული, მოძრაობს თანაბრად და სწორხაზობრივად. ამიტომაც, მზე რომ არ ყოფილიყო, დედამიწა სივრცეში სწორხაზობრივად იმოძრავებდა. ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონის თანახმად კი მზე და დედამიწა ერთიმეორებზე მოქმედებენ ძალით, რომელიც მათი მასის პირდაპირ პროპორციულია და მათ შორის მანძილის კვადრატის უკუპროპორციულია; ამავე დროს აჩქარება, რომელსაც მზე ანიჭებს დედამიწას, იმდენჯერ ალემატება აჩქარებას, რომელსაც დედამიწა ანიჭებს მზეს, რამდენჯერაც მზის მასა ალემატება დედამიწის მასას (მზის მასა 332 000-ჯერ მეტია დედამიწის მასაზე). მაშასადამე, ინერციის ძალა რომ არ ყოფილიყო, მზის მიზიდულობის ძალის გავლენით დედამიწა დაეცემოდა მზეზე. აღვილია იმის წარმოდგენა, რომ ორივე ძალის ერთდროული მოქმედება მოგვცემს დედამიწის მოძრაობას მზის გარშემო.

რაც შეეხება დედამიწის ბრუნვას თავისი ლერძის გარშემო, იგი დაკავშირებულია დედამიწის წარმოშობის საწყის პირობებთან და აღვილად აიხსნება სათანადო კოსმოგონიური თეორიებით.

თუ ზემოხსენებული საკითხები უფრო დეტალურად გაინტერესებთ, შეგიძლიათ მიმართოთ ე. ხარაძის წერილს „როგორ წარმოიშვა დედამიწა და სხვა ცთომილები“, რომელიც მოთავსებულია „მეცნიერება და ტექნიკის“ 1952 წლის № 12-ში.

ბათუმი. მოსწავლე გ. კუტუგიძეს

თქვენ წაგიკითხავთ „მეცნიერება და ტექნიკას“ მიმდინარე წლის № 2-ში მოთავსებული მითითება დედამიწის ბრუნვის სიჩქარის შენელების შესახებ და გაინტერესებთ: 1. რა არის მიზეზი, რომ დედამიწა ანელებს ბრუნვას თავის ლერძის გარშემო? 2. სანამდის გაგრძელდება ეს მდგომარეობა? 3. მეტ დროს მოანდომებს თუ არა ის მზის ირგვლივ შემოვლას?

1. ვინაიდან დედამიწის დიამეტრი დედამიწიდან მთვარემდე მანძილთან შედარებით არც ისე მცირეა (მთვარე-დედამიწის მანძილი მხოლოდ 60-ჯერ მეტია დედამიწის რადიუსზე), ამიტომ მთვარე დედამიწის სხვადასხვა წერტილს სხვადასხვა სიდიდით მიიზიდავს, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ზღვებისა და ოქეანების წყლის (მცირე სიდიდით ხმელეთისაც) ე. წ. მოქცევასა და მიქცევაში (ამ მოვლენის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ე. ხარაძე — ასტრონომია, თბილისი, სახელგამი, 1952 წ. გვ. 155).

მოქცევის დროს წყლის დონე ზღვებსა და ოქეანებში რამდენიმე მეტრით მაღლა იწევს. დედამიწის ბრუნვის გამო მოქცევით გამოწვეული ამოზნექილობა წყლისა ტალღის სახით დედამიწის ბრუნვის საწინააღმდეგო მიმართულებით გადადგილდება. „მოქცევის ტალღის“ ამგვარ მოძრაობას თან სდევს

ხახუნის ძალის წარმოშობა, რომელიც, ყოველთვის მიმართულია რა დედამიწის ბრუნვის საწინააღმდეგოდ, წარმოადგენს დამამუხრუპებელ ძალას და ამგვარად იწვევს დედამიწის ბრუნვის შენელებას; მაშასადამე, დღე-ღამის ხანგრძლივი იზრდება, მაგრამ ეს ცვლილება იმდენად მცირეა (700 საუკუნის შემდეგ დღე-ღამე მხოლოდ 1 წამით უფრო გრძელი გახდება), რომ მისი აღმოჩენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში კვარცის საათების საშუალებით.

2. სანამ მთვარე-დედამიწის სისტემა მისი დღევანდელი სახით არსებობს, მთვარის ე. წ. მოქცევის ძალის გავლენით გამოწვეულ დედამიწის ბრუნვის შენელებას სულ ექნება ადგილი, მაგრამ მიგვიყვანს ეს ჩვენ საბოლოოდ დედამიწის ბრუნვის რამე შესამჩნევ შენელებამდე თუ არა, ამას ვერ ვიტყვით, რადგან ამ ეფექტის გვერდით მოქმედებენ მრავალი სხვა ეფექტები, რომლებიც ხშირად მის საწინააღმდეგო ხასიათსაც: ატარებენ. ასე, მაგალითად, დედამიწის სფეროიდის დეფორმაციის გამო (რაც ძირითადად დედამიწის ბრუნვის ეფექტს წარმოადგენს), დედამიწა დროთა განმავლობაში ხან ანელებს: ბრუნვას თავის ლერძის გარშემო, ხან კიდევ აჩქარებს, ე. ი. ბრუნავს არათანაბრად (ეს არათანაბრობა დედამიწის ბრუნვაში შემჩნეული იყო უკანასკნელ ხანებში კვლავ კვარცის საათების საშუალებით, რამდენადაც ესეც ძალიან მცირე: ეფექტს წარმოადგენს).

3. ვინაიდან დედამიწის ბრუნვის სიჩქარის ცვლილება, როგორც აღვნიშნეთ წლების განმავლობაში უმნიშვნელო სიდიდეა, მით უფრო უმნიშვნელო და პრაქტიკულად შეუმჩნეველი იქნება ის ცვლილება, რომელსაც ეს უკანასკნელი გამოიწვევს დედამიწის მზის გარშემო მოქცევის სიჩქარეში. საკითხის თეორიული მხარე კი საკმაოდ რთულია და ამიტომ ჩვენ გასზე აქ არ შევჩერდებით.

მოლითი. მოსწავლე გ. ლონდაძეს

„მეცნიერება და ტექნიკის“ გასული წლის № 12-ში თქვენ წაგიკითხავთ პროფ. ე. ხარაძის სტატია „როგორ წარმოიშვა დედამიწა და სხვა ცთომილები“ და გაინტერესებთ: არსებობს თუ არა ახლაც მზის ირგვლივ გაზისა და მტვრის გროვა და, თუ არსებობს, დღესაც ხომ უნდა გრძელდებოდეს ცთომილების წარმოშობა?

ამჟამად მზის გარშემო, რა თქმა უნდა, არსებობს მტვეროვანი ნაწილაკები (ეს ის ნაწილაკებია, რომლებიც დედამიწაზე ხშირად „ცვივა“ ე. წ. მეტეორების სახით); მაგრამ არა ისეთი რაოდენობით, რომ მათგან ცთომილები წარმოიშვას. ესენი იმ პირვანდელი „ორუბლიდან“ დარჩენილი ნაწილაკებია, რომლებიდანაც სწორედ ჩვენი ცთომილები წარმოიშვა.

რაც შეეხება თქვენს კითხვას — სიცოცხლის ჩასახვის საკითხიც ხომ შმიდტის თეორიის საფუძველზე უნდა აიხსნას? — უნდა ითქვას, რომ ვინაიდან შმიდტის თეორია ეწინააღმდეგება წინანდელ თეორიებს დედამიწის თერმული ისტორიის შესახებ (შმიდტის თეორიის მიხედვით დედამიწა თავიდვით დედამიწა თავიდან ცავ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მხოლოდ შემდეგ მიიღო მან ის სითბო, რომელიც ამჟამად აქვს), დედამიწაზე სიცოცხლის ჩასახვის საკითხი, ისევე როგორც მრავალი სხვა საკითხები, წინანდელიდან რამდენადმე განსხვავებულ ახსნას მიიღებს.

ს. გაჩხაპი (შილებულის რ-ნი). მოსწავლე

გ. გოსტოლანაშვილს

1. საიდან ლებულობს მზე სითბურ ენერგიას?
2. შესაძლებელია თუ არა მზის ენერგიის გარეშე ცხოვრება, თუნდაც ტექნიკის უაღრესად განვითარების დროს — ატომური ენერგიის გამოყენების გზით?

1. ამჟამად დადგენილია, რომ მზის ენერგიის ძირითად წყაროს ატომგულური რეაქციები წარმოადგენს. პროცესი მდგომარეობს სხვადასხვა ელემენტთა ატომგულების გარდაქმნაში, რომლის დროსაც შიგაატომური ენერგიის კოლოსალური რაოდენობა გამოიყოფა. მსგავსი რეაქციები მიმდინარეობს ძალიან დიდი ტემპერატურების პირობებში; ასე, მაგალითად, რეაქციები, რომლებიც იწვევენ წყალბადის გარდაქმნას ჰელიუმად ჩვეულებრივ პირობებში მიმდინარეობს მხოლოდ ათეულ მილიონ გრადუს ტემპერატურაზე (მზის წიაღში ტემპერატურა 20 მილიონ გრადუსამდე აღწევს).

2. მზის ენერგიის ატომური ენერგიით შეცვლის საკითხი ჯერჯერობით არ დასმულა მეცნიერების წინაშე, ვინაიდან მზის გაცივების არავითარი საშიშროება არ არსებობს. მართლაც, უკვე 2—3 მილიარდ წელზე მეტია, რაც დედამიწა არსებობს და, როგორც მეცნიერების მონაცემები გვიჩვენებს, მთელი ამ ხნის განმავლობაში დედამიწა ლებულობდა მზიდან დაახლოებით ისეთივე რაოდენობის სითბოს, როგორც ამჟამად ლებულობს; ხოლო, მზის ნათების მექანიზმის გამოკვლევის თანამედროვე მონაცემების მიხედვით, ეს ასევე გაგრძელდება ყოველ შემთხვევაში კიდევ 10 მილიარდი წლის განმავლობაში მაინც. მაშასადამე, მზე საკმარისად მდგრად მნათობს წარმოადგენს, მისი ევოლუცია მიმდინარეობს საკმაოდ ნელა და მას კიდევ წინ უზარმაზარი დროის შუალედი აქვს არსებობისა. ამიტომაც მეცნიერების მთელი ყურადღება მიმართულია არა იმ საკითხის გამოკვლევისაკენ, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება მზის ენერგიის გარეშე ლაბორატორიებში მიღებული ატომური ენერგიის გამოყენებით ცხოვრება (და მაშასადამე ვერც უპასუხებს მსგავს კითხვაზე ჯერჯერობით), არამედ იქითკენ, რათა შესაძლებელი გახადოს ატომური ენერგიის გამოყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

**რაისა გართაია
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი**

ს. კაჭრელი. ა. ცოლოლაშვილს

მზის სითბო შესამჩნევად მოიკლებს მხოლოდ მრავალი ათეული მილიონი წლების შემდეგ. კაცობრიობის ტექნიკის პროგრესი უთუოდ უზრუნველყოფს მანამდე ხელოვნური ენერგეტიკული წყაროების შექმნას.

ს. სამიქაო (აბაშის რ-ნი). რ. კაჭარავას

წაიკითხეთ საშ. სკოლის სახელმძღვანელო „ასტრონომია“ (ე. ხარაძე) მე-15 თავი, პარაგრაფი მსოფლიო მიზიდულობის კანონზე.

მოსწავლე ა. გახარაძეს

1. მთვარეს, შედარებით მცირე მასისა და მცირე მიზიდულობის სხეულს, დროთა განმავლობაში შემოეფარგლური ატმოსფეროს ნაწილაკები, რომლებიც გაიკრენ სივრცეში.

2. მზის გამოსხივების ენერგია მეტისმეტად ნელა მცირდება. მილიონობით წლების განმავლობაში ეს შემცირება თოვქმის შეუმჩნეველია.

3. მზის წარმოშობის საკითხი გამოკვლევის საგანია და ვარსკვლავთა წარმოშობის საკითხთან ერთად შეისწავლება.

ს. თერჯოლა. გ. გურგენიძეს

წაიკითხეთ პოპულარული წიგნაკები: მ. იმნაძე „მზის სისტემა“, მ. ვაშაკიძე „ვარსკვლავები და ნისლეულები“.

ს. წალვერი. ნ. გოგოლაძეს

1,2 კითხვებზე პასუხს იპოვით ბროშურაში: „მზის დანელება 1954 წლის 30 ივნისს.

მე-3 და მე-4 კითხვების შესახებ წაიკითხეთ საშ. სკოლის სახელმძღვანელო „ასტრონომია“ (ე. ხარაძე) — მე-11 თავი, პარაგრაფი „წელიწადის დრონი“.

აბაშა. ჯ. ლოჩოშვილს, ი. ცოგაიას, ს. გაბაშიას

წაიკითხეთ პოპულარული წიგნა „Тяжкость исчезла..“

ს. ტუაჩილი (ქუთაისის რ-ნი). გ. ხაჩატუროვს

მოვლენა, რომელიც თქვენ გაინტერესებთ, შესაძლებელია, მაგრამ ნაკლებად საალბათოა და ყოველ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მხოლოდ მეტისმეტად ხანგრძლივი (ასეულ მილიონობით წლების განმავლობაში) პროცესის შედეგად.

ს. II ფერსატი (მაიაკოვსკის რ-ნი) ე. წერეთვლს

1. წაიკითხეთ საშ. სკოლის სახელმძღვანელო „ასტრონომია“ (ე. ხარაძე) — მე-17 თავი.

2. ვარსკვლავების რიცხვი ჩვენს ვარსკვლავთ სისტემაში — გალაქტიკაში რამდენიმე ასეული მილიარდია.

ქ. წულუკიძე. გ. სალარაძეს

1. მოძრაობა სხეულის კუთვნილებაა. სხეულს არ შეუძლია არსებობა მოძრაობის გარეშე.

2. დედამიწის წიაღის არაერთგვაროვნება, სხვადასხვა სიმკრივე და სხვა მიზეზები იწვევენ მიწისძვრებს, ვულკანურ მოვლენებს და სხვ.

ს. ქახათი (ზუგდიდის რ-ნი). პ. შედანიას

1. მზე გამოაფრქვევს სითბოს, სინათლეს და მეტისმეტად მცირე ნაწილაკებს. ცხელი, მნათი სხეულის გამოსხივებას აქვს ენერგია, რომლითაც იგი მოქმედობს (დაწოლას ახდენს). შემხვედრ მატერიალურ ნაწილაკებზე, სხეულებზე.

2. წაიკითხეთ საშ. სკოლის სახელმძღვანელო „ასტრონომია“ (ე. ხარაძე) — თავი მე-16.

ს. ნაგვაზაო (ზუგდიდის რ-ნი). გ. სურგავას

1. თქვენ ფანტასტიკურ მაგალითში, თუ ადამიანი ზედაპირიდან კაში „დედამიწის ცენტრამდე ჩავარდა“, ის იქვე დარჩება. იქიდან მისი „ამოსვლა“ ნებისმიერი მიმართულებით. (ნებისმიერი დიამეტრის გაყოლებით) მოითხოვს მის მიერ მიზიდულობის ძალის დაძლევას.

ე. ბ.

ს. კორპორაციი (საჩერის რ-ნი). მოსახლე

პ. პასივების

როგორც ცნობილია, დედამიწის ზურგზე არსებობენ ე. წ. ჩამქრალი ვულკანები, ე. ი. ისეთნი, რომელნიც შორეულ წარ-სულში მოქმედებდნენ და შემდეგ შეწყვიტეს მოქმედება, და მოქმედი ვულკანები, რომელნიც დღესაც განაგრძობენ მოქმე-დებას. მოქმედი ვულკანებიდან ლავის ამოხეთქა ზოგიერთ შემ-თხევაში პერიოდულობით ხასიათდება და ამ შემთხვევაში შე-საძლებელი ხდება წინასწარ ვთქვათ, რა დროს მოხდება ეს ამოხეთქა. გარდა ამისა, სავსებით შესაძლებელი და მოსა-ლოდნელია ახალი კრატერის გაჩენა მოქმედი ვულკანის კალ-თებზე და მის მახლობლობაში, მაგრამ ამ ადგილის წინასწარ ზუსტად დადგენა, თუ იქ არ იყო ცნობილი ოდესმე ვულკანუ-რი კრატერის არსებობის ფაქტი, არ შეიძლება.

თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ საკითხი იმის შესახებ: არის თუ არა შესაძლებელი სრულიად ახალი ვულკანის გაჩენა, ან უმოქმედოდ ცნობილი ვულკანის ამოქმედება და შეიძლება თუ არა ამ ადგილის წინასწარ განსაზღვრა? უნდა შევნიშნოთ, რომ ვულკანები მიწის ზედაპირზე გარკვეულ აღგილებშია გან-ლაგებული. ეს ადგილები თანხვდება ე. წ. სეისმურად აქტიურ რაიონებს, ე. ი. ისეთ ადგილებს, სადაც ხშირ და ძლიერ მი-წისძვრებს აქვს ადგილი. ასე რომ, ახალი ვულკანის გაჩენა, ან უფრო სწორად, ჩამქრალი ვულკანის ამოქმედება, შეიძლე-ბა მოხდეს მხოლოდ დედამიწის ზედაპირის ამ რაიონებში. ასე-თი ფაქტები საკმაოდ ბევრია ცნობილი. ასეთი ფაქტების ჩატარება მიეკუთვნება, მაგალითად, ვულკან ვეზუვის ამოქმე-დება 79 წელს ჩვენს ერამდე. მანამდე ეს ვულკანი უმოქმე-დოდ იყო ცნობილი. ასეთ მოვლენას ხშირად წინ უსწრებს. მთელი რიგი სხვა მოვლენები, მაგალითად, მიწისძვრა, მიწისქვეშა გუგუნი, რომელიც ერთგვარი პროგნოზის სა-შუალებას იძლევა მხოლოდ ამოხეთქის მოვლენის უშუალო წინა პერიოდში. მაგრამ, თუ ასეთ ნიშნებს ადგილი არ აქვს, წინასწარ თქმა იმისა, რომ ესა თუ ის ჩამქრალი ვულკანი ამოქმედდება და, მით უმეტეს, ზუსტად განსაზღვრა ამოხეთ-ქის ადგილისა მეცნიერებას არ შეუძლია.

პ. გუნიკაშვილი ფიზ.-მათ. მეცნ. კანდიდატი

ქ. ტამბოვი. გ. ფირცხალავას

პეტროვის ჩამქრალი ნახშირის ანოდის ტემპერატურა 4 000° C-დე აღწევს, რის გამო ანოდი თრთქლდება. კათოდის ტემპე-რატურა 3 000° C-ზე ნაკლებია და ამიტომ ის მხოლოდ წვას განიცდის. ანოდის აორთქლების გარდა ხდება მისი ნაწილაკე-ბის გადატანა კათოდზე. ამიტომაც არის, რომ ანოდის მასალა უფრო ინტენსიურად იხარჯება და ანოდის ზედაპირი ჩაიზნი-ება, ხოლო კათოდის ზედაპირი ამოიზნიერება.

ლაგოდები. საკოლეგიურეო სკოლა.

გ. ჭავიაშვილს

თქვენს მიერ წამოყენებული აზრი ეგრეთ წოდებული „მარა-დიული ძრავის“ იდეას წარმოადგენს, რომელიც, როგორც ცნო-ბილია, ვერ განხორციელდება, ვინაიდან ნაკლები ენერგიის ხარჯის გზით შეუძლებელია მეტი ენერგიის მიღება.

გირჩევთ ამგვარი საკითხების დამუშავებაზე დროს ტყუილ-უბრალოდ ნუ დაკარგავთ.

ქ. გიათურა. როჯონიძის სახელობის გალარო.

თ. სიმინავას

1. დამიწების წინალობის სიღილე მიწაში არ არის დამოკი-დებული ლითონის მასალაზე, რომლიდანაც მზადდება დამიწე-ბა. ამიტომ დამიწების შესრულება უფრო ხელსაყრელია ისე-თი, შედარებით იაფი ლითონისაგან, როგორიცაა ფოლადი. მი-უხედავად ამისა, მთელ რიგ შემთხვევებში მიმართავენ სხვა ლითონებისაგან შესრულებულ დამიწებას. ასე, მაგალითად, თუ მიწაში მოსალოდნელია ფოლადის ძლიერი კოროზია, არსებუ-ლი წესების თანახმად უნდა მიმართონ თუთით დაფარული წესების თანახმად უნდა მიმართონ თუთით დაფარული

რკინას ანდა მთლიანად სპილენძისაგან შესრულებულ დამი-წებას. დასაშვებია აგრეთვე, როგორც დამიწება, გამოყენებულ იქნეს მიწაში მყოფი ელექტრული კაბელის ტყვიის გარსი. ალუმინის გამოყენება დასამიწებლად არ შეიძლება, ვინაიდან ალუმინი ან იშლება, თუ მიწაში ტუტის ნაერთები იშკოდება, ანდა იფარება ოქსიდის ფენით, რომელიც ხელს უშლის მიწას-თან კარგი ელექტრული კონტაქტის შექმნას.

2. ელდანადგარის უსაფრთხო დამიწება დამოკიდებულია მრავალ სპეციფიკურ პირობებზე. თუ ელდანადგარი დამიწე-ბულია არსებული წესების თანახმად (იხილეთ „Правила технической эксплуатации электрических станций и сетей“, № 845—861, Госэнергоиздат, 1953 წ., აგრეთვე „Правила технической эксплуатации электропустановок промышле-нных предприятий“, № 436—675, Госэнергоиздат, 1950 წ.), მაშინ ასეთი დამიწება უსაფრთხოა. თვით სპეციფიკური პირო-ბები აღწერილია ზემოთ ფრჩხილებში მოყვანილ წესებში.

3. ოთხძარვიანი ელექტრული კაბელების ნულოვანი გამ-ტარი იმიტომ არის ნაკლები კვეთისა, რომ მასში ნორმალუ-რად გაცილებით უფრო მცირე სიღილის დენი გადის, ვიდრე რომელიმე ფაზურ გამტარში.

ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ნულოვან გამტარში გა-მავალი დენი, დროის ყოველ მომენტში სამივე ფაზურ გამ-ტარში გამავალ დენთა ჯამს წარმოადგენს. ეს ჯამი კი, როგორც ცნობილია, ან ნულის ტოლია (თუ სამივე ფაზა ერთნაირად არის დატვირთული) ანდა, პრაქტიკულად, იმ დენის სიღილის ნახევარს არ აღმატება, რომელიც უმეტესად დატვირთულ ფაზურან გამტარში გადის (თუ სამივე ფაზა თანაბრად არ არის დატვირთული).

გ. ლორთიშვანიძე ტექნ. მეცნ. კანდიდატი

სოფ. ძირულა (ზესტაციონის რ-ნი). რ. გაჩეჩილაძეს

1. თქვენი პირველი შეკითხვა სწორად არ არის დასმული. ვარსკვლავის ნაწილის მოწყვეტა არ ხდება. „მოწყვეტილი ვარ-სკვლავი“ ეს ე. წ. მეტეორია. პლანეტთაშორისო სივრცეში უამრავი პატარა ბნელი სხეულები და მტვერია. როდესაც ეს ნაწილაკები ჩვენი დედამიწის ატმოსფეროში შემოიჭრებიან, ამ უკანასკნელის წინააღმდეგობის გამო, ისინი გახურდებიან და იწვიან. ჩვენ კი ვხედავთ მათ „მოწყვეტილი ვარსკვლავის“ სა-ხით.

2. მთვარე ბნელი სხეულია. იგი გვინათებს მზის ანარეკლი სხივებით. მაშასადამე, ვიდრე იარსებებს მზე, მანამდე მთვა-რეც იქნება ასეთივე სხივმომფინარე.

რაც შეეხება მზესა და სხვა ვარსკვლავებს, ისინი ოდეს-მე დაკარგავენ თავის ენერგიის — სითბოს, სინათლეს; ზოგი სხვა ვარსკვლავები კი ახლად წარმოიშვებიან და შეიქმნებიან. მზე და მისი ასაკის ვარსკვლავები ასეთი ცხოველმყოფელი, როგორც ახლა არიან, იქნებიან კიდევ რამდენიმე მილიარდი წლების განმავლობაში იარსებებს.

ქ. ცხაკაია. გ. ადამიას

1. თანამედროვე მეცნიერებას დღესდღეობით არ მოეპოვ-ბა საკმაო მონაცემები, რომ იწინასწარმეტყველოს „რითი შე-იძლება დასარულოს დედამიწაში თავისი სიცოცხლე“. მაგრამ დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ დედამიწაზე სიცოცხლე კიდევ მრავალი მილიარდი წლების განმავლობაში იარსებებს.

2. პლანეტების ბრუნვით სიჩქარეში ღერძის გარშემო არის განსხვავება. მაგალითად, მარსი ერთ შემობრუნებას 24 საათსა და 37 წუთს ანდომებს, ხოლო ურანი — 10 საათსა და 40 წუთს.

3. მთვარედან დედამიწა გამოჩნდება ისევე ღისკოს სახით, როგორც ჩვენ მთვარეს ვხედავთ, მხოლოდ დაახლოებით 4-ჯერ უფრო დიდი ღიამეტრით და გაცილებით უფრო კაშკაშა.

თიბათინ ჩაზრავა

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერებათა კანდიდატი

მეცნიერება და ტექნიკა



ფ დ ა ზ ე: მოდრეიფე სამეცნიერო სად-
გურზე—დილის ტუალეტი

ს ა რ ჩ ე ვ ი

№ 9

სეირები

1954

მიხეილ ბოკუჩავა	
ბიოქიმია ჩაის წარმოებაში	1
დავით გაფრინდაშვილი	
ლითონების ზედაპირული შემკვრივება ელექტრონაპერწელური ხერხით	6
ნ. ზუბოვი	
ცენტრალურ არქიტექტორი	9
ა. ავაქოვი	
ნიშანდებული ატომების ზოგიერთი გამოყენებანი	13
არჩილ ძიძიგური	
სამთო მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე	18
ვ. კოროლკოვი, ი. კამენეცკი	
როგორ ჩაიწერება ბგერა	21
მეცნიერება და ტექნიკა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში . .	26
დომენტი მშვენიერაძე	
ზეხუთე საუკუნის ვახტანგისეული მცხეთის სვეტიცხოველი . .	27
ალექსანდრე კუჭუხიძე	
რკინიგზის სადგურები და კვანძები	31
გალაქტიონ მინდაძე	
მოწყვის საქმე საქართველოში ძველად და მასთან დაკავში- რებული ზოგიერთი ტერმინი	35
ვლადიმერ ჭანიშვილი	
ნ. ნიკოლაძე და ტყიბულის ქვანახშირის საბადო	38
საქართველოს ნორჩ ტექნიკოსთა შემოქმედება—ნ. ბ—ლი .	41
საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები: უნივერსალური სახაზავი (გვ. 25), ახალი ენერგომატარებელი (34), შერეუ- ლი სათბობით მომუშავე თბომავალი (43).	
თავისუფალ დროს	44
კასუხი მკითხველთა წერილებზე და შეკითხვებზე	46

რედაქტორი — პროფესორი რ. დვალი

სარედაქტორი კოლეგია:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. კუპრაძე, პროფესორი ვ. ქადაგაძე, დოცენტი
ა. მირიანაშვილი, ინჟინერი კ. გურგენიძე, ინჟინერი შ. ჯაბუა, ე. შულაძე (რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. № 22. ტელეფ. № 3—46—49

Ежемесячный научно-популярный журнал «Мецниереба да техника»
(на грузинском языке)

ქაღალდის ზომა 60×92, 3 საბ. ფ., 1 ფურცელზე 73 000 სასტამბო ნიშანი.

სელმოწერილია დასაბეჭდად 8.9.54 წ., უ 05667, შეკვ. № 1203. ტირაჟი 6500

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, აკ. წერეთლის ქ. № 3/5

Типография Академии Наук Грузинской ССР, Тбилиси, ул. А. Церетели № 3/5.

68.8|471

3505 356.

